



# გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი

(კანონმდებლობისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ცვლილების სარეკომენდაციო კონცეფცია)

ადამიანის უფლებების სწავლებისა  
და მონიტორინგის ცენტრი

**EMC**

Human Rights Education  
and Monitoring Center

თბილისი, 2014

**გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა  
უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის  
გაიდლაინი**

(კანონმდებლობისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების  
ცვლილების სარეკომენდაციო კონცეფცია)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

# EMC

Human Rights Education and Monitoring Center



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სარეკომენდაციო კონცეფცია მომზადდა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ ფონდი ღია „საზოგადოება-საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

სარეკომენდაციო კონცეფციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს (OSGF) შეხედულებებს.

**კვლევის ჯგუფი:** ლელა გვიშიანი  
ლინა ღვინიაიძე

**რედაქტორი:** ლაშა ქავთარაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: შანიძის ქუჩა №3, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 223 15 58

ელ.ფოსტა: [humanrightsemc@gmail.com](mailto:humanrightsemc@gmail.com)

[www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)

Facebook: <https://www.facebook.com/RIGHTSEMC>

# სარჩევი

შესავალი.....	4
მეთოდოლოგია.....	5
1. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი.....	6
2. კონვენციის ძირითადი ცნებები.....	10
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების წესი.....	18
4. თანასწორობის უფლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები.....	22
5. თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება.....	28
6. მისანვდომობა.....	34
7. მართლმსაჯულებაზე მისანვდომობა.....	42
8. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა.....	47
9. პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება; წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან თავისუფლება; ექსპლოატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება; პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა.....	51
10. დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.....	58
11. რეაბილიტაცია, აბილიტაცია და ინდივიდუალური მობილობა.....	64
12. განათლების უფლება.....	71
13. ჯანმრთელობის დაცვა.....	83
14. შრომა და დასაქმება.....	95
15. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა.....	100
16. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.....	107
17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა.....	111
18. კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ინსტიტუციური ჩარჩო.....	114
19. მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში	120
20. ცნობიერების ამაღლება.....	123

## შესავალი

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (შემდგომში UNCRPD) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ახალი სამართლებრივი სტანდარტებისა და მიდგომების შემოტანით, ცვლის შეზღუდული შესაძლებლობის გააზრებას და მას ადამიანის უფლებებს, პიროვნების ღირსებასა და ნების ავტონომიურობის პრინციპებს აფუძნებს.

კონვენციის რატიფიცირებით, საქართველომ გამოხატა ნება, საკუთარი პოლიტიკა დააფუძნოს შეზღუდული შესაძლებლობის ალქმის ახალ პარადიგმას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, კონვენციის მიერ დადგენილი საუკეთესო სტანდარტით.

კონვენციის რატიფიცირება გულისხმობს, ქვეყნის მიერ ამ სამართლებრივი დოკუმენტის შესრულების ვალდებულებების აღებას, რაც საქართველოს აყენებს მნიშვნელოვანი გამონვევის წინაშე - არსებითად გადახედოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი დაცვის ეროვნულ სტანდარტებს და შეცვალოს ის სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებით.

წინამდებარე დოკუმენტის, „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინის“ მიზანია, შეაფასოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა კონვენციასთან შესაბამისობის ანალიზის გზით და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის შეიმუშავოს UNCRPD-ის დანერგვის რეკომენდაციო კონცეფცია.

„გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი - კანონმდებლობისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ცვლილების სარეკომენდაციო კონცეფცია“ მომზადდა პროექტ „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი ანალიზებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობას, კონვენციით განსაზღვრულ, ძირითად უფლებებთან მიმართებაში, ავლენს საკანონმდებლო ჩარჩოსა და სახელმწიფოს პოლიტიკის მთავარ ხარვეზებს და განსაზღვრავს კონვენციის მოთხოვნებთან თანხვედრი ცვლილების შესაძლო მიმართულებებს.

სარეკომენდაციო კონცეფციის თითოეული თავი ეხება კონვენციით დაცულ ცალკეულ უფლებას და ახდენს უფლების დაცვის არსებული მდგომარეობისა და შესაძლო ცვლილების საჭიროების დემონსტრირებას, შემდეგი კომპონენტების მეშვეობით: სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება უფლების კონვენციისმიერი შინაარსის მიხედვით, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოსა და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თანხვედრა კონვენციით დადგენილ სტანდარტთან და რეკომენდაციები კონვენციის შესაბამისი მუხლის იმპლემენტაციისთვის.

პირველი კომპონენტი გულისხმობს, კონვენციით მოცემული უფლებით დაცული სფეროს/სტანდარტის აღწერას, რაც ამავდროულად უთითებს საქართველოს, როგორც წევრი სახელმწიფოს, ვალდებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადო რეალიზებაზე.

მეორე კომპონენტის ფარგლებში, მოცემულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის, პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტებისა და მიმართულებების კრიტიკული გააზრება, რომელსაც თავის მხრივ, ეფუძნება შესაბამისი ცვლილებების საჭიროების გამოვლენა. მესამე კომპონენტი გულისხმობს, ნორმატიულ და პრაქტიკულ პრობლემათა შესწავლის შედეგად შემუშავებულ, სარეკომენდაციო ღონისძიებებს, რომლებიც ეყრდნობა უფლების რეალიზების კონვენციის მიერ მოცემულ ხედვასა და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილებას.

დოკუმენტის მომზადების პროცესში, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ EMC იყენებდა შემდეგ ინსტრუმენტებს: კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და სახელმწიფო პროგრამების შეფასება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებული, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველი წლიური და სპეციალური ანგარიშების მეორადი შესწავლა, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ, უფლების შინაარსთან დაკავშირებით გაკეთებული ინტერპრეტაციები/განმარტებები; ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით და სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

# სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

# 1. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოსა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესწავლის კვალდაკვალ, უმნიშვნელოვანესი წყაროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, ხელისუფლების ხედვის შეფასების პროცესში. პოლიტიკის დოკუმენტები აჩვენებს, თუ როგორია სახელმწიფოს მხრიდან ამ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობისა და საჭიროებების აღქმა და მათდამი საპასუხო მიმართების გააზრება, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს პოლიტიკის მიმართულების, მოქმედების სტრატეგიის ფორმირებასა და იმპლემენტაციაზე სხვადასხვა სფეროში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა დიდწილად დამოკიდებულია არსებული ვითარების სწორ ანალიზსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული ხედვის შემუშავებაზე სახელმწიფოს მხრიდან, რაც მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტებში მჟღავნდება.

არსებითია, რომ კონვენციის მიდგომები გახდეს არა მხოლოდ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის, არამედ პოლიტიკისა და სტრატეგიის შემადგენელი ნაწილიც, რაც დოკუმენტის იმპლემენტაციისათვის პირველადი და აუცილებელი ეტაპია. სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილება აჩვენებს, რომ კონვენციის დანერგვის მიზნით, ეროვნული კანონმდებლობებისა და პრაქტიკების შეცვლას წინ უძღოდა სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავება. ამით სახელმწიფოები ადასტურებდნენ მათი ხედვების კონვენციის მიზნებთან თანხვედრას და აჩვენებდნენ მოქმედი მოდელების გარდაქმნის საჭიროებას.<sup>1</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკის დოკუმენტს წარმოადგენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია“,<sup>2</sup> რომელიც 2008 წელს შეიმუშავა საქართველოს პარლამენტმა. კონცეფცია მიზნად ისახავს, განსაზღვროს ქვეყნის პოლიტიკის მთავარი მიმართულებები და განსაზღვრავს ამოცანები. დოკუმენტი ცდილობს შემოიტანოს სოციალურ მოდელზე დაფუძნებული ხედვა, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა, არასაკმარისად გამართული, რაც მისი ენის არასენსიტიურობაშიც ვლინდება ისეთი ტერმინების გამოყენებისას როგორცაა, „ინვალიდი“, „უნარშეზღუდული“ და სხვა. შეიძლება ითქვას რომ საქართველოს პარლამენტის მიერ, 2004 წელს მიღებული, პოლიტიკის მეორე დოკუმენტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების თაობაზე“ სოციალურ მოდელს არ ეფუძნება.<sup>3</sup>

<sup>1</sup>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013 წელი, გვ: 20-35

<sup>2</sup>საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ:

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=45592&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=45592&lang=ge) ბოლოს ნანახია: 07.07.2014

<sup>3</sup>საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 13 თებერვლის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების თაობაზე“ ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=42280&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=42280&lang=ge) ბოლოს ნანახია 07.07.2014



კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობების განერის მიზნით, მთავრობამ მიიღო სამოქმედო გეგმა, რომელიც 2014-2016 წლებით შემოისაზღვრება.<sup>4</sup> გეგმა, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, პრინციპულად იზიარებს და ემყარება კონვენციის ღირებულებებს. ერთ-ერთი არსებითი ხარვეზი უკავშირდება ქმედუუნარობის ალტერნატიული მოდელის შექმნის მიზნით, სახელმწიფოს აქტივობების გაუთვალისწინებლობას დოკუმენტის შინაარსში, რაც ამ საკითხს გამორიცხავს სახელმწიფოს სამომავლო ხედვიდან უახლოესი ორი წლის მანძილზე.

ამასთან, გეგმის ეფექტური პრაქტიკული იმპლემენტაცია დამოკიდებულია სხვა დამატებით ფაქტორებზე. მათ შორის, გეგმის განხორციელების ფინანსური ნაწილი. დღეს მოქმედი გეგმა, არ ითვალისწინებს ბიუჯეტის ნაწილს, კერძოდ, არ განსაზღვრავს კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის საჭირო ოდენობის ასიგნებას, რაც მყიდვეს ხდის აქტივობების რეალიზების საკითხს. ამასთან, სტატისტიკური მონაცემებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების არარსებობის პირობებში, ეჭვქვეშ დგება გეგმის ცალკეული კომპონენტების ადეკვატურობა, საკმარისობა და შესაბამისობა, არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების სამთავრობო გეგმის“ მიღების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“,<sup>5</sup> რომელიც მთავრობის ძირითადი სამოქმედო დოკუმენტია ადამიანის უფლებების სფეროში, რაც ასევე მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გარანტირების მიზნით განსახორციელებელ აქტივობებს. „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ დიდწილად იმეორებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოქმედ, სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს და არ გვთავაზობს განსაკუთრებულ სიახლებს.

UNCRPD-ის რატიფიცირების შემდგომ პერიოდს უკავშირდება მთავრობის მიერ მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“.<sup>6</sup> ეს უკანასკნელი კარგი დოკუმენტია გარემოზე მისაწვდომობის სტანდარტის დადგენისა და მისი გავრცელების არეალის თვალსაზრისით. თუმცა, დოკუმენტს არაერთი ხარვეზი აქვს, რაც მის ეფექტურობას, აღსრულების ეფექტური მექანიზმების არარსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.<sup>7</sup>

<sup>4</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: [http://www.moh.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=377](http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=377) ბოლოს ნანახია 07.07.2014

<sup>5</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmsearch&view=docView&id=2391005&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmsearch&view=docView&id=2391005&lang=ge) ბოლოს ნანახია 14.07.2014

<sup>6</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

<sup>7</sup>ვრცლად იხილეთ თავში: მისაწვდომობა

კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, დამტკიცდა ორი მთავარი დოკუმენტი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია“,<sup>8</sup> რომელიც პარლამენტმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების უფლებების უკეთ გარანტირებისათვის მიიღო, ძირითადად ეფუძნება სოციალურ მოდელს და ამ ნაწილში, იგი თანხვედრაშია კონვენციის არსთან. თუმცა, პრინციპულად არ ცვლის მიდგომას ქმედუვნაროდ აღიარებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შემლახავი კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმართ. ეს კი კიდევ ერთხელ აჩვენებს სახელმწიფოს განზრახვას გაურკვეველი დროით შეინარჩუნოს ქმედუვნარობის მოქმედი ინსტიტუტი.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის რეგულირების მიზნით, 2014 წელს, მთავრობამ მიიღო ტექნიკური რეგლამენტი „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“,<sup>9</sup> რომელიც მიემართება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებს და მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, განსაზღვრავს დადგენილი სტანდარტის შესრულების ვალდებულებას. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, თუმცა, მისი აღსრულებადობის უზურნველსაყოფად, უნდა ამოქმედდეს რეპრესიული ღონისძიებები, რაც შესაბამისად განერილ მექანიზმებს დაეფუძნება და სტანდარტების დანერგვას შესაძლებელს გახდის.

კონვენციის იმპლემენტაციისათვის სათანადოდ განერილი და თანმიმდევრული პროცესის წარმართვის აუცილებლობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში აქტიურად დგას მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტების ცვლილებისა და ახალი კონცეფციების შემუშავების საკითხი, რაც დაეფუძნება UNCRPD-ის ხედვას და საფუძვლად დაედება კონვენციასთან წინააღმდეგობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს და გახდება უფლებაშემლახავი პრაქტიკის შეცვლის საფუძველი.

---

<sup>8</sup>საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის დადგენილება „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2157098&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2157098&lang=ge) ბოლოს ნანახია 07.07.2014

<sup>9</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N68 დადგენილება, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2198173&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2198173&lang=ge) ბოლოს ნანახია 07.07.2014

კონვენციის ძირითადი ცნებები

## 2. კონვენციის ძირითადი ცნებები

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD) ახალ სამართლებრივ ცნებებს ამკვიდრებს და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს მათი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ნაწილად ქცევას. კონვენცია ცნებების ზუსტ ან ამომწურავ განსაზღვრებას არ აკეთებს. უფრო მეტიც, მის მიერ მოცემულ განმარტებებს მინიშნების მნიშვნელობა აქვს, რომელიც სრულიად გაცნობიერებულად ტოვებს სივრცეს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებისათვის თანმდევი ცვლილებებისათვის. შესაბამისად, კონვენციაში მოცემული ცნებები დინამიკურია, რაც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, ეროვნულ დონეზე, თავად განსაზღვროს მათი მნიშვნელობა და უფრო ფართოდ დაინახოს ცნებების შინაარსი, რაც, თავისმხრივ, არ უნდა ხელყოფდეს დოკუმენტის არსს.

ქართულ კანონმდებლობაში არსებული ძირითადი ცნებები, მიუხედავად ამ მხრივ განხორციელებული გარკვეული ცვლილებისა, კვლავ არ შეესაბამება კონვენციას. იგი არ ითვალისწინებს კონვენციის ახლებურ ხედვებს და ცალკეულ შემთხვევებში ეწინააღმდეგება კიდევ დოკუმენტის მთავარ ღირებულებებს.

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ განხორციელებული მთავარი ცვლილება ცნებების გადახედვას უკავშირდებოდა, თუმცა, ეს ცვლილება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განმარტებას შეეხო. ცნების ცვლილების მიუხედავად, საკანონმდებლო აქტები შეიცავდა და დღემდე შეიცავს კონვენციასთან შეუსაბამო არაერთ ტერმინს, როგორცაა დაინვალდება,<sup>10</sup> ჭკუასუსტი, სულით ავადმყოფი<sup>11</sup> და სხვა. აღნიშნული უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის გააზრების სამედიცინო მოდელს, რაც მათ შორის, კანონმდებლის ენაში ვლინდება და მას შეზღუდული შესაძლებლობის თანამედროვე გაგებასთან შეუსაბამოს ხდის.

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, უმეტეს შემთხვევაში, არ ითვალისწინებს კონვენციაში მოცემულ ცნებებს, რაც ავლენს შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საჭიროებას. მოცემულ თავში, განხილული იქნება ეროვნული კანონმდებლობის თანხვედრა კონვენციასთან მხოლოდ ძირითადი ცნებების ჭრილში და ის სრულად არ დაფარავს საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებას კონვენციის იმპლემენტაციის მიზნებისათვის. შესაბამისად, ცალკეული უფლების რეალიზებასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოცემული იქნება შესაბამის თავში.

<sup>10</sup>საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 485; საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 3, „ტ1“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 12; მუხლი 25

<sup>11</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12

## შეზღუდული შესაძლებლობა

კონვენციაში შეზღუდული შესაძლებლობის შინაარსის გაგება არსებითად გადმოსცემს დოკუმენტის მთავარ ხედვას, რამდენადაც შეზღუდულ შესაძლებლობას ის განმარტავს, როგორც ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირების, მათ მიმართ დამოკიდებულებებისა და გარემო ბარიერების ურთიერთქმედების შედეგს. ეს კი, თავისმხრივ, აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორ, სრულყოფილ და ეფექტურ მონაწილეობას.

შესაბამისად, კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობას განიხილავს, როგორც ადამიანსა და გარემოს ურთიერთმიმართების შედეგს და მას არ უკავშირებს ნოზოლოგიას, რითაც არსებითად ცვლის სამედიცინო მიდგომას, სოციალურ მოდელზე დაფუძნებული ხედვით.

UNCRPD-ის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა განვითარებადი კონცეფციაა. შესაბამისად, მისი შინაარსი სხვადასხვა სოციალური გარემოს გათვალისწინებით, შესაძლოა დაექვემდებაროს მოდიფიცირებას და სათანადო ცვლილებას ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>12</sup>

კონვენციის რატიფიცირების პროცესის პარალელურად, ცვლილება შევიდა „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონში,<sup>13</sup> სადაც „შესაძლებლობის შეზღუდვა“ განიმარტა ახლებურად, როგორც „მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რომლებიც განაპირობებს ქმედობაუნარიანობის დროებით ან სამუდამო შეზღუდვას.“<sup>14</sup>

ცნების მითითებული შინაარსი, რომელიც კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, დოკუმენტის მთავარი ხედვის კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, სხვაგვარად ჩამოყალიბდა, კვლავ ეწინააღმდეგება ამ ცნების კონვენციის მიერ გაგებას. ახალი ტერმინი, რომელიც სოციალურ მოდელს უნდა დაფუძნებოდა და უარი ეთქვა დარღვევის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ერთადერთგან მაპირობებელ ფაქტორად აღიარებაზე, კვლავ ამ შინაარსს გოვებს ძალაში და ახდენს სოციალური და გარემო ფაქტორების იგნორირებას. ამდენად, „შეზღუდული შესაძლებლობის“ ცნების ცვლილება, რომელიც კონვენციის რატიფიცირების პროცესს მოჰყვა, კვლავ არსებითად ეწინააღმდეგება დოკუმენტის შინაარსს.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის“ ამომწურავ განმარტებას, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის სრულყოფილ ცნებას, კონვენცია არ გვთავაზობს. იგი მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლება, რომლის მიხედვითაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა ხანგრძლივმა

<sup>12</sup> „გარიყულობიდან თანასწორობამდე: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელება“ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჟენევა, 2007 წელი, გვ: 4

<sup>13</sup> საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მუხლი 1, 2014 წლის 7 მარტი

<sup>14</sup> საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 1

ფიზიკურმა, მენტალურმა, ინტელექტუალურმა და სენსორულმა დარღვევებმა, დამატებით ბარიერებთან ურთიერთქმედებაში, შესაძლოა შეაფერხოს მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი, სრულფასოვანი და ეფექტური მონაწილეობა.<sup>15</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნება, რომელიც სამედიცინო მოდელს ემყარებოდა, შეიცვალა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ და დაუახლოვდა მის მიდგომას. ცნების ახლებური შინაარსის მიხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას, სხვებთან თანაბარ პირობებში“.<sup>16</sup>

შესაბამისად, დღეს არსებული რედაქცია თანხვედრაშია კონვენციის მოთხოვნებთან, ვინაიდან აღნიშნული შინაარსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გაგების სოციალურ მოდელს ემყარება. თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ცნების ცვლილება არ არის საკმარისი მისთვის ნამდვილი შინაარსის მიცემისათვის. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ცვლილება არ განხორციელებულა თანმდევ რეგულაციებში. მათ შორის, სტატუსის მინიჭების წესში, რამაც არამხოლოდ ფაქტობრივად, ნორმატიულადაც ძალაში დატოვა ეროვნულ კანონმდებლობაში დამკვირდებული სამედიცინო მოდელი.<sup>17</sup>

## გონივრული მისადაგება

კონვენციას შემოაქვს მნიშვნელოვანი ცნება - „გონივრული მისადაგება“, რომელიც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს. ამავდროულად, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უფლებებითა და თავისუფლებებით თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას.<sup>18</sup> აღნიშნული კი წარმოადგენს საზღვრების დადგენის ერთგვარ ტესტს, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფოს პოზიტიური ქმედება მიიჩნევა გონივრულად და შესაბამისად, სავალდებულოდ.

კონვენციის იმპლემენტაციის შემდგომ, სხვადასხვა ქვეყანამ ეს ტერმინი ეროვნულ კანონმდებლობაში არაერთგვაროვნად გადაიტანა. კომიტეტის მხრიდან სხვადასხვა ქვეყნის მიმართ გამოთქმული კრიტიკა ნათელს ხდის, რომ ამ ცნების სათანადოდ დანერგვის მიზნით, აუცილებელია მისი მოქმედება ყველა სფეროზე თანაბრად ვრცელდებოდეს.<sup>19</sup>

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღნიშნული განმარტება გამოიყენება არა მხოლოდ როგორც პრინციპი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების

<sup>15</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 1

<sup>16</sup> საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მუხლი 1, 2014 წლის 7 მარტი

<sup>17</sup> ვრცლად იხილეთ თავში: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების წესი

<sup>18</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2

<sup>19</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013 წელი, გვ: 39

ინტერპრეტირებისას, არამედ როგორც პრაქტიკული შინაარსის მატარებელი ნორმა, რომელიც პირდაპირ არის ასახული კანონმდებლობაში და ექვემდებარება სათანადო იმპლემენტაციას. კომიტეტის მოსაზრებით, „კანონმდებლობა, რომელიც ნათლად არ განმარტავს გონივრულ მისადაგებას, დაუშვებელ დისკრიმინაციულ ქმედებებს ახორციელებს“.<sup>20</sup>

გონივრული მისადაგების ცნებას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, კონვენციის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, აუცილებელია მისი, როგორც ფუნდამენტური პრინციპის, ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში, რომელიც ადგენს მისადაგების ვალდებულებას.

## უნივერსალური დიზაინი

უნივერსალური დიზაინი გულისხმობს, პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური საშუალებების აუცილებელი გამოყენების გარეშე. თუმცა, უნივერსალური დიზაინი არ გამოირიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული ჯგუფის მიერ, დამხმარე საშუალებების გამოყენებას.<sup>21</sup>

უნივერსალური დიზაინის ცნების შემოტანით, კონვენცია ფართოდ ხედავს სახელმწიფოთა ძალისხმევას საზღვრებს და ის გარემოს უნივერსალურობას, როგორც მთავარ მიზანსა და გამოწვევას, უსახავს ყველა წევრ ქვეყანას. უნივერსალური გარემო კი გულისხმობს სივრცეს, რომელიც იმთავითვე თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველასთვის, რაც გამორიცხავს დაბრკოლებებისა და სტიგმების არსებობას მისი ყოვლისმომცველობის ძალით.

უნივერსალური დიზაინის ცნება განავითარა არაერთი ქვეყნის კანონმდებლობამ. მაგალითად, შვედეთში, უნივერსალური დიზაინი შესაძლოა გავიგოთ, როგორც დიზაინი ყველასთვის. ეს კი აღინერება როგორც დიზაინის მეთოდოლოგია, რომელიც გამონვევებს უქმნის არსებულ შემოქმედებით ხერხებს არქიტექტურაში, დიზაინსა და სოციალურ დაგეგმარებაში, სამიზნე ჯგუფების მისაწვდომობის გაფართოებისა და რაც შეიძლება მეტი მოსარგებლის საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით.<sup>22</sup> უნგრეთის კანონმდებლობის მიხედვით, უნივერსალური დიზაინი გაგებულია როგორც, ჩვენ გარშემო არსებული სამყარო, რომელიც არათუ უნდა გარდაიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შესაბამისად, არამედ დასაწყისშივე დაიგეგმოს იმგვარად, რომ მისაწვდომი იყოს ყველასთვის თანაბრად.<sup>23</sup>

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს უნივერსალური დიზაინის ცნებას და საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას მისი ნორმატიულ დონეზე განმტკიცებისთვის, რაც მისი შინაარსის პრაქტიკაში იმპლემენტაციის შესაძლებლობას შექმნის.

<sup>20</sup>იქვე, გვ: 49

<sup>21</sup>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2

<sup>22</sup>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი(EMC), 2013 წელი, გვ: 39

<sup>23</sup>იქვე, გვ: 50

## შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია

კონვენცია, მისი მიზნებისათვის, განმარტავს დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში. იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, უარს გონივრულ მისადაგებაზე.<sup>24</sup> საუკეთესო გამოცდილება ადასტურებს დისკრიმინაციის ამომწურავი და ჰოლისტური ცნების არსებობის აუცილებლობას, რომელიც თანაბრად მიემართება ყველა ნიშანს და მათ შორის მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხს. იგი აღიარებს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას და დისკრიმინაციად მიიჩნევს ნებისმიერი უკანონო განსხვავების მიზანს, მიუხედავად დამდგარი შედეგისა და ამგავრი ქმედების შედეგს, მიუხედავად მიზნისა.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის იდეას. მე-14 მუხლი კრძალავს ადამიანთა დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. ჩამონათვალში ვერ ვხვდებით პირდაპირ მითითებას შეზღუდულ შესაძლებლობაზე თუმცა, ეს არ გამორიცხავს მის მოაზრებას კონსტიტუციით დაცულ სფეროში. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში<sup>25</sup> განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნები არ არის სრულყოფილი და მასში შესაძლოა მოიაზრებოდეს ნებისმიერი სხვა ნიშანიც, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობა. რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსი და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი, კონვენციის რატიფიცირებამდე, შეიცავდა მოთხოვნას დისკრიმინაციის აკრძალვაზე და შესაბამის ნიშნებს შორის შეზღუდულ შესაძლებლობასაც უთითებდა. დისკრიმინაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, უახლესი აქტია კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. კანონი იძლევა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ცნებების განმარტებას და კრძალავს მას. კანონის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ საჯარო ნებისმიერ საჯარო დანესებულებაზე, ორგანიზაციაზე, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე და მოიცავს ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე განსხვავების აკრძალვას, მათ შორის პირდაპირ მიუთითებს შეზღუდულ შესაძლებლობაზე.<sup>26</sup>

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის კონცეფცია“<sup>27</sup> კონვენციაზე დაყრდნობით აყალიბებს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის ცნებას. მათ შორის, პირდაპირ გადმოაქვს კონვენციის ჩანაწერი, რომელიც გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს.

<sup>24</sup>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2

<sup>25</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

<sup>26</sup>საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 1

<sup>27</sup>საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldms-search&view=docView&id=45592&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldms-search&view=docView&id=45592&lang=ge) , ბოლოს ნანახია: 07.07.2014



დისკრიმინაციის ფორმების და მისი მატერიული გაგების ნორმატიული განწერა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია სათანადო ინსტიტუციური მექანიზმებისა და ბერკეტების მუშაობა, დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ყველა სფეროში. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნება შესაბამის მუხლთან მიმართებით.<sup>28</sup>

## ჟესტების ენა

UNCRPD სალაპარაკო და ჟესტების ენას, ასევე სხვა არასასაუბრო ენებს, აღიარებს ოფიციალურ ენად და ამგვარი მიდგომის დამკვიდრებისკენ მოუწოდებს სახელმწიფოებსაც.<sup>29</sup> კონვენციის ამგვარი ჩანაწერი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს აღიარონ ჟესტების ენადამოუკიდებელ ენად. ჟესტების ენას ოფიციალური ენის სტატუსი აქვს სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოდ, შვედეთში ის მიიჩნევა უმცირესობის თანასწორ ენად,<sup>30</sup> გერმანიაში ოფიციალური,<sup>31</sup> ხოლო უნგრეთში სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული.<sup>32</sup>

საქართველოში, ეროვნული კანონმდებლობა, აღიარებს ჟესტების ენას, როგორც საკომუნიკაციო საშუალებას, თუმცა, არ საუბრობს მისთვის რაიმე სტატუსის მინიჭებაზე. ამასთან, მისი გამოყენებისა და სათანადო განვითარების მიზნით, გარკვეულ ვალდებულებებს იღებს.<sup>33</sup> ჟესტების ენისა და სხვა ანალოგების გამოყენებით სწავლის პროცესის განხორციელება დადგენილია სპეციალიზებული სკოლების საგანმანათლებლო სივრცეში.<sup>34</sup> საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფოები ჟესტების ენას სახელმწიფო ენად აღიარებენ, რაც გულისხმობს არამხოლოდ ამგვარი სურვილის დეკლარირებას კანონმდებლობაში, არამედ სახელმწიფოს სპეციალურ პასუხისმგებლობას დაიცვას, ხელი შეუწყოს მის განვითარებას, რეალიზებას და მისით ეფექტურ სარგებლობას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მოხდეს ჟესტების ენისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება და მისი გავრცელებისა და გამოყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

---

<sup>28</sup>ვრცლად იხილეთ თავში: თანასწორობის უფლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

<sup>29</sup>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2

<sup>30</sup>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი(EMR) 2013 წელი, გვ: 40

<sup>31</sup>იქვე, გვ: 52

<sup>32</sup>იქვე, გვ: 50

<sup>33</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 5

<sup>34</sup>საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 5

შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის იმპლემენტაციის მიზნით, მნიშვნელოვანია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით დადგენილი ცნებები, ამავე შინაარსით, აისახოს შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში;
- შეიცვალოს „შეზღუდული შესაძლებლობის“ ცნება და კანონმდებლობაში გამოყენებული არასათანადო ტერმინები შეიცვალოს კონვენციასთან შესაბამისი ცნებებითა და მნიშვნელობებით;
- კანონმდებლობაში აისახოს „გონივრული მისადაგების“ ცნება, კონვენციასთან შესაბამისი მნიშვნელობით, რომლის გავრცელების არეალი დაფარავს ყველა სფეროს;
- კანონმდებლობაში აისახოს „უნივერსალური დიზაინის“ ცნება კონვენციასთან შესაბამისი მნიშვნელობით;
- ყესტურ ენას მიენიჭოს შესაბამისი სტატუსი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი გავრცელება, სწავლება და სათანადო გამოყენების ხელშეწყობა;
- ცნებების მოდიფიცირების პარალელურად, ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელდეს კომპლექსური ცვლილებები კონვენციის მიერ დადგენილი ცნებების შინაარსის სრულყოფილი რეალიზებისათვის, რაც გულისხმობს საკანონმდებლო აქტების სათანადო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით აღჭურვას, ცნებებისათვის პრაქტიკული შინაარსის მინიჭების მიზნით;
- სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს, შეიმუშავოს და განხორციელოს სათანადო პროგრამები ცნებათა შინაარსის დანერგვის მიზნით, რაც განსაკუთრებულად მიემართება უნივერსალური დიზაინის, გონივრული მისადაგებისა და ყესტური ენის დანერგვის ხელშეწყობას;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
პირის სტატუსის მინიჭების წესი

### 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების წესი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების წესი ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია. იგი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის ნორმატიული შინაარსის პრაქტიკაში გადატანას და მის რეალურ ამოქმედებას. შესაბამისად, სწორედ სტატუსის მინიჭების წესის ცვლილებას უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობის კონცეფციის ახლებური გააზრება და კონვენციის მიერ შემოტანილი სოციალური მოდელის დანერგვა.

ჯერ კიდევ 2010-2012 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა, სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელიდან სოციალურზე გადასვლის ამოცანას, რომელიც არ შესრულდა.<sup>35</sup> ამასთან, სტატუსის მინიჭების წესზე, ამ დრომდე, გავლენა არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირების ფაქტს.

ხედავ, რომელიც სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნების ცვლილებით აჩვენა, უპირველესად უნდა აისახოს სტატუსის მინიჭების წესსა და მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ახალმა მოდელმა არსებითად უნდა შეცვალოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაფუძნებული სტატუსის მინიჭების სისტემა, პირის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და შეფასებაზე ორიენტირებული პოლიტიკით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი „სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის შესახებ“. სტატუსის მოპოვება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საფუძველზე მომზადებული დასკვნით ხდება, რომელსაც ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება გასცემს „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.<sup>36</sup>

დღეს მოქმედი რეგულაციით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება მხოლოდ პირის სამედიცინო დიაგნოზზეა მიბმული და არ ითვალისწინებს სხვა სოციალური ფაქტორებით განპირობებულ დაბრკოლებებს, რომელთა ურთიერთმიმართებამ შესაძლოა შესაძლებლობის შეზღუდვა გამოიწვიოს. ინსტრუქციით დადგენილი ნუსხა ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმსაზღვრელ კონკრეტულ „დაავადებებს“,<sup>37</sup> რომელიც შესაბამისი დიაგნოზის საფუძველზე პირისათვის სტატუსის მინიჭების წინაპირობაა.<sup>38</sup>

<sup>35</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფციის 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნითი მონიტორინგის შედეგების ანგარიში“, ასოციაცია „დეა“, 2012 წელი, გვ: 3-4

<sup>36</sup> შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/ნ ბრძანება „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

<sup>37</sup> იქვე: თავი V, „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გასაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მეხუთე თავი დასათურებულია როგორც „დაავადებების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების ნუსხა, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს“

<sup>38</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო-სოციალური სტატუსის მინიჭების რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში (ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში)“, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ცენტრის პროექტის ანგარიში, 2009-2010 წელი, გვ. 2-7

<sup>39</sup> Contribution to the Universal Periodic Review Mechanism; pr.19, available: [http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/JS4\\_JointSubmission4-eng.pdf](http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/JS4_JointSubmission4-eng.pdf); last seen: 20.07.2014

შესაბამისად, სტატუსის მინიჭების მოქმედი წესი, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობას დაავადებად მიიჩნევს, მას აფუძნებს შეზღუდული შესაძლებლობის დადგენაზე და არ ითვალისწინებს გარემო ფაქტორებსა და დაბრკოლებებს, წინააღმდეგობაშია კონვენციით განსაზღვრულ სოციალურ მოდელთან.<sup>39</sup>

ინსტრუქციის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება.<sup>40</sup> თუმცა, პაციენტის სოციალური და პროფესიულ-შრომითი უნარების შეფასების ადეკვატურ მექანიზმს ინსტრუქცია არ ითვალისწინებს და მხოლოდ ამ ჩანაწერის არსებობა ვერ გახდება სტატუსის მინიჭების წესის კონვენციასთან შესაბამისად მიჩნევის საფუძველი.<sup>41</sup>

პრობლემურია თავად სტატუსის მინიჭების საფუძველთა წუსხა. სახალხო დამცველი მიუთითებს „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის გასაზღვრის წესის შესახებ“ ინსტრუქციის ისეთი ცვლილებებისა და დამატებების აუცილებლობაზე, რომელიც გაითვალისწინებს ობიექტურ რეალობას და ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას სოციალურ დაცვაზე.<sup>42</sup> აღნიშნული პრობლემა სტატუსის მინიჭების წესის რეფორმამ გამოიწვია, რომლის შემდგომაც მოხდა დაავადებათა წუსხის ცვლილება და შედეგად, ცალკეული პირების მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გაუქმება ან ცვლილება. ამასთან, რეფორმამ გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის პოლიტიკაზე, რაც ცალკეული პირების მიმართ, მის შეწყვეტაში ან შემცირებაში გამოიხატა. შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული ნაწილი სოციალური დაცვის გარეშე დარჩა. სახალხო დამცველი წლების მანძილზე ნეგატიურად აფასებს ამ საკითხს და დაავადებათა წუსხის გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობს.<sup>43</sup>

სტატუსის მინიჭების წესის კონვენციასთან შესაბამისობისათვის მნიშვნელოვანია, განხორციელდეს აღნიშნული პროცედურის არსებითი ცვლილება. ამ მიზნით, სტატუსის მინიჭების წესი უნდა ეფუძნებოდეს ფუნქციონალურ მიდგომას, რაც გულისხმობს არა დარღვევაზე მიბმულ პროცედურას, არამედ მრავალმხრივი შეფასების სისტემის არსებობას, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომასა და შეფასებას დაეფუძნება. ეს გულისხმობს არა მხოლოდ დარღვევის, არამედ გარემო პირობების, დაბრკოლებებისა და არსებული ბარიერების მხედველობაში მიღებას, როგორც გარემოებებისა, რომელთა ურთიერთმიმართებამ შესაძლოა წარმოშვას შესაძლებლობის შეზღუდვა. ამასთან, მნიშვნელოვანია სტატუსის მინიჭება სახელმწიფოსთვის წარმოადგენდეს საკუთარი მოქალაქეების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და შეფასების საშუალებას, რაც საფუძვლად დაედება ადეკვატურ და ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას სხვადასხვა მიმართულებით.

<sup>39</sup>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის N1/6 ბრძანება, მუხლი 4

<sup>41</sup>საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2009 წლის 1 ნახევარი, გვ:216

<sup>42</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშო საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 522

<sup>43</sup>საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2008 წლის მე-2 ნახევარი, გვ: 272-274; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშო საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 521

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების წესის კონვეციასთან შესაბამისობისათვის, საჭიროა:

- შემუშავდეს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა დაემყაროს პირის ინდივიდუალური შეფასების ფუნქციურ მოდელს, რომელიც ანალიზისას ასევე გაითვალისწინებს გარემო პირობების, დაბრკოლებებისა და ბარიერების არსებობას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება მიზნად ისახავდეს პირთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენას, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედება სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

თანასწორობის უფლება, შეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე ბავშვები და  
შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე ქალები

## 4. თანასწორობის უფლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის საკითხს შეეხება კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს თანასწორობის უფლებას და კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამორიცხვას, ცხოვრების ნებისმიერი სფეროდან. UNCRPD ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შექმნან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის ეფექტური სისტემა, რომელიც აღიარებს გონივრული მისადაგების პრინციპის სავალდებულო ხასიათს. ამასთან, სახელმწიფოები არიან ვალდებულნი, ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად, გამოიყენონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის პოზიტიური მექანიზმები.

UNCRPD-ის მე-6 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები) და მე-7 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები) მუხლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და ბავშვებს დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ მყოფ, განსაკუთრებულად მონყვლად ჯგუფად განიხილავს და სახელმწიფოებს სათანადო ყურადღების მიპყრობას ავალდებულებს. შედეგად, ამ ჯგუფებისადმი დისკრიმინაციის მომეტებული საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მიიღონ ყველა ზომა მათი უფლებების სხვათა თანაბრად რეალიზებისათვის.

### ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტთან

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ყველას უფლებას თანასწორ მოპყრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესი სამართლებრივი აქტი დისკრიმინაციის ნიშნებს შორის, შეზღუდულ შესაძლებლობას არ მოიხსენიებს, კონსტიტუციით დაცულ სფეროში, სხვებთან თანასწორად ექვევნიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მე-14 მუხლის შინაარსში შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი, რაც უფლების სათანადო განმარტების შესაძლებლობას ქმნის.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტთან საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ყველას უფლებას თანასწორმოპყრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესი სამართლებრივი აქტი დისკრიმინაციის ნიშნებს შორის, შეზღუდულ შესაძლებლობას არ მოიხსენიებს, კონსტიტუციით დაცულ სფეროში, სხვებთან თანასწორად ექვევნიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მე-14 მუხლის შინაარსში შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი,<sup>44</sup> რაც უფლების სათანადო განმარტების შესაძლებლობას ქმნის.

<sup>44</sup>ურცლად იხილეთ თავში: კონვენციის ძირითადი ცნებები



საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულებრივ ქმედებად განიხილავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სხვადასხვა ნიშნით (შეზღუდული შესაძლებლობა(ც მოიაზრება), რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება.<sup>45</sup> ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსი, 2012 წელს განხორციელებული ცვლილების შემდეგ, სასჯელის დანიშვნის მიზნებისთვის, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს დანაშაულის ჩადენას „რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის... და სხვა ნიშნით.“<sup>46</sup>

2014 წელს მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“,<sup>47</sup> წინააღმდეგული ნაბიჯია, დისკრიმინაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ, ხელისუფლების ნების დემონსტრირებისთვის. ახალი კანონი ქმნის როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მატერიალურ, ისე ინსტრუმენტულ და ინსტიტუციურ საფუძვლებს. კანონი სხვადასხვა ნიშანთან ერთად, კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, პირთა განსხვავებას კანონის მოქმედების სფერო ფართოა და ის საჯარო დაწესებულებებთან ერთად, ვრცელდება ფიზიკურ, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებზე. დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნულ მექანიზმს კი საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს.

დისკრიმინაციასთან ბრძოლის შემოთავაზებული მოდელი, მისი ეფექტურობის კუთხით, მნიშვნელოვნად სუსტდება იმ პირობებში, როდესაც კანონი არ ითვალისწინებს დაჯარიმების მექანიზმს, არ განსაზღვრავს საქმის განხილვის ვადებს, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას სახალხო დამცველისათვის წარმოების პროცესში და სხვა.<sup>48</sup> ამასთან, სასურველია გონივრული მისადაგების პრინციპის უგულვებლყოფის დისკრიმინაციად მიჩნევის თაობაზე, პირდაპირ მიეთითოს შესაბამის საკანონმდებლო აქტში.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის, პოზიტიური ნაბიჯია ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება, თუმცა, მისი სათანადო მუშაობისათვის, აუცილებელია თანასწორობის დაცვის ინსტიტუციური და ინსტრუმენტული მექანიზმების ეფექტურობისა და მოქნილობის გაზრდა.

## **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები**

სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში, აჩვენებს, რომ სახელმწიფო არ არის სენსიტიური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განსაკუთრებული საჭიროებების მიმართ. იგი არ სწევს სათანადო ძალისხმევას და შედეგად, ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სათანადო დაცვას.

<sup>45</sup>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 142

<sup>46</sup>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53, ნაწილი 31

<sup>47</sup>საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

<sup>48</sup>იქვე: მუხლი 2, პუნქტი 7

ქალები წარმოადგენდნენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფს ჯანდაცვის სფეროში, მაგრამ კონვენციის ვალდებულების მიუხედავად, საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის სისტემა მათ, როგორც დამოუკიდებელ სამიზნე ჯგუფს, ვერ ხედავს. სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ პროგრამათაგან არც ერთი არ ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა სპეციალურ საჭიროებებს და არ ითვალისწინებს მათ, როგორც მოსარგებლეთა კონკრეტულ წრეს.<sup>49</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სხვა მოსარგებლეთა მსგავსად იღებენ მომსახურებას. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების და ბიუჯეტირებისას, არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა საჭიროებების გათვალისწინება, მათთვის სპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისის მისაწვდომობისათვის. ანალოგიური კრიტიკა მიემართება სოციალური რეაბილიტაციის მოქმედ სახელმწიფო პროგრამებს.

სახალხო დამცველი აფასებს სახელმწიფოს პოლიტიკასა და უფლებათა დაცვის მდგომარეობას დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შემთხვევაში, ადგილი აქვს უფლებათა დარღვევის სისტემურ შემთხვევებს. სახელმწიფოს არ გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, დევნილ ქალთა ერთიანი სტატისტიკური მონაცემი, მათ, უმეტეს შემთხვევაში, უწევთ საფრთხის შემცველ გარემოში ცხოვრება, აქტიურად დგას სამედიცინო თუ სოციალური მომსახურების მისაწვდომობის, ასევე განათლების უფლების რეალიზების საკითხი, დაბალია მათი ეკონომიკური აქტივობების მაჩვენებელი.<sup>50</sup>

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ძალადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ, რომელსაც სახალხო დამცველის მიერ 2013 წლის საანგარიშო მოხსენება ეხება. დოკუმენტი ასახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ძალადობის იმ შემთხვევებს, რომლებსაც ომბუდსმენი აფიქსირებს.<sup>51</sup>

პატრიარქალური კულტურისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმისა თუ სტერეოტიპული მიდგომების თანადროული არსებობის პირობებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ძალადობის გამოვლენისა და უფლებების შელახვის პრაქტიკის აღბათობა მაღალია, რის გამოც სახელმწიფოს განსაკუთრებული მგრძობელობაა საჭირო. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს ხედვა ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას პოლიტიკის ყველა მიმართულებაში.

## **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლისას, საინტერესოა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ანალიზი, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სრულად გამორიცხა რეფორმიდან და მათი

<sup>49</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილება „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2066026&lang=gebolos](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2066026&lang=gebolos) ნანახია 07.07.2014

<sup>50</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 533-535

<sup>51</sup>იქვე, გვ: 498, გვ: 536-538

ინსტიტუციებში ყოფნის პრაქტიკა გაურკვეველი ვადით გაახანგრძლივა.<sup>52</sup> ამასთან, კოორდინაციის არარსებობისა და სოციალური სერვისების არასაკმარისობიდან გამომდინარე, აქტუალურია იმ ბავშვების მიერ სახელმწიფო სერვისებზე სათანადო წვდომის საკითხი, რომლებსაც სრულწლოვანების მიღწევისთანავე უხდებათ ინსტიტუციების დატოვება.

ომბუდსმენის კრიტიკის საგანია, ადრეულ ასაკში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის საკითხი, რამდენადაც დღეს მოქმედი რეგულაცია არ იძლევა 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას. მათ შორის, იგი არ ითვალისწინებს აუტისტური სპექტრის აშლილობისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის სტატუსის დადგენის საკითხს.<sup>53</sup>

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების გარკვეული ნაწილი, თავისი შინაარსით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინტერესებს მიემართება (მაგალითად: ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა, დღის ცენტრების ქვეპროგრამა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა და სხვ.),<sup>54</sup> განსხვავებით ქალებისა, რომლებიც მიზნობრივ ჯგუფად არ არის განხილული სახელმწიფოს მხრიდან მსგავს პროგრამებში.

სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, როგორც მიზნობრივი ჯგუფის გამოკვეთა პოზიტიურია მიუხედავად დასახელებული პროგრამების ეფექტურობასა და საკმარისობასთან დაკავშირებული არაერთი კითხვისა. თუმცა, შესაძლოა ეს მიდგომა განპირობებული იყოს არა ბავშვების, როგორც განსაკუთრებულად მონყვლადი კატეგორიის სათანადო გააზრებით, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის თავისებურებით, რომელიც მისი ღონისძიებებისა და ქმედებების დიდ ნაწილს სამედიცინო მოდელს აფუძნებს და პოლიტიკას ჯანმრთელობის მდგომარეობას, კერძოდ, „დაავადების“ ადრეულ გამოვლინებასა და მკურნალობას უკავშირებს, რაც გაცილებით ეფექტური შეიძლება იყოს ადრეულ ასაკში. ეს კი ბავშვებს თავისთავად აქცევს ამ მიდგომის სამიზნედ.

სახელმწიფომ უნდა გაიაზროს თანასწორობისთვის ბრძოლის ბევრი მიმართულებით წარმართვის საჭიროება და მისი პოლიტიკა იმ დისკრიმინაციული პრაქტიკის წინააღმდეგ მიმართოს, რაც კანონმდებლობაში, მის იმპლემენტაციასა თუ საზოგადოების დამოკიდებულებებში აისახება.

<sup>52</sup>იქვე, გვ: 544

<sup>53</sup>იქვე, გვ: 545

<sup>54</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2322406&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2322406&lang=ge) ბოლოს ნანახია: 07.07.2014

კონვენციის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების იმპლემენტაციისათვის, მნიშვნელოვანია:

- გაიზარდოს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტურობა, შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტებისა და სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსების გაძლიერებით;
- მოხდეს გონივრული მისადაგების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობასა და დისკრიმინაციის ცნებაში;
- სახელმწიფოს პოლიტიკის ყველა სფერომ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქალების ინდივიდუალური საჭიროებები;
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში, მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქალების, როგორც მიზნობრივი ჯგუფის გათვალისწინება;
- სახელმწიფომ განახორციელოს პოზიტიური ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქალების თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით;
- სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტირებისას, მოხდეს სათანადო ფინანსური სახსრების გათვალისწინება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქალების ინტერესების სათანადო რეალიზებასათვის;



## 5. თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება

### კონვენციით ნაკირსი ვალდებულება

კონვენციის მე-12 მუხლი აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლებას და ამ მიდგომის რეალიზებას უკავშირებს სახელმწიფოს ვალდებულებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. მხარდაჭერა მიზნად უნდა ისახავდეს უფლებების მატარებლის, სუბიექტის ნამდვილი ნების გამოვლენის ხელშეწყობას, რათა პირმა შეძლოს უფლებებით სათანადო სარგებლობა საკუთარი ავტონომიურობის პირობებში.

კონვენცია იცავს გონებრივი და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირების ქმედუნარიანობას, ცხოვრების ყველა სფეროში და მიუთითებს რომ, მათი უფლებების გარანტირებისას მიღებული ზომები ორიენტირებული უნდა იყოს პირის უფლებების დაცვაზე და ემსახურებოდეს მისი სურვილების გამოხატვას. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დადგენილი გარანტიები თავისუფალი უნდა იყოს ინტერესთა კონფლიქტის, არაჯეროვანი ზეგავლენისგან, პირის მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოიყენებოდეს დროის მინიმალური პერიოდით და გარკვეული პერიოდულობით ექვემდებარებოდეს შემოწმებას კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს მიერ.

### ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

ეროვნულ კანონმდებლობაში დამკვიდრებული სამართლებრივი ქმედუნარიანობის ინსტიტუტი არ შეესაბამება კონვენციის მიზანს და წინააღმდეგობაშია მის მიერ დადგენილ სტანდარტთან. მოქმედი მოდელი მთლიანად გამორიცხავს ქმედუნარო პირის მონაწილეობას საკუთარი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ნაცვლად მხარდაჭერის სისტემის ამოქმედებისა, სუბიექტის სამართლებრივ ნებას სრულად ანაცვლებს მეურვის ნებით. პირის ქმედუნარობა, რომელიც უთანაბრდება გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არქონას, წარმოადგენს სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლებების განხორციელების, მათ შორის, ქორწინების, მშობლის უფლების რეალიზების, სამოქალაქო გარიგების დადებისა თუ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის საფუძველს.<sup>55</sup>

კონვენციის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, საქართველოში არ მოქმედებს მეურვეობის ალტერნატიული სამსახურები, როგორცაა დამხმარის ან მხარდაჭერის მექანიზმები, რაც პირისათვის საჭიროების შესაბამისი მოცულობის და შინაარსის მხარდაჭერას განხორციელებას უზრუნველყოფს. ამგვარი მეთოდის შეთავაზების ნაცვლად, მეურვეობის აღწერილი მოდელი არის ერთადერთი პასუხი სახელმწიფოს მხრიდან იმ პირების მიმართ, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერა ესაჭიროებათ.<sup>56</sup> ამ

<sup>55</sup>Contribution to the Universal Periodic Review Mechanism; pr.57, available:

[http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/JS4\\_JointSubmission4-eng.pdf](http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/JS4_JointSubmission4-eng.pdf); last seen:20.07.2014

<sup>56</sup>„გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის განხორციელება საქართველოში“, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, 2010 წელი, გვ:16

დროისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ქმედუნარიანობის მოქმედი მოდელის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს.<sup>57</sup>

## ქმედუნაროდ აღიარებისა და მეურვის დანიშვნის პროცედურა

პირის ქმედუნაროდ აღიარებისა და მისთვის მეურვის დანიშვნის პროცედურა ქმნის სივრცეს თავად ამ პირის პროცესს მიღმა დატოვებისთვის, რაც გულისხმობს პროცედურის წარმართვის შესაძლებლობას მისი სათანადო მონაწილეობის გარეშე.

სამოქალაქო კოდექსი პირის ქმედუნარობის საფუძვლად „ჭკუასუსტობას“ ან „სულით ავადმყოფობას“ მიიჩნევს. ქმედუნაროდ აღიარება კი ხდება სასამართლოს მიერ პირის ოჯახის წევრების, კანონიერი წარმომადგენლის, მეურვისა და მზრუნველობის ორგანოს ან ფსიქიატრიული დაწესებულების განცხადების საფუძველზე.<sup>58</sup> თავისმხრივ, განცხადების საფუძველი არის პირის ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი, რისი დასასაბუთებისა და პირის ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით, სასამართლო ნიშნავს ექსპერტიზას და მის შედეგს, აფუძნებს საბოლოო გადაწყვეტილებას პირის ქმედუნაროდ აღიარების თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი მიეკუთვნება უდავო წარმოების გზით განსახილველ საქმეს, რაც დავის საგნის არარსებობას ნიშნავს. პირი ვისი ქმედუნარობის საკითხიც განიხილება, არ სარგებლობს რაიმე სტატუსით მიმდინარე პროცესში. ამასთან, კანონი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, სავალდებულოდ არ ადგენს თავად ქმედუნაროდ საცნობი პირის მონაწილეობას პროცესში და პირის სხდომაზე მონაწილეს საკითხი წყდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც სასამართლოს შეფასებას ექვემდებარება ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. ამასთან, კანონი პირის მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაშიც კი, არ უზრუნველყოფს პირისათვის სავალდებულო დაცვის უფლებით სარგებლობას, რაც შესაძლებელს გახდის პირის ინტერესების სათანადო წარმოდგენას სასამართლო პროცესში.

გარდა იმისა, რომ შესაძლოა გადაწყვეტილება პირის მონაწილეობის გარეშე იქნას გამოტანილი, ქმედუნაროდ ცნობილ პირს, გადაწყვეტილების გამოტანისთანავე ერთმევა შესაძლებლობა გაასაჩივროს ის. გამომდინარე იქიდან, რომ პირის ქმედუნაროდ აღიარების ფაქტი, მას სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას უზღუდავს ნებისმიერ შემთხვევაში, ამასთან, საქმე მიეკუთვნება უდავო წარმოებით განსახილველ საქმეებს. ამ შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ენიჭება მხარეს, რომელსაც არ დაუკმაყოფილდა განცხადება, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, როგორც ქმედუნაროდ პირის ინტერესების გამტარ ორგანოს.

შესაბამისად, პირის პროცესში ჩართულობის კანონით შემოთავაზებული მექანიზმები, შესაძლებელს ხდის მისი მონაწილეობის სრულად გამორიცხვას, მის მიმართ მისაღები

<sup>57</sup>იხ. საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია აქ:

[http://constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=24&id=768&action=show](http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=24&id=768&action=show);

<sup>58</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXXVIII

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების პროცესში. ქმედუუნაროდ ცნობის პროცედურა აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ იმ პირობებში, როდესაც პირის ქმედუუნაროდ აღიარება არ არის მომხდარი და ასეთის საჭიროებაზე შესაძლოა მხოლოდ გონივრული ვარაუდი არსებობდეს, კანონმდებლობა მოქმედებს პირის ქმედუუნარობის პრეზუმფციით.

ქმედუუნარო პირს ასევე ეზღუდება უფლება გაასაჩივროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მეურვის დანიშნის შესახებ. ასევე, უგამონაკლისოდ შეზღუდულია ქმედუუნარო პირის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, მისი ფაქტობრივი გამოჯანმრთელების შემთხვევაშიც კი, რაც ქმედუუნარობის გაუქმების საფუძველია. ქმედუუნარო პირის სტატუსის ქვეშ მყოფ პირს კი არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს და იგი დამოკიდებული ხდება სხვა პირების მხრიდან ამგვარი ნების გამოვლენაზე.<sup>59</sup> ქმედუუნარო პირის ნაწილობრივი გამოჯანმრთელება ასევე არ არის საფუძველი, ქმედუუნარობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა და მოუქიდებლად, ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მიერ.

ამდენად, პროცესი, რომელსაც კანონმდებელი გვთავაზობს ვერ უზრუნველყოფს ქმედუუნარო პირის სათანადო მონაწილეობასა და მისი ინტერესების წარმოდგენას. ამგვარი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც პირის ნებას არ უქვემდებარებს, მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე სასამართლო კონტროლის მექანიზმის გამოყენებას, ზრდის მათზე ძალადობის, უხეში მოპყრობისა და უფლებების შელახვის რისკებს, რასაც ადასტურებს კიდევც არსებული პრაქტიკა.<sup>60</sup>

## **პირის ქმედუუნაროდ ცნობა და მისი სამართლებრივი შედეგები**

პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, პირს დაუნიშნოს მეურვე. თუმცა, მეურვეობის დადგენის პროცედურა არ ითვალისწინებს სამეურვეო პირის მონაწილეობას ამ პროცესში.

მეურვე, მისი სახელით და განსაკუთრებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, ახორციელებს პირის სამოქალაქო უფლებებს.<sup>61</sup> მასვე ეძლევა უფლება წარმოადგინოს ქმედუუნარო პირი მესამე პირებთან ურთიერთობაში ან სასამართლოში. ამასთან, პირი კარგავს სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლებას, უფლებების უშუალოდ, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ განხორციელების შესაძლებლობასაც კი.

სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებით, პირს ავტომატურად ერთმევა საკუთრების შექცენისა და გასხვისების, ქორწინების, ხმის მიცემის, სასამართლოსადმი მიმართვის და სხვა მნიშვნელოვანი უფლებები.<sup>62</sup> ქმედუუნარო პირი ასევე მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება მისი მკურნალობის შესახებ, რაც ლახავს მის ღირსებასა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლებას.<sup>63</sup> ქმედუუნარობის მოქმედი ინსტიტუტის

<sup>59</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 327

<sup>60</sup>„გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის განხორციელება საქართველოში“, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, 2010 წელი, გვ: 16

<sup>61</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12, მუხლი 1276.



მიმართება სხვა უფლებების რეალიზების კონტექსტში და მისი ნეგატიური გავლენა უფლების რეალიზებაზე, განხილულ იქნება შესაბამის თავებში.

## **დეკლარაცია მე-12 მუხლზე და მისი სამართლებრივი შედეგი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებისას, მე-12 მუხლზე საქართველომ მოამზადა დეკლარაცია.<sup>64</sup> სახელმწიფოებს კონვენციის ტექსტზე შეუძლიათ მხოლოდ განმარტებითი დეკლარაციების გაკეთება, ანუ განცხადება ხელშეკრულების კონკრეტული დებულების მისეული ხედვის ან ინტერპრეტაციის შესახებ, რომლის მიზანია შეთანხმების კონკრეტული დებულებებისა თუ მთლიანი შეთანხმების მნიშვნელობის განმარტება.<sup>65</sup> საქართველოს მიერ კონვენციის მე-12 მუხლზე გაკეთებული დეკლარაცია შემდეგ შინაარსს ატარებს:

„საქართველო, კონვენციის მე-12 მუხლს, ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამის დებულებებთან ერთობლიობაში განმარტავს და შესაბამისად, მოახდენს მისი დებულებების იმგვარ ინტერპრეტაციას, რომლითაც მინიჭებული იქნება სამართლებრივი დაცვის ყველაზე მაღალი ხარისხი, პირთა ღირსების, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური მთლიანობის და მათი საკუთრების ხელშეუვალობის უზრუნველსაყოფად.“

დეკლარაციის შინაარსი არ ადგენს სამართლის კონკრეტული სივრცის უპირატესობას მეორეზე ამგვარი კოლოზიის არსებობის შემთხვევაში. დეკლარაციის თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, მოხდეს ნორმის პრაქტიკული იმპლემენტაცია ადამიანის სამართლებრივი დაცვის ყველაზე მაღალი ხარისხით, საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და შიდა კანონმდებლობის ერთობლივი განმარტებით, რაც ვერ აუვლის გვერდს კონვენციის შინაარსის გამოყენების აუცილებლობას.

თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება ნიშნავს, იყო ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების მატარებელი და სარგებლობდე კიდევ მათით, რასაც გარანტირებულს უნდა ხდიდეს სახელმწიფოს მიერ უფლების შინაარსის ამგვარი აღიარება და მისი სათანადო დაცვა. არსებული რეგულაციების შეუთავსებლობა კონვენციის მიდგომასთან ნათლად აჩვენებს, ქმედუუნარობის ინსტიტუტის სისტემური ცვლილების საჭიროებას, რომელიც დაეფუძნება პირის სუბიექტად აღიარების პრინციპს, მისი ნების ავტონომიურობას; დანერგავს პირის ქმედუუნარობის შეფასების ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ სისტემას და მხარდაჭერის მექანიზმის შემოტანით, უზრუნველყოფს პირის ნების გამოვლენასა და მის დაცვას.

<sup>62</sup>იქვე:

<sup>63</sup>ვრცლად იხილეთ თავში: პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება; წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან თავისუფლება; ექსპლואატაციის, ძალადობისა და შურააცხყოფისგან თავისუფლება; პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა (კონვენციის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები)

<sup>64</sup>საქართველოს პარლამენტის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით რატიფიკაციის შესახებ [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=2164946&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2164946&lang=ge) , ბოლოს ნანახია: 10.07.2014

<sup>65</sup>„გარიყულობიდან თანასწორობამდე: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელება“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჟენევა, 2007 წელი, გვ:56

შესაბამისად, კონვენციის მე-12 მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, საჭიროა:

- კონვენციის მოთხოვნა თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების გარანტირებაზე აისახოს ყველა შესაბამის საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში და მოიხსნას დეკლარაცია კონვენციის მე-12 მუხლზე;
- ძირეულად შეიცვალოს პირის ქმედუნაროდ აღიარების ხისტი მოდელი და ჩანაცვლდეს პირის ინდივიდუალურ შეფასებაზე დაფუძნებული ფუნქციური მოდელით, რაც გაითვალისწინებს პირის მიერ გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღების უნარის შეფასებას ინდივიდუალურად, თითოეულ უფლებასთან მიმართებაში;
- შემუშავდეს და დაინერგოს გადანყვეტილების მიღების პროცესში პირის ჩართვისა და მხარდაჭერის სათანადო მექანიზმი, რაც დაიცავს პირის სამართლის სუბიექტად აღიარებისა და ნების ავტონომიურობის პრინციპს;
- დაინერგოს და ამოქმედდეს პირის ქმედუნარიანობის საკითხისა და მხარდამჭერის ქმედებების სასამართლო კონტროლის ეფექტური მექანიზმი.

მისაწვდომობა

## 6. მისანვდომობა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

მისანვდომობას კონვენცია, სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის, ერთ-ერთ ფუნდამენტურ პირობად განიხილავს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, სხვა უფლებების რეალიზების კონტექსტში, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. UNCRPD-ის მე-9 (მისანვდომობა) და 21-ე (აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მისანვდომობა) მუხლები განსაზღვრავენ და კომპლექსურად იაზრებენ ხელმისაწვდომობის შინაარსს, რაც მოიცავს როგორც სივრცეზე, ასევე ინფორმაციასა და სერვისებზე მისანვდომობის უფლებას. კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მიიღონ ყველა ზომა, რაც შესაძლებელს გახდის ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარ მისანვდომობას.

### მისანვდომობის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

არასათანადო მისანვდომობა უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საქართველოში. ამ საკითხის კომპლექსურობიდან და მრავლისმომცველობიდან გამომდინარე, მისი უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს.

არსებული კანონმდებლობა, მიუხედავად მისი არასრულყოფილებისა და არაეფექტურობისა, შეიცავს გარკვეულ ჩანაწერებს, რაც მისანვდომობის უზრუნველყოფის ბაზისურ საკანონმდებლო გარანტიებს ქმნის. თუმცა, ამ კუთხით არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა აჩვენებს, რომ ის სრულად ვერ პასუხობს რეალურ გამოწვევებს და ვერ უზრუნველყოფს მისანვდომი გარემოსა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის შესაბამისი პირობები შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. აღნიშნული კრიტიკა არ მიემართება მხოლოდ კანონმდებლობას და ის სახელმწიფოს პოლიტიკასაც შეეხება.

კონვენცია მისანვდომობის სხვადასხვა ფორმაზე საუბრობს. თუმცა, საქართველოში დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისანვდომობის დამატებით გარანტიებს განსაზღვრავს, არეალის მოცვის თვალსაზრისითაც ვიწროა და მხოლოდ ფიზიკური გარემოს მისანვდომის რეგულირებით შემოიფარგლება. კერძოდ, მისანვდომობის უფლების რედუცირებას მის მხოლოდ ერთ კომპენენტზე-ფიზიკურ გარემოზე ახდენს, რომელიც თავისთავად ცნების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა, არასაკმარისი კონვენციის მიზნებისათვის.

შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში გაანალიზებული იქნება ფიზიკური გარემოს, ინფორმაციისა და სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის არსებული საკანონმდებლო სივრცე და უფლების რეალიზების პრაქტიკული ასპექტები. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის განმარტებისას, საუბრობს გარემოზე ფართო გაგებით, რომელშიც სოციალურ გარემოსაც მოიაზრებს. თუმცა, კონვენციის მე-9 და 21-ე მუხლების მიზნებისათვის, გარემო გულისხმობს ფიზიკურ გარემოს მის ყველა ფორმაში, ასევე, სერვისებსა და ინფორმაციას. ხოლო სოციალური გარემოს გარდაქმნას და მასში არსებული დაბრკოლებების გადალახვას კონვენცია უკავშირებს სახელმწიფოების ვალდებულებას განახორციელოს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.

## გარემოს მისაწვდომობა

კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს გარემოს ხელმისაწვდომობის უფლებას და ადგენს სოციალური ინფრასტრუქტურით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეუფერხებელი სარგებლობისათვის აუცილებელი პირობების შექმნის ვალდებულებას. მითითებული აქტი ითვალისწინებს არამხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინების ვალდებულებას შენობების პროექტირებისას და მშენებლობისას, არამედ არსებული შენობა-ნაგებობების სათანადო მოდიფიცირებას.<sup>66</sup> ეს ვალდებულება კანონის ამოქმედების მომენტიდან, ანუ 1995 წლიდან არსებობს, რაც მის არაეფექტურობაზე მეტყველებს. ფიზიკური გარემო, მათ შორის, შენობების შიდა და გარე ინფრასტრუქტურა, ქუჩები, სკვერები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტრანსპორტი და სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სივრცე ადასტურებს, რომ ნორმით დადგენილი რეგულაცია მოკლებულია აღსრულების ელემენტს და ვერ ცვლის არსებულ ვითარებას.<sup>67</sup>

კანონდებლობა ითვალისწინებს სანქციონების მექანიზმს ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებლობისას,<sup>68</sup> რომლის შეფარდების უფლებამოსილებით შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები არიან აღჭურვილნი, რომელიც სამინისტროს ამ დრომდე არ განუსაზღვრია. თავად სამინისტროს განმარტებით, ნორმის პრაქტიკულ იმპლემენტაციას აბრკოლებს სამინისტროსათვის სათანადო ფუნქციებისა და რესურსების არარსებობა.<sup>69</sup>

2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში,<sup>70</sup> შენობა-ნაგებობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აღსრულების საკითხის გათვალისწინების მიუხედავად, არსებული პრაქტიკა არ შეცვლილა.

UNCRPD-ის რატიფიცირების შემდგომ, საქართველოს მთავრობამ მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და

<sup>66</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, თავი II

<sup>67</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 525

<sup>68</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 239, პუნქტი 45

<sup>69</sup>სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 527

გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი”,<sup>71</sup> რომელიც მნიშვნელოვანი დოკუმენტია გარემოზე მისანვდომობის სტანდარტის დადგენის თვალსაზრისით. რეგლამენტი შენობა-ნაგებობესათვის ადგენს მისანვდომობის სტანდარტს, რომელიც ვრცელდება როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებზე. დოკუმენტი ადგენს, რომ აშენებული და მშენებარე ნაგებობები აღნიშნულ სტანდარტთან შესაბამისობაში უნდა მოვიდნენ, რეგლამენტის დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში. რეგლამენტის ძალაში შესვლიდან მოყოლებული სავალდებულოა შენობათა აგება რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. მითითებული დოკუმენტი პასუხობს შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით სტანდარტის დადგენის საჭიროებას, თუმცა იგი მხოლოდ ფიზიკური გარემოს მისანვდომობის შესახებ სტანდარტის დადგენით შემოიფარგლება და არ შეეხება კონვენციით მისანვდომობის უზრუნველსაყოფად დადგენილ სხვა კომპონენტებს.

დოკუმენტის მთავარ გამონვევას მასში მოცემული სტანდარტების აღსრულების საკითხი წარმოადგენს. ამასთან, ის არ არის მოქნილი იმ გაგებით, რომ არ ახდენს საკითხების პრიორიტეტიზაციას, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამასთან, ტექნიკური რეგლამენტი არ ითვალისწინებს შემჭიდროვებულ ვადებს ცალკეული საზოგადოებრივი, მათ შორის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ობიექტების ადაპტირებისათვის. ასევე, არ ითვალისწინებს შუალედურ ვადებს ადაპტაციის პროცესის კონტროლისათვის. სტანდარტის შექმნის მიუხედავად, კვლავ პრობლემურია მისი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების საკითხი, რაც კვლავ დღის წესრიგში ტოვებს შენობა-ნაგებობების მისანვდომობის რეალური იმპლემენტაციის საკითხს.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხელმისაწვდომი გარემო ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. საჯარო სივრცე, საზოგადოებრივი ობიექტები, შენობა-ნაგებობი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. მათ შორის, ამ ჯგუფისათვის მიუწვდომელია საკუთარი საცხოვრებელი სახლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ჯანდაცვის ობიექტები, ქუჩები, სკვერები. არსებული შენობების შიდა და გარე ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული. ამასთან, არ ხდება მისანვდომი გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. პრობლემა ეხება როგორც ძველი, ისე რეაბილიტირებული და ახალი შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურას. შედეგად, არსებული ბარიერების გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მცირე გამონაკლისების გარდა, ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჯარო სივრცეებით სარგებლობას.<sup>72</sup> მითითებული პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში.<sup>73</sup>

<sup>70</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-20120 წლების სამთავრობო გეგმა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულებით

<sup>71</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

<sup>72</sup> Bureau of Democracy, Human Rights and Labor Country Reports on Human Rights Practices for 2013 Georgia; Persons with disabilities

<sup>73</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 524

გარემოს მისანვდომობის პრობლემა უკავშირდება არაერთი უფლების განხორციელებას. მაგალითად, სასამართლოს შენობების ფიზიკურ და ტერიტორიული მისანვდომობას არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების მისანვდომობის შეზღუდვა. ეს საკითხი, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან დღესდღეობით, სასამართლოს შენობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.<sup>74</sup>

სახალხო დამცველის ანგარიშები, მისანვდომობის პრობლემაზე საუბრისას, ნათლად მიუთითებენ სისტემური პრობლემის არსებობაზე, რომლის გადაჭრაც წარმოუდგენელია სახელმწიფოს მცირე ძალისხმევითა და რესურსით. ომბუდსმენის მონიტორინგი ავლენს, რომ მცირე გამონაკლისების გარდა, უხეშად არის დარღვეული გარემოს ხელმისაწვდომობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები<sup>75</sup> და ამ საკითხის გადაჭრისათვის სისტემური ხედვის ჩამოყალიბების საჭიროებაზე მიუთითებს, რაც უნდა გულისხმობდეს ყველა ტიპის ბარიერის აღმოფხვრას არსებულ გარემოში.<sup>76</sup>

## მისანვდომობა ინფორმაციასა და სერვისებზე

ინფორმაციის მისანვდომობის გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია<sup>77</sup> და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავი.<sup>78</sup> კონსტიტუციის 24-ე მუხლი ადგენს „ყველას“ უფლებას ინფორმაციის მიღებისა და გაცემაზე. ხოლო 41-ე მუხლში, განმტკიცებულია „საქართველოს მოქალაქეთა“ უფლება მიიღონ სახელმწიფო დაწესებულებებში მათ შესახებ არსებული ინფორმაცია, რაც წარმოშობს სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

კონსტიტუციით გარანტირებული უფლების სუბიექტებად, სხვებთან ერთად თანაბრად, მოიაზრებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თუმცა, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა სპეციალურ მითითებას სახელმწიფოს ვალდებულებაზე განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერა, არ აკეთებს. აღნიშნულის საპასუხოდ, ინფორმაციის თავისუფლების გლობალური რეიტინგი (Global RTI Rating) საქართველოს ნეგატიურად აფასებს ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურული ნაწილის შეფასების იმ კრიტერიუმში, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულების დახმარების ვალდებულებას, სპეციალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, განცხადების შედგენისას.<sup>79</sup>

ამასთან, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონი მხოლოდ ფიზიკურ გარემოზე მისანვდომობის საკითხით შემოიფარგლება და არ

<sup>74</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ: 751

<sup>75</sup>„სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით“ საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი, გვ: 35

<sup>76</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, გვ: 509

<sup>77</sup>საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24, მუხლი 41

<sup>78</sup>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი II

<sup>79</sup>Global Right To Information Rating, Georgia, Requesting Procedures;

Available:[http://www.rti-rating.org/view\\_country.php?country\\_name=Georgia](http://www.rti-rating.org/view_country.php?country_name=Georgia); last seen: 20.07.2014

შეიცავს ინფორმაციული და ტექნოლოგიებზე მისანვდომობის უზრუნველყოფის სავალდებულობას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი, რომელსაც ევალება თავად უზრუნველყოს მის მიერ წარმოებული ინფორმაციასა თუ სერვისებზე თანაბარი წვდომა, თავად საჯარო დაწესებულებები არიან. ომბუდსმენის ანგარიში აჩვენებს, რომ საჯარო დაწესებულებებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევები უმნიშვნელოა ან თითქმის არ არსებობს. 2012 წლის კვლევამ აჩვენა, რომ სამინისტროებიდან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მომსახურებისას, არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა.<sup>80</sup> სამინისტროთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, ინფორმაციის ადეკვატური ფორმებით მიწოდებისა და კომუნიკაციის პრაქტიკა.<sup>81</sup> საჯარო დაწესებულებები არ იყენებენ სპეციალურ საშუალებებსა და პერსონალს, მათ შორის სურდო თარჯიმნების მომსახურებას, ამ ჯგუფისათვის სათანადო სერვისის უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველი ინფორმაციისა და სერვისებზე წვდომის პრობლემურობის ანალიზისას მიუთითებს, სახელმწიფო უწყებათა გულგრილ დამოკიდებულებაზე როგორც ერთ-ერთ ფაქტორზე. ასევე, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პასიურობაზე, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული, პოზიტიური ღონისძიებების ნაკლებობითა და სახელმწიფოს ინდიფერენტულობით, პრობლემის მიმართ.<sup>82</sup>

ინფორმაციაზე წვდომის უმნიშვნელოვანეს წყაროებს წარმოადგენს მედია და ინტერნეტ-სივრცე, რომელთა მისანვდომობის გაზრდისათვის აუცილებელია შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების შემოტანა.

ინფორმაციასა და სერვისებზე მისანვდომობა გულისხმობს ადაპტირებულ საკომუნიკაციო საშუალებებს, სატელევიზიო გადაცემებს, მისანვდომ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებულ მომსახურებას საჯარო თუ კერძო სივრცეში. მისანვდომობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სატელევიზიო გადაცემები სუბტიტრებიტრებითა და სხვა ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით იძლეოდეს წვდომის შესაძლებლობას, სმენის არმქონე პირებისა და მოხუცებისათვის.<sup>83</sup> ასევე, მნიშვნელოვანია ვებ-გვერდების მოდერნიზება/ადაპტირება, რათა ფიზიკურ პირებს თანაბრად მიეცეთ საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობა ინტერნეტზე სათანადო წვდომის გზით, რაც უპირველეს ყოვლისა, უნდა მიემართებოდეს სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდებსა და საინფორმაციო ბაზებს და აგრეთვე, ვრცელდებოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირების საინფორმაციო რესურსებზე.<sup>84</sup>

<sup>80</sup> „ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი, გვ: 23-25

<sup>81</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 530

<sup>82</sup> იქვე, გვ: 530

<sup>83</sup> იქვე, გვ: 528

<sup>84</sup> იქვე, გვ: 529



ამ მხრივ, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის გადაუდებელი დახმარების სამსახურებზე (სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო-სამაშველო, საპატრულო პოლიცია და სხვა.) სათანადო წვდომის პრობლემა. სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ამ ჯგუფისათვის სასწრაფო-სამედიცინო და სხვა სამსახურების მისაწვდომობის - ინფორმაციის გაცვლის ალტერნატიული მექანიზმებს, რაც მათი გადაუდებელი დახმარების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვას იწვევს.<sup>85</sup>

**შესაბამისად, კონვენციის მე-9 და 21-ე მუხლების იმპლემენტაციის მიზნით, მნიშვნელოვანია:**

- მოხდეს კონვენციასთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელშიც მისაწვდომობა გააზრებული იქნება გარემოზე, ინფორმაციასა და სერვისებზე მისაწვდომობის ქრილში; განისაზღვროს ინფორმაციასა და სერვისებზე წვდომის სტანდარტი;
- მისაწვდომობის რეგულაციები და სტანდარტები გავრცელდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორზე, მათ შორის მოიცვას მედია;
- კანონმდებლობაში გაიწეროს მისაწვდომობის სტანდარტების აღსრულებისა და მონიტორინგის ეფექტური ბერკეტები. კერძოდ, რეპრესიული და პრევენციული მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ნებართვაზე უარს, ინსპექტირებას, დაჯარიმებას და სხვა ღონისძიებების გამოყენებას;
- უპირატესად და გონივრულად მოკლე ვადებში მოხდეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი საჯარო ობიექტების, სამოქალაქო სერვისების მიწოდებაზე პასუხისმგებელი შენობებისა და მათი შიდა და გარე ინფრასტრუქტურის ადაპტირება;
- უპირატესად და გონივრულად მოკლე ვადაში უზრუნველყოფილ იქნას სერვისების, მათ შორის, გადაუდებელი დახმარების სერვისების ადაპტირება;
- განისაზღვროს ადაპტირებული ტრანსპორტის უზრუნველყოფის ვალდებულება, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისა და შესაბამისი მომსახურების სუბიექტებისათვის და გაიწეროს მისი დანერგვის რეალისტური გეგმა;
- სახელმწიფო უწყებებისა და კერძო დანესებულებების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობებისას, უზრუნველყოფილ იქნეს ყესტების ენის, ბრაილის შრიფტის, ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა საშუალებების დანერგვა და გამოყენება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდება მოხდეს მათთვის მისაღები ფორმატითა და ტექნოლოგიების გამოყენებით (ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი და სხვა);
- მოხდეს საჯარო და კერძო დანესებულებების ვებ-გვერდების ადაპტირება მხედველობის არმქონე და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;

<sup>85</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ: 724

- მისანვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა თუ შესაბამისი პროგრამების შემუშავებაში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, მაქსიმალურად იქნას გარანტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა და აღნიშნულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოიყოს სათანადო სახრები და შემუშავდეს მისანვდომობის უზრუნველყოფის პროგრამები;
- მოხდეს საჯარო და კერძო დაწესებულებების თანამშრომლების გადამზადება სერვისებისა და ინფორმაციის სათანადო მისანვდომობის უზრუნველსაყოფად;

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა

## 7. მართლმსაჯულებაზე მისანვდომობა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის მე-13 მუხლი ადგენს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას-მართლმსაჯულების მისანვდომობაზე, რაც გულისხმობს, სახელმწიფოს შემხვედრ ვალდებულებას, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, უზრუნველყოს ეფექტური მისანვდომობა მართლმსაჯულების ორგანოებზე სხვებთან თანაბარ პირობებში. დოკუმენტი ასევე მიუთითებს საქმისწარმოებაში არაპირდაპირი ჩართულობის ფორმების უზრუნველყოფაზე, მათ შორის, მოწმის სახით მონაწილეობის შესაძლებლობაზე, რისი გარანტირებაც მნიშვნელოვანია ამ მუხლის სათანადო დანერგვისათვის. ამასთან, UNCRPD სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევს იზრუნოს სამართლის ადმინისტრირების სფეროში მომუშავე პერსონალის, მათ შორის პენიტენციური სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისი პერსონალის გადამზადებაზე, ვინაიდან აღნიშნულს მართლმსაჯულებაზე ნვდომის უზრუნველყოფის ერთ-ერთი კომპონენტად მიიჩნევს.

### ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

ეროვნული კანონმდებლობა ქმედუუნარობის ინსტიტუტის კონკრეტულ პირთან მიმართების სამართლებრივ შედეგებს, ამ პირთა ცალკეული უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად აქცევს და ქმედუუნარო პირისათვის, სხვა უფლებებთან ერთად, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ზღუდავს. კერძოდ, მოქმედი რეგულირება პირის ქმედუუნაროდ აღიარების ფაქტს სამართალწარმოების სუბიექტის სტატუსთან შეუთავსებელ მოცემულობად განიხილავს და გამორიცხავს ამ პირების დაშვებას მართლმსაჯულებაზე, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით. შესაბამისად, პირთა გარკვეულ კატეგორიას სრულად ეკრძალება იყოს სამართალწარმოების ინიციატორი (მოსარჩელე) ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში მოწმის სახით.

მართლმსაჯულებაზე სათანადო ნვდომის საკითხი პრობლემურია, როგორც ქმედუუნაროდ ცნობილი პირების შემთხვევაში, აგრეთვე იმ პირების მიმართაც, რომელთა ქმედუუნაროდ ცნობის თაობაზე მიმდინარეობს სამართალწარმოება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქმედუუნარო პირების ინტერესების დაცვას სასამართლოში მთლიანად მეურვეთა პრეროგატივად განიხილავს, ვინაიდან, ქმედუუნარო პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველია. შესაბამისად, კანონი ქმედუუნარო პირის ნებისმიერი უფლების სასამართლო წესით დაცვას მეურვის ნებას უქვემდებარებს.

ამგვარი ნორმატიული მოწესრიგების პირობებში, ქმედუუნარო პირი არ არის უფლებამოსილი სადავო გახადოს მათ შორის მეურვის ქმედებათა მის ინტერესებთან შესაბამისობის საკითხი. ეს კი მეურვის არაკეთილსინდისიერი ქმედებებისა და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის უკონტროლო სივრცეს ტოვებს, რითიც ზრდის ქმედუუნაროდ ცნობილი პირის ინტერესების ხელყოფის საფრთხეს. ამასთან, ქმედუუნარო პირი არათუ ვერ გაასაჩივრებს მეურვის კონკრეტულ მოქმედებას, არამედ

მეურვისაგან დამოუკიდებლად, ვერ მიმართავს სასამართლოს ქმედუუნაროდ მიჩნევის თაობაზე გადაწყვეტილების გადახედვის მიზნით. ეს რეგულაცია მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახეზეა მისი სრულად გამოჯანმრთელების ფაქტი, რაც თავის მხრივ, ქმედუუნარობის გაუქმების საფუძველია.

მართლმსაჯულებაზე მისანვდომობის უფლების გარანტირების კუთხით მნიშვნელოვანია მოხდეს პირის ქმედუუნაროდ აღიარების საქმეზე სასამართლო განხილვის პროცედურისა და მასში უშუალოდ ამ პირის მონაწილეობის შესაძლებლობების გააზრება. მოქმედი კანონდებლობით, აღნიშნული წარმოების დაწყება ხდება ოჯახის წევრების, კანონიერი წარმომადგენლის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების განცხადების საფუძველზე, ხოლო განხილვა მიმდინარეობს უდავო წარმოების წესით. ეს გულისხმობს დავის საგანის არარსებობას და პროცესში ერთი მხარის განმცხადებლის მონაწილეობას. სავალდებულო წესით, საქმეში ასევე ერთვება მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო. საქმისწარმოების ეს სახე ქმედუუნაროდ საცნობ პირს არათუ საპროცესო უფლებებით არ აღჭურავს, არამედ მის სავალდებულო მონაწილეობასაც არ ითვალისწინებს. მოქმედი ნორმით, სასამართლო შინაგანი რწმენისა და პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას იმ პირის პროცესში მონაწილეობის თაობაზე ვის მიმართაც შესაძლოა დადგეს სასამართლოს გადაწყვეტილება. საპროცესო კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს სავალდებულო დაცვის ვალდებულებას.<sup>87</sup>

ქმედუუნაროდ აღიარების საპროცესო წესი ეფუძნება „პირის ქმედუუნარობის პრეზუმფციას“, გამორიცხავს, განმცხადებლის მხრიდან პირის ინტერესების საწინააღმდეგოდ პროცესის დაწყების შესაძლებლობას და არ ითვალისწინებს მისი აუცილებელი და სათანადო დაცვის გარანტიებს. შედეგად, შესაძლოა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღოს იმ პირის პროცესიდან სრულად გამორიცხვის პირობებში, მისი ინტერესების სათანადო წარმოდგენის გარეშე, რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლოა სრულად აეკრძალოს მთელი რიგი უფლებებით დამოუკიდებლად სარგებლობა. მათ შორის, უფლება დამოუკიდებლად დაინყოს პროცესი, მის მიმართ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით.

მოქმედი კანონმდებლობა ასევე ზღუდავს ქმედუუნაროდ ცნობილი პირის არაპირდაპირ მონაწილეობას სამართალწარმოებაში. სისხლის სამართლის პროცესი, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალი კრძალავს, სამართალწარმოებისას, იმ პირის მონაწილეობას, რომელსაც "ფიზიკური ნაკლის" ან "ფსიქიკური აშლილობის" გამო, არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება.<sup>88</sup>

სასამართლოსათვის მიმართვის უფლებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, კანონმდებელი აფართოვებს უფლების შეზღუდვის საფუძველებს, ახალი შეფასებითი კატეგორიების - „ფიზიკური ნაკლისა“ და „ფსიქიკური აშლილობის“ შემოტანით, სამართლებრივ სივრცეში. მოცემული ტერმინების მნიშვნელობა კანონმდებლობაში განმარტებული არ არის,

<sup>86</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81; მუხლი 182

<sup>87</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXXVIII

<sup>88</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 141; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 50, პუნქტი 2

ამასთან, ის სცდება ქმედუწაროდ მიჩნეულ პირთა კატეგორიას. კანონმდებლობის ნებით, ცალკეულ პირთა მოწმედ დაშვებაზე დაწესებული შეზღუდვები შესაძლოა პირთა განუსაზღვრელად დიდ წრეზე გავრცელდეს. ამასთან, განსხვავებით პირის ქმედუწაროდ მიჩნევის პროცედურისაგან, რომელშიც სასამართლო ეყრდნობა ექსპერტის დასკვნას, რომელიც თავისთავად არასაკმარისი საფუძველია ამგვარი იმპერატიული შეზღუდვისთვის, მოწმის ნაწილში არსებული რეგულაცია, შეზღუდვის ამოქმედებისათვის ამგვარი წინაპირობის არსებობასაც არ ითვალისწინებს და მხოლოდ სუბიექტური შეფასების საფუძველზე უშვებს პირზე შეზღუდვის გავრცელების შესაძლებლობას.

ეროვნული კანონმდებლობა, მართლმსაჯულებაზე წვდომის ნაწილში, სრულად მოდის წინააღმდეგობაში კონვენციის მე-13 მუხლის სტანდარტებთან, ვინაიდან იმპერატიულად გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული წრის დაშვებას სამართალწარმოებაზე. ეს შეუსაბამობა გამომდინარეობს ქმედუწარობის ინსტიტუტის არსებული მოდელიდან. ეს მოდელი ქმედუწაროდ პირებს ობიექტად განიხილავს და არ უშვებს მათი როგორც ნების, სურვილებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე სამართლის სუბიექტებად აღიარების შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა კომისარი, კონვენციის მე-13 მუხლის შინაარსს დოკუმენტის მიზნებთან შესაბამისად განმარტავს და ხაზს უსვამს ყველა ხელმოწერილ სახელმწიფოს ვალდებულებას მიიღონ სათანადო და ეფექტური ზომები უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მიზნით, რამაც უნდა გამორიცხოს ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო ზეგავლენის შესაძლებლობა.<sup>89</sup> ამასთან, მისი დასკვნა მართლმსაჯულებაზე წვდომის პრობლემას, განსაკუთრებით ინტელექტუალური განვითარების შეზღუდვის შემთხვევებში, კანონმდებლობაში მოცემულ არასათანადო პროცედურებსა და შემზღუდველ ნორმებს უკავშირებს. კომისარი ხაზს უსვამს, ინსტიტუციონალიზებული მხარდაჭერის მექანიზმების საჭიროებას მართლმსაჯულებაზე წვდომის მიზნებისათვის, რომლის არარსებობას სახელმწიფოს მხრიდან უფლების ხელყოფად აფასებს. მისივე აზრით, ამგვარი მოცემულობა სასამართლო კონტროლს შეუძლებელს ხდის, პირის მხრიდან მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.<sup>90</sup>

კონვენციის შესაბამის მუხლებთან არსებითი წინააღმდეგობა აუცილებელს ხდის, ეროვნულ კანონმდებლობაში სისტემური ცვლილებების განხორციელებას, რაც ქმედუწარობის ახლებური მოდელის შუქზე, კონვენციის მიზნებთან და პრინციპებთან შესაბამისობაში, გარანტირებულს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საპროცესო უფლებების სათანადო რეალიზებას.

<sup>89</sup>Third party intervention by the Council of Europe Commissioner for Human Rights under Article 36, paragraph 3, of the European Convention on Human Rights; Strasbourg, 14 October 2011 CommDH(2011)37; pr. 19; Available: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1851457>; last seen, 28.06.2014

<sup>90</sup>Third party intervention by the Council of Europe Commissioner for Human Rights under Article 36, paragraph 3, of the European Convention on Human Rights; Strasbourg, 14 October 2011 CommDH(2011)37; pr. 42; <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1851457>; last seen, 28.06.2014

კონვენციის მე-13 მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, საჭიროა:

- გადაიხედოს პირის ქმედუენაროდ მიჩნევის მოდელი, რომელიც გაითვალისწინებს საპროცესო უფლებების სათანადო განხორციელების შესაძლებლობას, გამორიცხავს ამგვარი შეზღუდვის იმპერატიულობას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალურ, ეფექტურ და უშუალო ჩართვას სამართალწარმოების პროცესში
- ქმედუენარობის ინსტიტუტის ცვლილებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ქმედუენაროდ აღიარების თაობაზე სამართალწარმოების პროცესში და მეურვის ქმედებებზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას, პირის უშუალო ჩართულობის პროცესუალური გარანტიები,რათა მოხერხდეს მისი უფლებებისა და ინტერესების სათანადო წარმოდგენა;

პირადი და ოჯახური  
ცხოვრების პატივისცემა



## 8. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის 22-ე (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) და 23-ე (საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემა) მუხლები ადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებაში, თვითნებური და არაკანონიერი ჩარევის აკრძალვას. ამასთან, დაუშვებლად მიიჩნევენ დისკრიმინაციულ რეგულაციებსა და პრაქტიკას ქორწინების, ოჯახის, შვილსა და მშობელს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონვენცია ხაზგასმით მიუთითებს რამდენიმე საკითხზე, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით უნდა იყოს დაცული და კონვენციისეული შინაარსის შესაბამისად ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან აღიარებასა და პატივისცემას. კერძოდ, UNCRPD განსაკუთრებულად გამოყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ქორწინებასა და ოჯახის შექმნაზე, სახელმწიფოთა ვალდებულებას მხარდაჭერა გაუწიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შვილებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განხორციელებაში. ასევე, ბავშვის მშობლისაგან განცალკევების აკრძალვას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით, განურჩევლად იმისა, შესაძლებლობის შეზღუდვა მიემართება ბავშვს თუ მშობელს და სხვა. ამასთან, კონვენცია ხაზს უსვამს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებებს ისარგებლონ ოჯახური ცხოვრებით სხვებთან თანასწორად და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

### ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

საქართველოში მოქმედი ქმედუუნარობის ხისტი მოდელით გამოწვეული, ბლანკეტური აკრძალვა ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ უფლებებით სარგებლობაზე, ასევე შეეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროს.

შეზღუდვებს, რომლებიც პირის ქმედუუნაროდ ცნობის თანმდევი, იმპერატიული ხასიათი აქვს და გულისხმობს პირის ნების გამორიცხვას უფლებების განხორციელებიდან. ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების ჩანაცვლება, რომელიც თავისმხრივ, წინააღმდეგობაშია კონვენციასთან, მაინც უშვებს ცალკეული უფლებების განხორციელების შესაძლებლობას მეურვისა თუ მზრუნველის მხრიდან, ამგვარი ნების გამოხატვის შემთხვევაში. რამდენადაც ქორწინებაზე ნების გამოხატვის ჩანაცვლება შეუძლებელია მოხდეს მეურვის მიერ, ქმედუუნაროდ პირის აღიარება იწვევს მისი უფლების უპირობო შეზღუდვას ქორწინებაზე, რაც ამგვარადვეა ფორმულირებული მოქმედ კანონმდებლობაში. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება არ დაიშვება იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი „სულით ავადმყოფობის“ ან „ჭკუასუსტობის“ გამო, სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.<sup>91</sup> შესაბამისად, ქორწინების უფლების შეზღუდვის ავტომატურ საფუძველს წარმოადგენს პირის ქმედუუნაროდ აღიარების ფაქტი. ქმედუუნაროდ აღიარება კი ხდება ინდივიდუალური შეფასების გარეშე. შესაბამისად ეს შეზღუდვა სრულიად არაპროპორციულია და ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნას-სახელმწიფოებმა აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის უფლება საქორწინო ასაკის მიღწევას,

<sup>91</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1120

მეულეების თავისუფალი ნების სრულად გამოვლინების შედეგად, ქორწინებასა და ოჯახის შექმნაზე. ეროვნული კანონმდებლობა არ უშვებს ამგვარი ნების გამოვლენის შესაძლებლობას, რაც ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა დაექვემდებაროს სათანადო შეფასებასა და ანალიზს და სანაცვლოდ, მას უპირობოდ შეზღუდულად მიიჩნევა.

ქმედუნარობის ინსტიტუტის სამართლებრივი შედეგები ვრცელდება ოჯახური ცხოვრების იმ სფეროზეც, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობლის უფლებას შეეხება. სამოქალაქო კანონმდებლობა ამ შემთხვევაშიც ხისტია და ბავშვის გაშვილების სამართლებრივ საფუძვლად მშობლის (მშობლების) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობის ფაქტს მიიჩნევს.<sup>92</sup> ამავე საფუძვლით, ბავშვი შესაძლოა დაექვემდებაროს მინდობით აღზრდას.<sup>93</sup> პირის ქმედუნაროდ ცნობა ასევე გამორიცხავს მის უფლებას იყოს მშვილბელი, ვინაიდან აღნიშნულიც ქმედუნარიანობას უკავშირდება და შეუთავსებელია მასთან.<sup>94</sup>

არსებული რეგულაცია ეწინააღმდეგება კონვენციის 23-ე მუხლის მიზანს, რომლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან ნაცვლად მშობლის უფლების ჩამორთმევისა, იკისრონ პოზიტიური ვალდებულება და სათანადო მხარდაჭერა აღმოუჩინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო არც კი განიხილავს ამგვარ შესაძლებლობას და ავტომატურად ზღუდავს უფლებას. აღნიშნული რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდის ასევე ბავშვის ინტერესებთან ისარგებლოს ოჯახური ცხოვრების უფლებით, სხვებთან თანასწორად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობლების უფლებას მნიშვნელოვნად ხელყოფს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეგულაცია, რომელიც მშობლის უფლების შეჩერების საფუძვლად მიიჩნევს ბავშვის მიტოვების ფაქტს, გამოხატულს მშობლის მოქმედებითა თუ უმოქმედობით. ამ მუხლის მიზნებისათვის ამგვარად არის მიჩნეული შემთხვევა, როდესაც ბავშვი განთავსებულია 24-საათიან სახელმწიფო ზრუნვაში.<sup>95</sup> პანსიონატებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, არ აქვთ შესაძლებლობა თან იყოლიონ შვილები და ისინი იძულებულნი ხდებიან ბავშვები განათავსონ 24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში, რაც მშობლის უფლების შეჩერებას იწვევს. ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახალხო დამცველი თავის ანგარიშში და სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავების აუცილებლობაზე მიუთითებს.<sup>96</sup> 2014 წლის სახელმწიფო პროგრამამ სათემო ორგანიზაციებში მყოფ ბენეფიციარებს მისცა შესაძლებლობა თან იყოლიონ 18 წლამდე ასაკის შვილები, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.<sup>97</sup> მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯისა, ეს ჩანანერი ვერ ჩაითვლება

<sup>92</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1254; საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 6

<sup>93</sup>საქართველოს „კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 8

<sup>94</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1245; საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 7

<sup>95</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1205', პუნქტი 5

<sup>96</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 541-542

<sup>97</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა, მუხლი 3, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი

სახელმწიფოს პოლიტიკის არსებით გადახედვად, უფლებაშემლახავი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში. შესაბამისად, სახელმწიფო მშობლისა და ბავშვის უფლების არსებითი შეზღუდვისას არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ გარემოებებს და განაწვევტილებას არ აფუძნებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რომელიც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. საკითხის ამგვარი განაწვევტი უმძიმეს შედეგებს - ბიოლოგიურ მშობელსა და შვილს შორის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების სამუდამო შეწყვეტას განაპირობებს.<sup>98</sup>

მშობლის უფლებისა და ქორწინებაზე უფლების ავტომატური შეზღუდვა, განაწვევტილების მიღებისას, ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებებისა და მოცემულობების ფუნქციონალურ შეფასებაზე დამყარებული ანალიზის გამორიცხვა, ეწინააღმდეგება კონვენციის მიზანს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახური და პირადი ცხოვრების არაპროპორციულ შეზღუდვას განაპირობებს.

### კონვენციის 23-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია:

- ქმედუნარობის ინსტიტუტის გადასინჯვისას, მოხდეს ქორწინების მარეგულირებლი ნორმების ცვლილების გათვალისწინება, რომელიც დაეფუძნება კონვენციის სტანდარტებს და ფუნქციონალური შეფასების მოდელს, ინდივიდუალური გარემოებების ანალიზისა და პირთა საუკეთესო ინტერესების რეალიზების მიზანს.
- სახელმწიფომ იზრუნოს ალტერნატიული მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვაზე ქმედუნაროდ აღიარებული მშობლებისათვის;
- კანონმდებლობამ გაითვალისწინოს განაწვევტილების მიღების პროცედურა და კრიტერიუმები, რომელიც უზურნველყოფს რომ მშობლის უფლების შეზღუდვისა და ბავშვის გაშვილების თაობაზე განაწვევტილება მიღებულ იქნას როგორც ყველა პროპორციული, ადეკვატური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ღონისძიება.

<sup>97</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა, მუხლი 3, პუქტი 1, „ა“ ქვეპუქტი

<sup>98</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1260

პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება;  
წამების ან სასტიკი, არაჰუმანური,  
დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან  
თავისუფლება; ექსპლოატაციის, ძალადობისა და  
შეურაცხყოფისგან თავისუფლება; პიროვნების  
ხელშეუხებლობის დაცვა

## **9. პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება; წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან თავისუფლება; ექსპლოატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება; პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა**

### **კონვენციით ნაკისრი ვალდებულება**

კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას თავისუფლებასა და ხელშეუხებლობაზე სხვებთან თანასწორად, რაც გულისხმობს, თავისუფლების შეზღუდვის აკრძალვას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. მასთან, ნორმა სახელმწიფოს აკისრებს განსაკუთრებულ ვალდებულებას, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლისა და კონვენციით დადგენილი დაცვის სტანდარტით, მათ შორის გონივრული მისადაგებით. (მე-14 მუხლი)

კონვენცია კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ წამების, სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენებას. მითითებულ აკრძალვაში კონვენცია ხაზგასმით მოიაზრებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარებას, მათი თანხმობის გარეშე. (მე-15 მუხლი)

კონვენცია სახელმწიფოებს ასევე აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვას ექსპლოატაციის, შეურაცხყოფისა და ძალადობისგან. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს კონკრეტული მოქმედებები ამგვარ ქმედებათა პრევენციისა და აღკვეთის მიზნით. მასვე ეკისრება ვალდებულება აღმოუჩინოს მხარდაჭერა თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ასევე მათ ოჯახებს, უზრუნველყოს უფლებათა განხორციელების მონიტორინგი დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ, რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და სხვა. კონვენცია ადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებას გასწიოს ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქალების ძალადობისა და ექსპლოატაციისგან დაცვის მიზნით. (მე-16 მუხლი)

სახელმწიფოები ასევე ვალდებულნი არიან, დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, როგორც ფიზიკური, ისე მენტალური ხელშეუხებლობის უფლება, დისკრიმინაციის გარეშე. (მე-17 მუხლი)

### **ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტთან**

კონვენციის მითითებულ მუხლებთან, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის კუთხით, საინტერესოა „ფსიქიატრიული დამხმარების შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების კომპლექსური შეფასება.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფსიქიატრიული დახმარების ორ სერვისს ითვალისწინებს, ამბულატორიულსა და სტაციონარულს. კანონი ფსიქიატრიულ დახმარებას უკავშირებს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გულისხმობს პირის გამოკვლევას, მკურნალობას, დაავადებათა გამწვავების პრევენციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.<sup>99</sup>

კანონის თანახმად, სტაციონარული მკურნალობა შესაძლოა იყოს ნებაყოფლობითი ან არანებაყოფლობითი. ნებაყოფლობითი მკურნალობა პირის უშუალოდ გამოსატყუალ ებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებაა. არანებაყოფლობითი სტაციონირების პროცედურები კი დგინდება კანონით,<sup>100</sup> რომელიც არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შემთხვევას უკავშირებს პირის მდგომარეობას, როდესაც მას „ფსიქიკური აშლილობის გამო, არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების განევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე.“<sup>101</sup> ასევე, იძულებითი სტაციონირების საფუძველია დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენის საჭიროება, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება სხვის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას ან პირის მოქმედებიდან მომდინარე (მისთვის ან სხვისთვის) მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენების საფრთხე.<sup>102</sup>

შესაბამისად, კანონმდებლებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს არანებაყოფლობითი სტაციონარული მკურნალობის მიზნით, პირის მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ამასთან, კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ მიჯნავს იძულებით სტაციონირებასა და მკურნალობას. შესაბამისად, არანებაყოფლობითი სტაციონირებისას, პირებს არ აქვთ მკურნალობაზე უარის თქმის უფლება, რამდენადაც კანონი საუბრობს არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებაზე რომელიც მკურნალობის კომპონენტს ავტომატურად მოიაზრებს. ზემოაღნიშნული რეგულაციისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითი სტაციონირების დროს, პირს შეუძლია უარი თქვას მკურნალობაზე, თუ ის არის ქმედუნარიანი და სრულწლოვანი.<sup>103</sup>

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იძულებითი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არ არის აუცილებელი პაციენტის, მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ნათესავის თანხმობა.<sup>104</sup> შესაბამისად, ეს საკითხი სრულად სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად აღესრულება.

ასევე, საინტერესოა ჩანანერი, რომლის თანახმადაც, პირის მიმართ, რომელიც იყენებს ნებაყოფლობითი სტაციონირებისას მკურნალობაზე უარი თქმის უფლებას, შესაძლოა

<sup>99</sup>საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 3

<sup>100</sup>საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თავი VII4

<sup>101</sup>საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 18, პუნქტი 1

<sup>102</sup>იქვე, მუხლი 18, პუნქტი 1

<sup>103</sup>საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1, „ბ“ ქვეპუნქტი, „ე“ ქვეპუნქტი; „საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები. პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013 წელი, გვ:19

<sup>104</sup>საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, მუხლი 18, პუნქტი 2

მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი მკურნალობის არანებაყოფლობით რეჟიმში გადაზრდის თაობაზე. კერძოდ, ექიმის დასკვნის შესაბამისად, თუ პირის მდგომარეობა მკურნალობაზე უარის თქმის მომენტში შეესაბამება არანებაყოფლობითი მკურნალობას დასაქვემდებარებელი პირის მდგომარეობას, ექიმს შეუძლია ბენეფიციარსა და მისი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, მიიღოს შესაბამისი ზომები პირის არანებაყოფლობითი მკურნალობისათვის.<sup>105</sup>

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ადგენს სტანდარტს, რომლის მიხედვით, „პაციენტები როგორც წესი, უნდა იყვნენ მკურნალობაზე თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მიცემის პოზიციაში. პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი სტაციონირების ფაქტი არ უნდა იყოს განხილული მისი თანხმობის გარეშე მკურნალობის საფუძვლად. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა ადეკვატურ პაციენტს, ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით, უნდა ჰქონდეს საშუალება, უარი თქვას მკურნალობაზე ან ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე. ამ ფუნდამენტური პრინციპიდან ყველანაირი გამონაკლისი დაფუძნებული უნდა იყოს კანონზე და მოიცავდეს მხოლოდ ნათლად და ამომწურავად ჩამოყალიბებულ, განსაკუთრებულ გარემოებებს.“<sup>106</sup>

გაეროს სპეციალური მომხსენებელი, პროფესორი ხუან ე. მენდესი, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სამედიცინო დაწესებულებებში წამების და სასტიკი მოპყრობის ანგარიშის წარდგენისას, ხაზს უსვამს რომ „დაუშვებელია, კანონმდებლობა ექიმებს აძლევდეს უფლებას, იძულებით გაუწიონ ადამიანს ფსიქიატრიული მკურნალობა მაშინ, როცა ის უარს ამბობს ასეთ მკურნალობაზე“,<sup>107</sup> რაც გულისხმობს, თანხმობის არსებობის აუცილებლობას პირის თავისუფლებასა და ხელშეუხებლობაში მით უფრო, ამგავრი ინტენსივობის ჩარევისას.

პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების რეალური შინაარსის გააზრებისათვის, მნიშვნელოვანია, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებები, რომელსაც ის ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებისას მიმართავდა. კომიტეტი ცალსახად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ნეგატიურად და უფლების შემლახავად აფასებს კანონმდებლობასა და პრაქტიკას, რომელიც პირის თავისუფლების აღკვეთას შეზღუდულ შესაძლებლობას უკავშირებს. კომიტეტი შვედეთის მიმართ შემუშავებულ დასკვნით მოსაზრებებში გამოხატავს ნუხილს, შვედეთის ეროვნული კანონმდებლობის იმ ჩანაწერებზე, რომლებიც „იძლევა პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების შესაძლებლობას, მისი ნების საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც პირს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მიიჩნევა საფრთხის შემცველად, სხვებისთვის ან საკუთარი თავისთვის.“<sup>108</sup>

ასევე, კომიტეტი კონვენციის მე-14 მუხლთან წინააღმდეგობრივად მიიჩნევს შვედეთის

<sup>105</sup>იქვე, მუხლი 17, პუნქტი 4

<sup>106</sup>8th General Report on the CPT's activities covering the period 1 January to 31 December 1997; 31 August 1998; pr.41; Available: <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-o8.htm>; last seen: 22.07.2014

<sup>107</sup>„საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები. პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013 წელი, გვ: 18

<sup>108</sup>Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Sweden; 12 May, 2014, p.g. 5

მიერ დანერგილ იძულებითი მკურნალობის ახალ მეთოდს, რომელიც თავისუფლების შეზღუდვის გარეშე, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების გამორიცხვით, უზრუნველყოფს პირის იძულებით მკურნალობას.<sup>109</sup> მიუხედავად ქვეყნის მცდელობისა გამოყენებინა ნაკლებად შემზღუდავი საშუალება იძულებითი მკურნალობის განხორციელებისას, კომიტეტი არ აკეთებს განსხვავებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში თუ მის მიღმა მკურნალობის მექანიზმებს შორის, რამდენადაც ამ შემთხვევაში, სახელმწიფო კვლავ პირის ნების საწინააღმდეგო, იძულებითი მკურნალობის რეჟიმს მიმართავს.<sup>110</sup> ანალოგიურია კომიტეტის შენიშვნები და რეკომენდაციები სხვა ქვეყნების მიერ მსგავსი მოდელების გამოყენების შემთხვევაში. კომიტეტი იმავე მიზეზით აკრიტიკებს ავსტრიის კანონმდებლობას და მოუწოდებს სახელმწიფოს გამოიყენოს ყველა შესაძლო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული თუ სასამართლო მექანიზმი და არ დაუშვას პირის ნების საწინააღმდეგოდ, მისი მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ის ურჩევს ავსტრიას, მიმართოს საკმარისი ფინანსური რესურსები, რათა უზრუნველყოს განსაკუთრებული მხარდაჭერის საჭიროების ფსიქიკური დარღვევის მქონე პირებისათვის, თემზე დაფუძნებული სერვისების მეშვეობით მომსახურების მიწოდება, რომელიც თავის მხრივ, გაითვალისწინებს პირის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გამოხატვის აუცილებლობას.<sup>111</sup>

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ყველა პაციენტს აღჭურავს უფლებით, ისარგებლონ ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს ღირსების შემლახველ მოპყრობას.<sup>112</sup> კანონი ამავე უფლებებს ითვალისწინებს სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების საჭიროების მქონე პაციენტებისათვის.<sup>113</sup> თუმცა, არსებული რეგულაციით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ექიმს უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევებში, უსაფრთხოების მიზნით, შეზღუდოს პაციენტის უფლებები, მათ შორის, პირის უფლება, დაცული იყოს ღირსების შემლახავი მოპყრობისგან.<sup>114</sup>

შესაბამისად, ნათელია რომ ეროვნული კანონმდებლობა ცალსახად ეწინააღმდეგება კონვენციის არაერთი მუხლით დადგენილ სტანდარტს და არასათანადოდ ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას თავისუფლებაზე, ხელშეუხებლობასა და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვაზე.

## **ქმედუნაროდ აღიარებული პირები გადანყვეტილების მიღების პროცესში**

განსახილველი მუხლებისათვის, ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონირებისა და მკურნალობაზე გადანყვეტილების მიღებისას, მათი ნების გამოვლენის კუთხით კიდევ უფრო დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ ქმედუნაროდ აღიარებული პირები.

მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს ქმედუნაროდ აღიარებული პირის მონაწილეობას

<sup>109</sup>Implementation of the Convention on the Rights of Persons with Disabilities Initial reports submitted by States parties under article 35 of the Convention Sweden, 18 September, 2012, pr. 140-141

<sup>110</sup>Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Sweden; 12 May, 2014, p.g. 5

<sup>111</sup>Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Austria, adopted by the Committee at its tenth session, 30 September 2013, pr. 29-31

<sup>112</sup>საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 5, „ა“ ქვეპუნქტი

<sup>113</sup>იქვე, მუხლი 15, „ი“ ქვეპუნქტი

<sup>114</sup>იქვე, მუხლი 15, პუნქტი 3



ფსიქიატრიულ მკურნალობასა და მისი შეწყვეტის თაობაზე გადანყვეტილებების მიღების პროცესში. კერძოდ, ქმედუუნარო პირის მეურვის მიერ გამოხატული ნება მკურნალობაზე, მიიჩნევა ნებაყოფლობითი მკურნალობის პროცესში ქმედუუნარო პირის ინტერესების გამოვლენად და შესაბამისი ნების გამოხატვად.<sup>115</sup> კანონმდებლობა ქმედუუნარო პირებს, გამორიცხავს ზოგადად მკურნალობის დაწყების თაობაზე გადანყვეტილებების მიღების პროცესიდან.<sup>116</sup>

კომიტეტი, უნგრეთის მიმართ მომზადებულ დასკვნით მოსაზრებებში, განსაკუთრებულად აკრიტიკებს უნგრეთის ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ქმედუუნარო პირის ინსტიტუციაში მკურნალობის თაობაზე გადანყვეტილებების მიღებას, მისი მეურვის ნებას უკავშირებს და პირის ნაცვლად, მეურვეს აღჭურვავს უფლებამოსილებით, სამეურვეო პირის სახელით გასცეს თანხმობა ფსიქიკური მხარდაჭერის სერვისის მიღების თაობაზე.<sup>117</sup>

ამასთან, არსებული კანონმდებლობით, ქმედუუნარო პირებს სრულად, ყოველგვარი საფუძვლისა და წინაპირობის გარეშე, შეზღუდული აქვთ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.<sup>118</sup> ასევე, სრულად აქვთ შეზღუდული უფლება, მონაწილეობა მიიღონ ან თავად გადანყვიტონ მათ მიმართ სამედიცინო ჩარევის განხორციელების საკითხი.<sup>119</sup> მოქმედი საკანონმდებლო ნორმები ქმედუუნარო პირს არ აძლევს უფლებას, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა, მის მიმართ გენური თერაპიის ჩატარების პროცედურების გამოყენების თაობაზე გადანყვეტილებების მიღების პროცესში (გენურ თერაპიის კანონმდებლობა სამედიცინო მანიპულაციის უკიდურეს ზომად განიხილავს).<sup>120</sup>

კანონი მხოლოდ გამონაკლისის სახით საუბრობს ქმედუუნარო პირის აუცილებელ თანხმობაზე, მასზე სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ჩატარებისას, იმ შემთხვევაში თუ პირს აქვს აღნიშნულის „გაგების უნარი“. მიუხედავად მოყვანილი ჩანაწერის წინააღმდეგობისა კანონმდებლობის ლოგიკასთან, ის საინტერესო გამონაკლისია, რამდენადაც ახდენს ქმედუუნარო პირების მიერ, მათზე მიმართული მოქმედების გააზრების უნარის ქონისა და მისგან თანხმობის მიღების შესაძლებლობის დაშვებას.<sup>121</sup> თუმცა, მისი არსებობა, ზემოთ განხილული უფლება შემლახავი რეგულაციების გვერდით, ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობის კონვენციის მოთხოვნებთან თანხვედრას და სრულად ტოვებს ძალაში მის მიმართ არსებულ კრიტიკას.

<sup>115</sup>იქვე, მუხლი 17

<sup>116</sup>საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 60

<sup>117</sup>Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial periodic report of Hungary, adopted by the Committee at its eighth session, 22 October, 2012, pr. 27

<sup>118</sup>საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 7, მუხლი 41; საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 40

<sup>119</sup>საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 11

<sup>120</sup>იქვე, მუხლი 52

<sup>121</sup>იქვე, მუხლი 110

## არასათანადო მოპყრობა და მკურნალობის პროცესში ფიზიკური შეზღუდვის გამოყენება

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ტოვებს პირის თავისუფლების, ხელშეუხებლობის, ღირსების შელახვისა და არასათანადო მოპყრობის სივრცეს, შესაძლებელს და დაშვებულს ხდის ბენეფიციართა უფლებების დარღვევას, რაც შესაბამის პრაქტიკაშიც ვლინდება.

ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს არასათანადო მოპყრობის კუთხით მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პრაქტიკული ასპექტით, თუმცა, კვლავ დღის წესრიგში რჩება ამ კუთხით არსებული პრობლემები. კერძოდ, დახურული ტიპის რიგ დაწესებულებებში, ფიქსირდება არასათანადო მოპყრობის შემთხვევები. მათ შორის, ძალის გამოყენება იძულებითი მკურნალობისას, ბენეფიციართა იზოლაცია, ბენეფიციართა შრომის გამოყენების შემთხვევები და სხვა. ამასთან, დანერგულ პრაქტიკას წარმოადენს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, რაც დაფიქსირდა სხვადასხვა ინსტიტუციაში.

**შესაბამისად, კონვენციის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლების იმპლემენტაციის მიზნისათვის, მნიშვნელოვანია:**

- კონვენციაში მოცემულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სათანადო ცვლილებები განხორციელდეს ეროვნულ კანონმდებლობაში;
- სახელმწიფომ მიმართოს საკმარისი რესურსი თემზე დაფუძნებული სერვისების ხელშეწყობაზე რათა მოხდეს განსაკუთრებული ფსიქიატრიული მხარდაჭერის საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადეკვატური სერვისის მიწოდება, რაც დაეფუძნება ნების თავისუფალ გამოვლენას და გამორიცხავს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შეზღუდვას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძალადობისა თუ არაჰუმანური მოპყრობის პრევენციისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი მექანიზმები, მათ შორის, უპირატესად ფსიქიატრიულ და სხვა სახის ინსტიტუციებში;
- გადაიხედოს ქმედუუნარო პირებთან დაკავშირებით არსებული მიდგომა, რათა გამოირიცხოს მათი ნების სანინააღმდეგოდ, სამედიცინო მკურნალობის განხორციელება;
- განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა, ბავშვებთა და მოხუცებულთა მიმართ განხორციელებული ძალადობისა თუ უფლებათა დარღვევის სხვა შემთხვევების პრევენციისა და გამოვლენისთვის;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ, რელევანტურ სერვისებში დასაქმებულ მოსამსახურეთა შესაბამისი გადამზადება/სწავლება;

<sup>122</sup> „საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები. პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013 წელი, გვ:10-12

<sup>123</sup> იქვე, გვ: 13-14

დამოუკიდებელი ცხოვრება და  
საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა

## 10. დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის მე-19 მუხლი განამტკიცებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის უფლებას, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, მის გარანტირებას ეროვნულ დონეზე, შესაბამისი მექანიზმების დანერგვის გზით. აღნიშნული ვალდებულების შესრულება გულისხმობს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფას ცხოვრების ყველა სფეროში, საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად დაგეგმვის შესაძლებლობას, მათ შორის, უფლებას აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და არ ჰქონდეთ დაკისრებული ვალდებულება ცხოვრობდნენ კონკრეტულ გარემოში.

კონვენცია ითვალისწინებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დამხმარე მომსახურებით (ინდივიდუალური, ბინაზე, ინსტიტუციური) უზრუნველყოფის ვალდებულებას, რომელიც მიმართული უნდა იყოს, მათი საზოგადოებრივი გარიყულობისა და სეგრეგაციის პრევენციისაკენ. ამასთან, დამოუკიდებელი ცხოვრების გარანტირება გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი მისაწვდომობის პირობების შექმნას, რაც მათ ინდივიდუალურ საჭიროებზე ადეკვატური რეაგირებით მიიღწევა.

### სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

დამოუკიდებელი ცხოვრების რეალიზებისთვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია დიდი ზომის ინსტიტუციების არსებობის პრაქტიკა და სახელმწიფოს პოლიტიკა ამ კუთხით. კონვენცია უარყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დიდი ზომის ინსტიტუციებში მოთავსებას და მას განიხილავს, როგორც დამოუკიდებელი ცხოვრების მიზნის მიღწევის გამომრიცხველ მიდგომას. პირის სტაციონირების აუცილებლობის შემთხვევაში, კარგ პრაქტიკად მიიჩნევა მცირე ზომის, თემზე დაფუძნებული სერვისები, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების შექმნასა და განვითარებას, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობასა და სოციალურ ინტეგრაციას.

2010 წლის ოქტომბერში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ პირობები, რომელშიც მკურნალობდნენ და ცხოვრობდნენ ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები, მოითხოვდა დაუყოვნებლივ ჩარევას, რათა შექმნილიყო მათი ღირსების, უფლებებისა და ჯანმრთელობის შესაფერისი გარემო და მკურნალობის შესაძლებლობები. რეფორმის განხორციელება 2011 წლიდან დაიწყო. შედეგად, დაიხურა დიდი ზომის ინსტიტუციები, კერძოდ სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (გათვლილი 225 ბენეფიციარზე) და მის ნაცვლად, რამდენიმე ახალი, მცირე ზომის დაწესებულება ამოქმედდა.<sup>124</sup>

<sup>124</sup> „ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმა საქართველოში“, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, ნინო მახაშვილი, გვ: 4, ხელმისაწვდომია აქ: [http://www.mls.ge/hrh/pictures/dffitcontent/gallery/108\\_1.pdf](http://www.mls.ge/hrh/pictures/dffitcontent/gallery/108_1.pdf) ბოლოს ნანახია: 07.07.2014

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესმა, სამწუხაროდ, სრულყოფილად არ მოიცვა ყველა დიდი ზომის ინსტიტუცია. ზოგიერთი პანსიონატური მომსახურების, დიდი ზომის დაწესებულება დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას, რაც არ შეესაბამება კონვენციის ხედვას და ეწინააღმდეგება ბენეფიციართა ინტეგრაციის მიზანს. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შემდგომ, გარდა პროცესის მიღმა დარჩენილი დიდი ინსტიტუციებისა, მოქმედებს მცირე ზომის დაწესებულებები, რომელთა მიერ შეთავაზებული სერვისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რესოციალიზაციის უკეთეს საშუალებას სთავაზობს.

კრიტიკის საგანია, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინტერესების გაუთვალისწინებლობა.<sup>125</sup> ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დისკრიმინაციული გამორიცხვით წარმართა. რეფორმამ, რომელიც 2009 წლიდან დაიწყო, მისი განხორციელების ყველა ეტაპზე, უგულვებელყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზარდები, რის შედეგადაც, ისინი დღემდე რჩებიან სახელმწიფო დაწესებულებებში.<sup>126</sup> დეინსტიტუციონალიზაციის პერიოდში, სახელმწიფომ არ უზრუნველყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლება, ინტეგრაციასა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე, სხვებთან თანასწორად, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი ცალსახად უთითებს წლიურ ანგარიშში.<sup>127</sup>

დიდი ზომის ინსტიტუციების თემზე დაფუძნებული სერვისებით ჩანაცვლება, შეესაბამება კონვენციის არსს, რამდენადაც, ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სერვისების მიწოდებას ოჯახისა და სოციუმისაგან იზოლაციის გარეშე გულისხმობს. ამდენად, კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების რეალიზების მიზნით, ავალდებულებს მხარე სახელმწიფოებს შექმნან და გააძლიერონ სერვისები, რომელთა მიერ შეთავაზებული მომსახურების მიწოდება იქნება როგორც მიზანი, ასევე საშუალება ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის.

## დიდი ზომის ინსტიტუციები

დიდი ზომის ინსტიტუციების ფუნქციონირება, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის სტანდარტს, ხშირად არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური იზოლაციისა და საზოგადოებიდან გარიყვის წინაპირობა. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები უთითებენ სისტემურ პრობლემებზე, როგორცაა, დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, ბენეფიციართა ფიზიკური შეზღუდვის ფაქტები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურების შეზღუდვა, სამედიცინო მომსახურების მისაწვდომობის პრობლემები და სხვა.<sup>128</sup>

<sup>125</sup>GEORGIA IN TRANSITION Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenge; 7.5. Rights of Persons with Disabilities; pg. 39

<sup>126</sup>„უყურადღებოდ მიტოვებულები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების რეფორმიდან გარიყვა და მათი უფლებების დაცვა საქართველოში“, ერიკ მეთიუსი, უფლებების დაცვის ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია (Dღი), 2013 წელი, გვ:9-12

<sup>127</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 544-545

<sup>128</sup>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2013 წელი, გვ: 6

დენსტიტუციონალიზაციის პროცესმა, სამწუხაროდ, სრულყოფილად არ მოიცვა ყველა დღეის მდგომარეობით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მხარდაჭერის ინსტიტუციონალიზებულ საშუალებას კვლავ წარმოადგენენ სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ობიექტები. თუმცა, მათი მომსახურება, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მკურნალობის კომპონენტით შემოიფარგლება და არ გულისხმობს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზანს. ამასთან, არსებით პრობლემას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ნებაყოფლობითი სტაციონირებისას, ბენეფიციარების მიერ ამ სტატუსით ფორმალურად სარგებლობის საკითხი. სახალხო დამცველის მონაცემებით, ბენეფიციართა უმრავლესობა, ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ბენეფიციარის და/ან მისი ოჯახის მძიმე სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, ფსიქიატრიულ მკურნალობას ინსტიტუციებში გადის. ხშირად, ამგვარ დაწესებულებებს არა ფსიქიატრიული მკურნალობისა და რეაბილიტაციის, არამედ სოციალური საცხოვრისის დატვირთვა აქვს, რაც არჩევნებს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის უუნარობას. ასეთი ბენეფიციარების უმრავლესობას რეალურად შესწევთ უნარი დამოუკიდებლად, სხვისი მხარდაჭერის გარეშე იცხოვრონ, თუმცა, საცხოვრებლის არქონის გამო, არჩევანს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ცხოვრებაზე აკეთებენ.<sup>129</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის (DRI) ანგარიშის მიხედვით, სისტემური პრობლემები ვლინდება ბავშვებისათვის განკუთვნილ სტაციონარული მომსახურების მიმნოდებელ დაწესებულებებში, რომელთა შორის აღსანიშნავია, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და არასათანადო საცხოვრებელი პირობების პრობლემები. სახელმწიფო ინსტიტუციებში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ვერ ერთვებიან მინდობით აღზრდის პროგრამაში, მათ მიმართ არ ხდება ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევა.<sup>130</sup> DRI-ის დაკვირვების ობიექტი - თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი მოგვიანებით შეისწავლა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებისგან განსხვავებით, არ უთითებს დაწესებულებაში არსებულ სისტემურ პრობლემებზე.<sup>131</sup>

## **თემზე დაფუძნებული სერვისები**

თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების მთავარი მიზანია, ბენეფიციარებისათვის შექმნას საზოგადოებისა და ოჯახისაგან მონყვეტის გარეშე, შესაბამისი მომსახურების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნულში მოიაზრება შინზრუნვის მომსახურება, დაცული საცხოვრისები, კრიზისული ინტერვენციის ცენტრები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები და თვითდახმარების ჯგუფები, ვინაიდან მითითებული სერვისების იდეა ეფუძნება დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პრინციპებს და უნდა

<sup>129</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ:151

<sup>130</sup>„უყურადღებოდ მიტოვებულები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზრდილების რეფორმიდან გარიყვა და მათი უფლებების დაცვა საქართველოში“, ერიკ მეთიუსი, უფლებების დაცვის ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია (DRI), 2013 წელი, გვ: 12-15

<sup>131</sup>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის 2014 წლის მონიტორინგის აქტი სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალის თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი

უზრუნველყოფდეს სოციალური გარიყულობისა და ჩაკეტილობის რისკების შემცირებას. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამებს შორის, ყოველწლიურად მტკიცდება ქვეპროგრამები, რომლებიც ახორციელებენ პანსიონატური სერვისის მინოდებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ამ მხრივ, პასუხობენ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მიზანს. თემზე დაფუძნებული სერვისების გაძლიერებისათვის, მოქმედებს მცირე საოჯახო სახლებისა და სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა. მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა მოსარგებლეთა წრეს მხოლოდ მზრუნველობამოკლებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებით განსაზღვრავს. ამასთან, გულისხმობს ლიმიტირებული არამატერიალიზებული ვაუჩერის გაცემის საშუალებით მომსახურების განწევას, საქართველოს რეგონების მიხედვით. თუმცა, პროგრამა სრულად არ ფარავს საქართველოს ყველა რეგიონს, რაც მისი მის-ანვდომობის დამაბრკოლებელი გარემოებაა.<sup>133</sup>

დღეის მდგომარეობით, საქართველოში, თემზე დაფუძნებული სერვისები არასათანადოდაა განვითარებული. თუმცა, ამ მხრივ, პოზიტიურია მოქმედი „კრიზისული ინტერვენციის სამსახურის“ კონცეფცია, რომელიც ბენეფიციარებს სთავაზობს სოციალურ მოდელზე დაფუძნებულ მომსახურებას. ცენტრი 2012 წლიდან მოქმედებს და წარმატებით ახორციელებს ამბულატორიულ მომსახურებას, რეაბილიტაციის აქტივობებს, ცენტრში ფუნქციონირებს მობილური ჯგუფი და დღის ცენტრი.<sup>134</sup>

თემზე დაფუძნებული სერვისების დანერგვის პროცესი წინგადადგმული თუმცა, არასაკმარისი ნაბიჯია პოლიტიკის ცვლილებისათვის. აუცილებელია, გაიზარდოს თემზე დაფუძნებული მომსახურების მისანვდომობის შესაძლებლობა, გეოგრაფიული და რაოდენობრივი დაფარვის ზრდისა და შესაბამისი სტანდარტის მომსახურების მინოდების გზით, რაც თანხვედრაში იქნება ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების მიზანთან.

დამოუკიდებელი ცხოვრების გარანტირების მიზნით, უპირატესად უნდა გამოიყენებოდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც ყველაზე მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების შინაარის რეალიზებას. მათ შორის, სახელმწიფომ უნდა განავითაროს შინ მოვლის სერვისები, ინდივიდუალური მხარდაჭერის სქემები და სხვა. ამასთან, უნდა განხორციელდეს დიდი ზომის ინსტიტუციების დახურვა და სახელმწიფოს ძალისხმევისა და რესურსების თემზე დაფუძნებული სერვისების შექმნისა და გაძლიერებისაკენ მიმართვა, რომლებიც დაეფუძნება სოციალურ მოდელს და მიმართული იქნება სოციალური იზოლაციის წინააღმდეგ.

<sup>132</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

<sup>133</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა

<sup>134</sup>„საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები. პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013 წელი, გვ:32-33

კონვენციის 19-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნისათვის, მნიშვნელოვანია:

- დაიგეგმოს დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის შეუქცევადი პროცესი, რომელშიც დისკრიმინაციის გარეშე იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პანსიონატური მომსახურების დაწესებულებების დახურვის საკითხის გათვალისწინება;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, შინ მოვლისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის სხვადასხვა სქემის მეშვეობით, რაც შესაძლებელს გახდის დამოუკიდებელი ცხოვრების მიზნის მიღწევას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მიზნით, დაინერგოს და განვითარდეს თემზე დაფუძნებული სერვისები, რაც გახდის შესაძლებელს ყველა ბენეფიციარის დაკმაყოფილებას, ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზების გზით;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს თემზე დაფუძნებული მომსახურების გეოგრაფიული მისაწვდომობა;





# 11. რეაბილიტაცია, აბილიტაცია და ინდივიდუალური მობილობა

## კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის 26-ე (აბილიტაცია და რეაბილიტაცია) და მე-20 (ინდივიდუალური მობილობა) მუხლები ადგენენ სახელმწიფოს ვალდებულებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, უზრუნველყონ სათანადო წვდომა რეაბილიტაციაზე და აბილიტაციაზე, შესაბამისი პროგრამების შექმნისა და დანერგვის გზით. სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა ემსახურებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევასა და გამოყენების მიზანს. შესაბამისად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შექმნან და გააძლიერონ განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროები ამ მიმართულებით.

სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ საჭიროებებს და ემსახურებოდეს მათი საზოგადოებრივი ჩართულობის მიზანს, ცხოვრების ყველა ეტაპზე; სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ რეაბილიტაციისა და აბილიტაციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისა და პერსონალის პირველადი და შემდგომი განათლების ხარისხზე; ამასთან, უზრუნველყონ სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო მიზნით შექმნილი დამხმარე საშუალებებისა და ტექნოლოგიების მისაწვდომობა, შესწავლა და გამოყენება, რაც ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობის ხელშეწყობას.

## ეროვნული კანონმდებლობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

რეაბილიტაციაზე და აბილიტაციაზე სათანადო წვდომა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ინტენსივობასა და უწყვეტობას შეიძლება გულისხმობდეს. აღნიშნული მიზნის რეალიზება კი, სახელმწიფოს სისტემურ და განგრძობად პოლიტიკას უკავშირდება, რაც სათანადოდ უნდა იყოს ასახული საკანონმდებლო ბაზასა თუ მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს, სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის ვალდებულებას, რომელიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი ცხოვრებისა და შესაძლებლობის რეალიზებისაკენ.<sup>135</sup> კანონი ასევე ადგენს რეაბილიტაციისათვის განკუთვნილ კონკრეტულ ღონისძიებებს, მაგრამ ის არ ახსენებს ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აბილიტაციაზე, რაც მის ხარვეზედ უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ეს უკანასკნელი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რამდენიმე პროგრამის მიზნად არის მითითებული.

რეაბილიტაცია და აბილიტაცია მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების გამარტივებისა და სოციალიზაციისაკენ, რომლის მიზანიცაა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია. აღნიშნული კი შეუძლებელია

<sup>135</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 13

მიიღწეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენისა და შეფასების გარეშე. დღეს მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მთავარი კრიტიკა მიემართება საჭიროებების კვლევის არარსებობას, რაც ეჭვქვეშ აყენებს პროგრამების ადეკვატურობას, ეფექტურობასა და საკმარისობას, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ვერ ხედავს ამ მხრივ არსებული საჭიროებების სრულ სურათს.

## **სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამები**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ყოველწლიურად მტკიცდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები“.<sup>136</sup> პროგრამების განხორციელება მიზნად ისახავს სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ბავშვთა) ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამ პროგრამათაგან, რამდენიმე უშუალოდ ასახელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, პროგრამით მოსარგებლებათა ნრეში. (მაგ: ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, დღის ცენტრის ქვეპროგრამა და სხვა).

სახელმწიფო პროგრამების შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მისაწვდომობა კონვენციის მიზნებისთვის გულისხმობს როგორც გეოგრაფიულ და ინფორმაციულ, ასევე ფინანსურ კომპონენტებს. მოქმედი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების სრულფასოვანი ფინანსური მისაწვდომობა დამოკიდებულია პირის სოციალურ მდგომარეობაზე. კერძოდ, პროგრამათა უმრავლესობა (დღის ცენტრების ქვეპროგრამა, დამხმარე საშუალებების გადაცემა, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა და სხვა) სრული დაფინანსებით მომსახურების განევას მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დაფიქსირების შემთხვევაში ითვალისწინებს<sup>137</sup> და მის მიღმა მყოფ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აფინანსებს ნაწილობრივ, რაც არ მოიცავს ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების კომპონენტს.

სახელმწიფოს პოლიტიკის ეფექტურობისათვის, მოქმედი პროგრამები უნდა დაეფუძნოს არსებული საჭიროებების კვლევას. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის გამო, რთულია პროგრამათა მასშტაბის საკმარისობისა და ეფექტურობის შეფასება. ამასთან, პროგრამების განხორციელების მონიტორინგისა და კონტროლის არასათანადო მექანიზმები არ იძლევა მასში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის დონის ზუსტი შეფასების შესაძლებლობას.

### **დღის ცენტრების პროგრამა**

დღის ცენტრების ქვეპროგრამის<sup>138</sup> ამოცანაა, სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფში ხვდებიან 6-დან 18 წლამდე ასაკის

<sup>136</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

<sup>137</sup>იქვე

<sup>138</sup>იქვე, დღის ცენტრების ქვეპროგრამა, მუხლი 4

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან მინდობით აღზრდის ანაზღაურებას და 6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. დღის ცენტრების პროგრამის მიზნები ასევე გულისხმობს მოსარგებლეების დამატებით მომსახურებას, რაც ინდივიდუალური აბილიტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების შედგენაში, მათ განხორციელებასა და ბენეფიციართა ინკლუზიური განათლებისათვის მომზადებაში გამოიხატება.<sup>139</sup>

დღის ცენტრების სათანადო ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მათი დაფინანსების საკითხია, რაც პირდაპირპროპორციულად უკავშირდება და ახდენს გავლენას სერვისის მიწოდების ხარისხსა და აბილიტაცია/რეაბილიტაციის მიზნის მიღწევაზე. მოქმედი წესის თანახმად, ბენეფიციართა დაფინანსება ხდება არამატერიალური ვაუჩერული დაფინანსებით,<sup>140</sup> რომლის მიხედვითაც, სააგენტოს მიერ ბენეფიციართათვის განეული მომსახურება ანაზღაურდება დღიურად. კერძოდ, ერთ ტალონზე ასანაზღაურებელი თანხის დაანგარიშება მომსახურების მიღების დღეებისა და დაფინანსების ოდენობის ნამრავლით ხდება (შაბათ-კვირის და უქმე დღეების გამოკლებით), რაც მინიმალური ოდენობის თანხას შეადგენს.<sup>141</sup>

ამგვარი დაფინანსების პირობებში კი, შეუძლებელი ხდება მოსარგებლეთათვის ადეკვატური ხარისხის მომსახურების მიწოდება და საჭირო რესურსის ეფექტური მიმართვა აბილიტაციისა და რეაბილიტაციის მიზნისათვის. ცალკეულ შემთხვევებში, დაფინანსების სისტემის გაუმართაობის შედეგად, დღის წესრიგში დგება სერვისის არსებობა/არარსებობის საკითხი, რაც ცალკეული დღის ცენტრების საქმიანობას არამდგრადს ხდის.

დღის ცენტრების მომსახურების მონიტორინგის განხორციელება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, კერძოდ სოციალური დაცვის სააგენტოს ვალდებულებაა. სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში არაერთხელ აისახა მონიტორინგის პროცესების ხარვეზები, რაც გამოიხატება გაუმართლებლად მკაცრი და დაუხვეწავი ინსპექტირების პროცედურაში. მონიტორინგის არაეფექტური სისტემა არ უწყობს ხელს არაეფექტური სერვისის მიზეზების გამოვლენასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მომსახურებათა დაბალი ხარისხი, რომელიც უპირატესად დაფინანსების არაეფექტური სისტემით არის განპირობებული, სოციალური რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოებაა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს სოციალური რეინტეგრაციის იდეას განხორციელებას.

### **ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა**

შეზღუდული შესაძლებლობის პრევენცია ადრეულ ასაკში, ეფექტურობის მაღალი

<sup>139</sup>საქართველოს სახალხო დამცველის სააანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2008 წლის პირველი ნახევარი, გვ:249

<sup>140</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ დღის ცენტრების ქვეპროგრამა, მუხლი 4

<sup>141</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)5, გვ: 31

ხარისხით ხასიათდება. შესაბამისად, კონვენცია მიუთითებს სახელმწიფოებს, შეზღუდული შესაძლებლობის პრევენციის მიზნით, უზრუნველყონ ადრეულ ეტაპზე ჩარევა. მათ შორის, მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით.<sup>142</sup>

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ამოცანაა განვითარების შეფერხების, შეფერხების რისკის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია.<sup>143</sup> 2014 წელს, პროგრამამ გაზარდა ბენეფიციართა ზედა ზღვარი და დაფინანსება, თუმცა, დაავინროვა ბენეფიციარ პირთა წრე. წინამორბედისაგან განსხვავებით, იგი ითვალისწინებს მხოლოდ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბენეფიციარების პროგრამაში ჩართვას და მის მიღმა ტოვებს ფიზიკური განვითარების შეზღუდვის მქონე ბავშვებს, რაც პროგრამის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

### **დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არამონეტარული დახმარების ღონისძიებებს გულისხმობს და პირთა სოციალური დაცვის მიზანს ატარებს. ქვეპროგრამაში გაერთიანებულია რამდენიმე მიმართულება: კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სავარძელ-ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით, სმენის აპარატებით კოხლეარული იმპლანტით, ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტები.<sup>144</sup>

გარდა იმისა, რომ პროგრამა არ ეფუძნება საჭიროებების კვლევას, რაც მნიშვნელოვანი ხარვეზია, წლების მანძილზე, მისი შინაარსი მხოლოდ ერთი ტექნიკური აქტით - დამხმარე საშუალებების ერთჯერადი გადაცემით ხორციელდებოდა. ეს კი რთულია აბილიტაციისა და რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის ეფექტურ გზად ჩაითვალოს.

2014 წელს დამტკიცებული ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნა დამხმარე საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული მოხმარება-გამოყენების და შეგუების ხელშეწყობისკენ მიმართული აქტივობა, შესაბამისი რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაცემის სახით. ასევე, ტექნიკური მომსახურების განვითარებით, რაც მისასაღმებელია, თუმცა, არ არის საკმარისი პროგრამის ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სათანადოდ გაიაზროს სოციალური ინტეგრაციის ცნება და მნიშვნელობა, რომელიც არ შეიძლება მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიებით იყოს შემოფარგლული. აბილიტაციისა და რეაბილიტაციის შინაარსი სწორედ ხანგრძლივ და უწყვეტ ქმედებათა ჯაჭვს გულისხმობს.

<sup>142</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)5, გვ: 31

<sup>143</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

<sup>144</sup>იქვე, დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

## ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა

ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ამოცანაა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუ-მუნჯების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.<sup>145</sup> ქვეპროგრამის ფარგლებში, დაიგეგმა სურდოთარჯიმნის მომსახურების მისანვდომობა მოქალაქეებისათვის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით. ქვეპროგრამა მოიცავს 10 სურდოთარჯიმანს თბილისში და რვას რეგიონში. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფოს მცდელობას დაიწყოს მუშაობა ამ თვალსაზრისით, თუმცა, მისი მასშტაბები და დაფარვის არეალი პროგრამის არასაკმარისობასა და მისი გაფართოების საჭიროებას აჩვენებს.

## ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების რეაბილიტაცია

არსებული მიდგომით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა მკურნალობა გულისხმობს მხოლოდ მედიკამენტოზურ მომსახურებას და არ მოიცავს ან მხოლოდ შეზღუდული დოზით მოიცავს რეაბილიტაციისა და ადაპტაციის პროგრამებს.<sup>146</sup> მიუხედავად მისი მნიშვნელობისა მკურნალობის პროცესში, რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამები თითქმის არ მოქმედებს დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში. ზოგიერთ ბენეფიციარს არ ემსახურება ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი. ამასთან, არ მოქმედებს ინდივიდუალური გეგმები.<sup>147</sup>

2014 წლის 15 იანვარს, დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტი“,<sup>148</sup> რომლის შესრულებაც სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. რეგლამენტი შემოსაზღვრავს მომხმარებელთა წრეს იმ პირებით, რომელთაც ქრონიკული ფსიქიკური აშლილობის კონკრეტული ფორმები აღენიშნებათ და ამომწურავად ჩამოთვლის მათ.<sup>149</sup> მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტაციის მიზნით, არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონკრეტული დაავადების მქონე პირების წრე და იგი თანაბრად ვრცელდებოდეს ყველა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირზე.

რეაბილიტაციის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი შესწავლის საგანია ფსიქიატრულ დაწესებულებებში შემქნილი გარემო, რომელიც არათუ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, არამედ არათერაპიული და შემაფერხებელია ბენეფიციარების რესოციალიზაციის პროცესში. ამასთანავე, არასაკმარისია კლინიკური ფსიქოლოგების, ფსიქოთერაპევტების, ოკუპაციური თერაპევტებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა. მცირე რეკრეაციული აქტივობა.<sup>150</sup> კვლევები ცხადყოფს, რომ ბენეფიციართა ფსიქიატრიული დახმარება უპირატესად ფარმაკოლოგიური დახმარებით შემოიფარგლება. ამასთან,

<sup>145</sup>იქვე, ყრუთა კომუნიკაციის ქვეპროგრამა

<sup>146</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ:152

<sup>147</sup>იქვე, გვ:191

<sup>148</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N68 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“

<sup>149</sup>იქვე, მუხლი 1

<sup>150</sup>„საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები. პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013 წელი, გვ: 37

სარეაბილიტაციო პროგრამებზე მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე მისი მიწოდების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.<sup>151</sup>

კონვენციის 26-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია:

- მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის კონვენციის 26-ე მუხლის მოთხოვნებთან და მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- სახელმწიფო პროგრამები დაიგეგმოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკურ მონაცემებისა და ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;
- რელევანტურ სახელმწიფო პროგრამებში მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აბილიტაციის მიზნის გათვალისწინება და განისაზღვროს კონკრეტული აქტივობები ამ მიმართულებით;
- შემუშავდეს და დაინერგოს სახელმწიფო პროგრამათა მონიტორინგის, კონტროლისა და შეფასების ეფექტური მექანიზმები;
- უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციისა და აბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების ტერიტორიული მისაწვდომობა;
- რეაბილიტაციისა და აბილიტაციის მიზნის მიღწევისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გამოიყოს ადეკვატური ფინანსური რესურსი სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის გაფართოვებისა და გაძლიერების მიზნით;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური ჩართულობა რეაბილიტაციისა და აბილიტაციის პროგრამების შემუშავების პროცესში.

<sup>151</sup> იქვე, გვ: 38

განათლების უფლება



## 12. განათლების უფლება

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლებას ადგენს კონვენციის 24-ე მუხლი და მისი განხორციელების მთავარ მიდგომად ინკლუზიური განათლების დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე, მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მოიაზრებს. კონვენციის ამოცანაა, სახელმწიფოებმა უზრუნველყონ განათლებაზე წვდომა ნებისმიერი პირისათვის, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხისა და ბუნებისა, რაც უნდა ემსახურებოდეს პიროვნების ფიზიკური, ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის სრულად განვითარებას.<sup>152</sup> მხარე სახელმწიფოები უნდა ესწრაფვოდნენ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლის მანძილზე, სწავლის მხარდაჭერისათვის ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

კონვენციის მიზნებისთვის კი, ინკლუზიური განათლება გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სკოლამდელი, სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლებაზე მისაწვდომობას. იგი ასევე მოიცავს, სწავლების პროცესში, პირის ინდივიდუალური საჭიროებების სრულად გათვალისწინებას და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების, მათ შორის, საკომუნიკაციო ენისა და საშუალებების დანერგვასა და გამოყენებას.

### განათლების უფლების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციით, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. შესაბამისად, აღნიშნული უფლების სუბიექტებს, სხვებთან თანაბრად, წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთა მიმართ, სახელმწიფოს ეკისრება ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფის ვალდებულება.

2008 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეინტეგრაციის კონცეფცია“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განათლების უფლების უზრუნველყოფას მიიჩნევს.<sup>153</sup> თუმცა, დოკუმენტის შინაარსი თანხვედრაში არ არის კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან. კერძოდ, დოკუმენტი მიზნის მიღწევის საშუალებად მოიაზრებს სპეციალიზებული განათლების დანერგვას, ინკლუზიური განათლების სისტემაში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ხედავს და არ ითვალისწინებს უმაღლესი და პროფესიული ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას და სხვა.

პოლიტიკის მეორე, მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს ადგენს, ასევე არ შეესაბამება თანამედროვე მიდგომებსა და კონვენციაში განმტკიცებულ

<sup>152</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)5, გვ: 20

<sup>153</sup>საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“, თავი V

ხედვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ. დოკუმენტი ინკლუზიურ განათლებას მოიაზრებს როგორც სპეციალური განათლების ალტერნატივას, საგამონაკლისო შესაძლებლობას, ხოლო სპეციალურ სკოლებს განიხილავს ძირითად საგანმანათლებლო სივრცედ.<sup>154</sup>

ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლებას ინკლუზიური განათლების პრიზმაში განიხილავს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონია. აღნიშნულ ტექსტში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინკლუზიური განათლების კონცეფციის, მისი დანერგვისა და განხორციელების საკითხების ინტეგრირება, კონვენციის რატიფიცირებამდე მოხდა, რამაც კონვენციასთან შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები შექმნა ამ სფეროში და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვის ფუნდამენტი გააჩინა. კანონი ინკლუზიური სწავლების ცნებას განსაზღვრავს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

მიუხედავად ზოგადი განათლების კანონმდებლობის თანხვედრისა ინკლუზიის იდეასთან, ეს უკანასკნელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა არა ვალდებულად, არამედ უფლებამოსილებად მიიჩნევა, რაც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს.<sup>155</sup>

ამასთან, კანონი ზოგადი განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გეოგრაფიულ და ენობრივ ბარიერებზე და ასეთად არ მიიჩნევს შეზღუდულ შესაძლებლობას.<sup>156</sup> მაშინ როდესაც განათლების უფლებით ხელმისაწვდომობის პრობლემას სხვა ბევრი, მათ შორის, შესაძლებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე ფაქტორი წარმოშობს.<sup>157</sup>

აღსანიშნავია, რომ განათლების უფლების მარეგულირებელი სხვა აქტები ამგვარ ჩანაწერებს არ შეიცავენ, რაც ინკლუზიური განათლების, როგორც განსაკუთრებული და აუცილებელი მექანიზმის, მიღმა ტოვებს სკოლამდელი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროებს.

## სკოლამდელი აღზრდა

2006 წლის დეცენტრალიზაციის რეფორმის შედეგად, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მართვისა და ორგანიზების ვალდებულება გამოვიდა განათლების სამინისტროს სისტემიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცა. სკოლამდელი განათლება - მისი ხელმისაწვდომობა, ფორმა თუ ხარისხი, თითოეულ

<sup>154</sup>საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 13 თებერვლის დადგენილება „საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=42280&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=42280&lang=ge) ბოლოს ნანახია: 07.07.2014

<sup>155</sup>საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 33, მე-2 პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი

<sup>156</sup>იქვე, მუხლი 7, პირველი პუნქტი, „სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას“

<sup>157</sup>საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2009 წლის მე-2 ნახევარი, გვ: 256

მუნიციპალიტეტში, განისაზღვრება ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით და მის მიერვე აღსრულდება. ეს მიდგომა არ შეცვლილა ადგილობრივი თვითმმართველობის ახლად ამოქმედებული კოდექსით, იგი სკოლამდელი დაწესებულებების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხს კვლავ მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებათა რიგებში ტოვებს. არსებული საკანონმდებლო სივრცე არ განსაზღვრავს ზოგადსტანდარტს, რომელიც საერთო იქნებოდა ყველა მუნიციპალიტეტისათვის და დაადგენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინების ვალდებულებას.<sup>158</sup>

საბავშვო-სააღმზრდელო დაწესებულებების დეცენტრალიზებული მართვის პირობებში, განათლების სამინისტროს, რომელსაც ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის გარკვეული გამოცდილება აქვს, არ გააჩნია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების კონტროლის ბერკეტი.<sup>159</sup> ამასთან, არ არსებობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განათლების ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი, ნორმატიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტი.<sup>160</sup> ასეთი აქტის არარსებობა აღნიშნულ სფეროს საერთო ხედვისა და მონესრიგების მიღმა ტოვებს და არაერთგვაროვანი, ბავშვის უფლებებთან შეუსაბამო პრაქტიკის არსებობის რისკებს ზრდის. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, სკოლამდელი განათლების განხორციელების მიზნებისათვის შექმნილია „სკოლამდელი განათლების პროგრამა“, როგორც სარეკომენდაციო სახელმძღვანელო, რომელიც ეყრდნობა „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს.“<sup>161</sup> თუმცა, აღნიშნული დოკუმენტიც არ იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სწავლებისა და განვითარების გეგმის მოდიფიცირების შესაძლებლობას, ბავშვზე ინდივიდუალური მისადაგების მიზნით.

მსგავსად ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა,<sup>162</sup> არც განათლების სამინისტრო ფლობს ინფორმაციას, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საერთო რაოდენობის შესახებ. მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ამ მონაცემების ამსახველი ერთიანი ბაზა დამუშავების პროცესშია.<sup>163</sup>

## სასკოლო განათლება

### განათლების პოლიტიკა

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიზნებს ეფუძნება და დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების საფეხურებს შეეხება,<sup>164</sup>

<sup>158</sup>საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი „ი“

<sup>159</sup>საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი N 30759, 19.02.2014

<sup>160</sup>განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი N 30759, 19.02.2014

<sup>161</sup>ხელმისაწვდომია აქ: <http://preschooleducation.ge/admin/uploads/5.%20skolamdeli%20ganatlebis%20programa.pdf> ბოლოს ნანახია: 27.03.2014

<sup>162</sup>„ალტერნატიული სკოლამდელი განათლება ადგილობრივი საზოგადოებისა და სასოფლო ტერიტორიების განვითარებისთვის“, გვ:15, ხელმისაწვდომია აქ: [http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/13375/1/Alternatiuli\\_Skolamdeli\\_Ganatleba.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/13375/1/Alternatiuli_Skolamdeli_Ganatleba.pdf) ბოლოს ნანახია: 24.03.2014

<sup>163</sup>განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N30744, 06.03.2014

<sup>164</sup>საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 11 მარტის ბრძანება N36/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“

სახელმწიფოს ავალდებულებს, შექმნას უფლების რეალიზებისთვის აუცილებელი წინაპირობები. მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მათი სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი, ინკლუზიური განათლების კონცეფცია ამ მიდგომას განიხილავს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებლობის, სოციალური ჩართულობისა და შემდგომი დასაქმების გარანტიას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური რეინტეგრაციისთვის. ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში, კანონმდებლობით განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმი და სპეციალური, მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე კადრის არსებობა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის.<sup>165</sup>

საქართველოში მოქმედი ინკლუზიური განათლების კონცეფციის მიუხედავად, სახელმწიფოს არ უთქვამს უარი სპეციალიზებული განათლების სისტემის შენარჩუნებაზე, რომელიც განათლების მეინსტრიმული მოდელის პარალელურად, განაგრძობს არსებობას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია რეგულარული საჯარო (მეინსტრიმული) სკოლებისა და სპეციალიზებული პროფილის მქონე საჯარო სკოლების საშუალებით. დღეის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით, მოქმედებს 8 საჯარო სკოლა, რომელიც სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.<sup>166</sup>

მიუხედავად, საკანონმდებლო ბაზის არსებობისა, რომელიც გარკვეულწილად არის თანხვედრაში კონვენციის სტანდარტებთან, ასევე მიუხედავად ინკლუზიური განათლების დანერგვის გარკვეული მასშტაბისა, სახალხო დამცველის შეფასებით, კვლავ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების სისტემაში ჩართვა.<sup>167</sup>

საწყისი პრობლემა იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განათლების სისტემაში ჩართვის ეტაპზე. მათი ჩართვა სისტემაში ხდება მხოლოდ მათი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელთა არაინფორმირებულობა, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების ფონზე, ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების სისტემის მიღმა დარჩენის რისკებს. ამასთან, სახელმწიფოს ამჟამინდელი პოლიტიკა არაპროაქტიულია განათლების სისტემის მიღმა დარჩენილი ბავშვების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად. ამ ყოველივემ კი, არსებული ფიზიკური თუ მენტალური ბარიერების არსებობის პირობებში,<sup>168</sup> შესაძლოა ბავშვთა განათლების სისტემიდან გარიყვა და გაუჩინარება განაპირობოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დაინერგოს რეფერალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის

<sup>165</sup>საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 212, „სპეციალური მასწავლებელი არის მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დაწყებით საფეხურზე და ხელი შეუწყოს მის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას დახვედრით/საბაზო/საშუალო საფეხურზე“

<sup>166</sup>განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი N30744, 06.03.2014

<sup>167</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 523

<sup>168</sup>იქვე, გვ: 523

პროაქტიულ ჩართვას სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ყველა სერვისის მისაწვდომობის, მათ შორის, განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

### **საჯარო სკოლები**

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმის მექანიზმს, როგორც ინკლუზიური განათლების განხორციელების შესაძლებლობას. ეროვნული სასწავლო გეგმა<sup>169</sup> განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის წესს, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული და მისი სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით შექმნილი სასწავლო გეგმა.<sup>170</sup> სწავლის პროცესში, სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში, სკოლამ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება.<sup>171</sup>

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, მრავლობითი შეზღუდვის მქონე პირები, ვინც საგანმანათლებლო პროცესის მიღმა რჩებიან, შესაძლოა დღის ცენტრების მომსახურებაში იყვნენ ჩართულნი.<sup>172</sup> თუმცა, დღის ცენტრები ვერ ანაცვლებს განათლების სისტემას და ვერ უზრუნველყოფენ განათლების უფლების განხორციელებას აღნიშნული ჯგუფისათვის.<sup>173</sup> ამდენად, ნათელია, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია, მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, განათლების უფლების რეალიზების სტრატეგია.

### **სპეციალიზებული პროფილის სკოლები**

ინკლუზიური განათლების მოდელის მუშაობის მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო სივრცე და პრაქტიკა, უშვებს სპეციალიზებული პროფილის სკოლების არსებობის შესაძლებლობას. ამგვარი დაწესებულებების არსებობა არათავსებადია კონვენციის მიზნებთან, რომელიც გულისხმობს განათლების სისტემის იმგვარ გარდაქმნას, რაც სრულად იქნება მიმართული ინკლუზიასა და ინტეგრაციას. სპეციალიზებული სკოლების არსებობის პრაქტიკა არაერთხელ გააკრიტიკა კომიტეტმა სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ გაკეთებულ შემაჯამებელ მოსაზრებებში. ერთი მხრივ, კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას წევრი სახელმწიფოს მიმართ, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მაქსიმალურად მოხდეს ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარება, რომელიც უპასუხებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს<sup>174</sup> და მეორე მხრივ, განათლების სისტემაში გონივრული მისადაგების პრინციპის არასაკმარის დანერგვას, განგრძობად სეგრეგაციად აფასებს. ამასთან მიუთითებს, რომ დაუშვებელია სახელმწიფო აგრძელებდეს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით მოსწავლეთა დისკრიმინაციას

<sup>169</sup>საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანება,თავი V

<sup>170</sup>საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 2, „ყ“ ქვეპუნქტი

<sup>171</sup>საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანება,თავი V

<sup>172</sup>განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი N30744, 06.03.2014

<sup>173</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის N74 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, დღის ცენტრების ქვეპროგრამა

<sup>174</sup>Concluding observations on the initial periodic report of Hungary, adopted by the Committee at its eighth session (17 28 September 2012); pr.39/41

(რომლის დასასაბუთებლადაც ფინანსებთან დაკავშირებულ არგუმენტებს იყენებს) და სპეციალური განათლების სისტემაში მოსწავლეთა ჩართვას, მათი მშობლის ნების საპირისპიროდ.<sup>175</sup>

განათლების სამინისტროს მიერ, 2006 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, მოხდა სპეციალური სკოლების საჯარო სკოლებად გარდაქმნა. თუმცა, სწავლების შინაარსი და ფორმა არ შეცვლილა. სკოლებმა შეინარჩუნეს სპეციალიზებული პროფილის სკოლების სტატუსი და მათი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად, პანსიონატურ მომსახურებასაც უწევს.<sup>176</sup> აღნიშნულ სკოლებში ჩასარიცხად საჭიროა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება.<sup>177</sup>

სპეციალიზებული სკოლები საქართველოს მხოლოდ რამდენიმე რეგიონში ფუნქციონირებს,<sup>178</sup> რომლებზე წვდომაც, ფიზიკურ მისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეებიდან გამომდინარე, პრობლემურია რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

სენსორული (სმენისა და მხედველობის) დარღვევების მქონე ბავშვთათვის არსებობს სამი სპეციალიზებული საჯარო სკოლა, რომლებიც ახორციელებენ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ქართული ჟესტური ენისა და წერითი მეტყველების ბილინგვურ პროგრამას.<sup>179</sup> პროგრამა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყენების შესაძლებლობას, რასაც პრაქტიკაში რიგი პრობლემები მოჰყვა. კერძოდ, მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებს პროგრამის მინიმუმის დაძლევას, ინდივიდუალური გეგმების შედგენის პრობლემას წარმოშობს მასწავლებელთა არაკომპეტენტურობა ამ სფეროში და ამიტომ, ხშირად, შეფასება წამახალისებელი უფროა, ვიდრე რეალური შედეგის ამსახველი.<sup>180</sup> სახელმწიფომ სპეციალიზებული სკოლების არსებობის პირობებში, უნდა უზრუნველყოს სწავლების სათანადო ხარისხის შეთავაზება მოსწავლეთათვის, თუმცა, მისი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლების მინიმუმაციისა და გაუქმებისაკენ.

<sup>175</sup>Committee on the Rights of Persons with Disabilities Sixth session 19–23 September 2011; Concluding observations of the Committee on the Rights of Persons with Disabilities; Spain; pr.43

<sup>176</sup>„... პროგრამები ხორციელდება განვითარების შეფერხების (შემცენებითი ფუნქციების და ადაპტური ქცევის დეფიციტის) მქონე ბავშვებისთვის, სენსორული (სმენისა და მხედველობის) და ქცევისა და ემოციური (ასოციალური, აგრესიული და დაუმორჩილებელი ქცევის განმეორებადი და მდგრადი გამოვლინება, რომელიც არის ფსიქოსომატური მდგომარეობის, გუნება-განწყობის ცვალებადობის ან სხვა დაავადებების თანმდევი სიმპტომი) დარღვევის მქონე ბავშვებისათვის“, განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი N30744 , 06.03.2014

<sup>177</sup>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანება

<sup>178</sup>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N30744, 06.03.2014 ; „8 სკოლა საქართველოს მასშტაბით: ა. განვითარების შეფერხების (შემცენებითი და მხედველობის) დარღვევის მქონე ბავშვებისათვის: 1. სსიპ-ქალაქ ახალციხის N7 საჯარო სკოლა, 2. სსიპ - თბილისის N200 საჯარო სკოლა, 3. სსიპ - თბილისის N198 საჯარო სკოლა, 4. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N12 საჯარო სკოლა; ბ. სენსორული (სმენისა და მხედველობის) დარღვევის მქონე ბავშვებისათვის 1. სსიპ - თბილისის N202 საჯარო სკოლა, 2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N45 საჯარო სკოლა, 3. სსიპ - თბილისის 203 საჯარო სკოლა; გ. ქცევისა და ემოციური (აგრესიული და დაუმორჩილებელი ქცევის განმეორებადი და მდგრადი გამოვლინება, რომელიც არ არის ფსიქოსომატური მდგომარეობის, გუნება-განწყობის ცვალებადობის ან სხვა დაავადებების თანმდევი სიმპტომი) დარღვევის მქონე ბავშვებისათვის: 1.სსიპ - ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლა“

<sup>179</sup>საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანება, თავი XIX1

<sup>180</sup>„საქართველოს 13 სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლის (შემდგომში სპეციალური სკოლის) სიტუაციური ანალიზი და სკოლის და მასწავლებლების საჭიროებების კვლევა“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009 წელი, გვ: 9

## პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება, პიროვნებისათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის სწრაფი დაუფლების საშუალება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომით ბაზარზე შეყვანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რაც ამ მიმართულებით სახელმწიფოს სისტემური მუშაობის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, განსხვავებით „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისგან, არ არის ორიენტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მიდგომის მეთოდების დანერგვაზე, არ ცნობს ასეთ სამიზნე ჯგუფს და მათ მიმართ განსაკუთრებული მეთოდების გამოყენების საჭიროებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განათლების დანერგვის მიზნით, ხორციელდება გარკვეული აქტივობები, კერძოდ: პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“<sup>181</sup> ფარგლებში, ხორციელდება პროფესიული სასწავლებლების ფიზიკური გარემოს ადაპტირება, ადამიანური რესურსების განვითარება და მეთოდოლოგიის შესაბამისი დახვეწა. ამ უკანასკნელის ფარგლებში, 6 სასწავლებელში 18 დამხმარე სპეციალისტია დასაქმებული.<sup>182</sup>

2013 წლის მონაცემებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 51 პირი ჩარიცხა 6 კოლეჯში.<sup>183</sup> ამ მხრივ, სამინისტროს აქტივობები მნიშვნელოვანი, თუმცა არასაკმარისი შედეგია, რაც განვითარებას და მეტი რესურსის გამოყოფას საჭიროებს.

პროფესიული განათლების სისტემაში შესვლის მიზნით, დანერგულია პროფესიული ორიენტაციის მექანიზმი, თუმცა მასში გათვალისწინებული არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული ორიენტაციის პროცედურა, მათი სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით.<sup>184</sup>

აღნიშნული პრობლემები განაპირობებს პროფესიულ განათლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიმცირეს. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2012 წლის მდგომარეობით, პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რიცხვი საერთო რაოდენობის 0,4% შეადგენდა,<sup>185</sup> რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემის აქტუალობას უსვამს ხაზს.

<sup>181</sup>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N30759, 19.02.2014; საქართველოს განათლების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის გაფორმებული გაფორმებული ხელშეკრულება 01/03, 25.01.2013;

<sup>182</sup>განათლების და მეცნიერების საქმინისტროს წერილი N31687, 19.02.2014

<sup>183</sup>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის ანგარიში, გვ: 10, ხელმისაწვდომია აქ: <http://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-2013.pdf> ბოლოს ნანახია: 7.07.2014

<sup>184</sup>განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი N31687, 19.02.2014

<sup>185</sup>„სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით“ საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი, გვ: 33

## უმაღლესი განათლება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი, პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მსგავსად, არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, განათლების პროცესში, ინდივიდუალური მიდგომის დანერგვის შესაძლებლობას.

თუმცა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, სამინისტრომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, სრულადაა ადაპტირებული გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, რაც განათლების სამინისტროს მხრიდან, მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო ელექტრონული სისტემა (შესაბამისი ვებ-გვერდი) არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, თუმცა ელექტრონული რეგისტრაციის დროს, ხდება მითითება სპეციალურ საჭიროების არსებობის თაობაზე.<sup>186</sup> შედეგად, საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის საგამოცდო სივრცის ადაპტირებას. მათ შორის, მხედველობის არმქონე აბიტურიენტებისათვის დანერგილია ბრაილის შრიფტის გამოყენება.<sup>187</sup> იმ შემთხვევაში, თუ ზომიერად/მნიშვნელოვნად/მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე აბიტურიენტი, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების საფუძველზე, მოიპოვებს სტუდენტის სტატუსს, მასზე სახელმწიფო გასცემს სასწავლო გრანტს, სოციალური პროგრამის ფარგლებში.

უმაღლესი განათლების მიღების უფლების მოპოვების შემდგომ, სპეციალური გრანტის საფუძველზე, დაფინანსება შესაძლოა მიიღოს 30-მა ადამიანმა.<sup>188</sup> დღეის მდგომარეობით, ამგვარი დაფინანსებით 16 სტუდენტი სარგებლობს.<sup>189</sup> მიმდინარე სასწავლო წელს, დაფინანსების ეს წესი გავრცელდა მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელის ფარგლებშიც, დაფინანდა ხუთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი.<sup>190</sup>

მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან, ამ მიმართულებით განეული ძალისხმევა, რომელიც უმაღლესი განათლების სისტემაში შესვლის პროცედურას ადაპტირებულს ხდის და პოზიტიური ღონისძიების სახით, იღებს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას. თუმცა, მიუხედავად მათი პოზიტიური მნიშვნელობისა, უმაღლესი განათლების უფლების რეალიზებისათვის აღნიშნული ღონისძიებები არ არის საკმარისი. ამასთან, ის ვერ პასუხობს იმ სირთულეებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმაღლესი განათლების სისტემაში შესვლას.

<sup>186</sup>[www.naec.ge](http://www.naec.ge)

<sup>187</sup> შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი N33091, 30.01.2014

<sup>188</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს N218 დადგენილება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 3, „ი“ ქვეპუნქტი

<sup>189</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N31687, 19.02.2014

<sup>190</sup> იქვე



ასევე, უცვლელი რჩება ის სირთულეები, რასაც სტუდენტები უმაღლეს სასწავლებელში აწყდებიან არაადაპტირებული გარემოსა და სასწავლო პროცესის სახით, რომელიც არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის ინსტიტუციონალიზებულ მექანიზმებს.

შესაბამისად, გარდა სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნისა, სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური მიდგომის შემუშავების საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო წვდომას ხარისხიან საშუალო განათლებაზე და დაბრკოლებებისაგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნას.

## ინკლუზიური განათლების განხორციელების დამაბრკოლებელი ფაქტორები

განათლების უფლებაზე მისაწვდომობის კუთხით არსებული ვითარება აჩვენებს, რომ გარდა სათანადო საკანონმდებლო ბაზის არარსებობისა, განსაკუთრებით პროფესიულ და უმაღლეს განათლების სფეროებში, სახეზეა ინკლუზიური განათლების დანერგვის პრაქტიკაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც სამინისტროს სისტემური მუშაობის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ინკლუზიური განათლების განხორციელებისას, არსებით პრობლემას წარმოადგენს პედაგოგთა კვალიფიკაცია.<sup>191</sup> კერძოდ, მწვავედ დგას ამ პირთა პროფესიული მზაობის, ხარისხისა და გადამზადების საკითხი.<sup>192</sup> აუცილებელია, მასწავლებელთა და სხვა რელევანტურ პირთა მუდმივი მომზადებისა და გადამზადებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების განხორციელება. ამასთან, სასწავლო დანესებულებების ფიზიკური გარემოს ადაპტირების გარდა, მნიშვნელოვანია სპეციალური აღჭურვილობისა და სხვა ტექნიკური რესურსების საჭიროება, რაც ინკლუზიური განათლების განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.<sup>193</sup>

განათლებაზე წვდომას მნიშვნელოვნად აბრკოლებს არაადაპტირებული გარემო.<sup>194</sup> სასწავლო დანესებულებების ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. ეს კი ინკლუზიური განათლების უფლების სრულფასოვნად განხორციელებას გამორიცხავს.<sup>195</sup> აღნიშნული პრობლემა თანაბრად აქტუალურია განათლების ხელმისაწვდომის ნებისმიერ საფეხურზე.<sup>196</sup> ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წლიური ანგარიში საქართველოზე მიუთითებს, რომ საჯარო სკოლების დიდი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებთან შეუსაბამოა და ასევე საუბრობს

<sup>191</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2009 წლის მე-2 ნახევარი, გვ:251

<sup>192</sup>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფციის 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნითი მონიტორინგის შედეგების ანგარიში“, ასოციაცია „დეა“, 2012 წელი, გვ: 7

<sup>193</sup>იქვე, გვ: 7

<sup>194</sup>GEORGIA IN TRANSITION Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenge; 7.5. Rights of Persons with Disabilities; pg. 39

<sup>195</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 525

<sup>196</sup>„ინკლუზიური განათლების დანერგვისა და საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში არსებული მდგომარეობის შესწავლა“, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია აქ: <https://docs.google.com/file/d/0BgRC0lzxIY4ZUkhRdFExMHVpMok/edit?pli=1>, ბოლოს ნანახია: 27.03.2014

ადაპტირებულად აღიარებულ სკოლებში ინკლუზიის რეალურად დაბალ ხარისხზე.<sup>197</sup>

ზოგადი განათლების სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა ისეთ შესაძლო დამაბრკოლებელ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, როგორიცაა საზოგადოებრივი მზაობის არარსებობა მათ სრულფასოვან ადამიანებად აღქმისათვის, სტიგმა, მათდამი სოციალური გაუცხოვება და შიში. პრობლემას ქმნის თავად მასწავლებელთა მხრიდან, სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლების მოსწავლეების შესაძლებლობების არასათანადო გააზრება, რაც ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციას და ხელოვნურ სოციალურ იზოლაციას.<sup>198</sup>

პრობლემების სისტემურობა აჩვენებს განათლების სფეროში არსებული პრობლემებისა და ბარიერების წინააღმდეგ, სახელმწიფოს კომპლექსური მიდგომის საჭიროებას.

**შესაბამისად, კონვენციის 24-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნით, მნიშვნელოვანია:**

- განათლების პოლიტიკა დაეფუძნოს კონვენციის ხედვას ინკლუზიის განათლების მოდელზე, რაც არსებული რეგულაციების გაძლიერებისა და ახალი ნორმების შემოტანის გზით, სათანადოდ აისახება ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებსა თუ პოლიტიკის დოკუმენტებში;
- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ყველასათვის თანაბრად, დისკრიმინაციის გარეშე მისაწვდომობა, მათ შორის, ტერიტორიული მისაწვდომობა, განსაკუთრებით, რეგიონებში;
- შემუშავდეს და დაიგეგმოს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინაციის პირობებში;
- განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით, მოხდეს საგანმანათლებლო გარემოს სათანადო ადაპტაცია, მათ შორის, ფიზიკური გარემოს გარდაქმნა, სპეციალური ტექნიკის, აღჭურვილობის, კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვა, სასწავლო მასალისა და პროცესის ადაპტირება;
- უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მასწავლებლების/შესაბამისი პერსონალის მომზადება და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლება;
- შეიმუშავოს და დანერგოს კოორდინაციის ეფექტური მექანიზმი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების, განსაკუთრებით დაწყებით და საბაზო განათლების პროცესში ჩასართავად;
- შემუშავდეს და დაინერგოს ინკლუზიური განათლების სტანდარტები სკოლამდელი განათლების პროცესში;
- სპეციალიზებული სასკოლო განათლება განხილულ იქნეს როგორც უკიდურესი და დროებითი შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლების უზრუნველსაყოფად და შემუშავდეს ამ სკოლების მოსწავლეთა მენისტრიული განათლების სისტემაში შეყვანის გეგმა;

<sup>197</sup>Bureau of Democracy, Human Rights and Labor Country Reports on Human Rights Practices for 2013 Georgia; Persons with disabilities

<sup>198</sup>„საქართველოს 13 სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლის სიტუაციური ანალიზი და სკოლის მასწავლებლების საჭიროებების კვლევა“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009 წელი, გვ: 10

- დაინერგოს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლების მეთოდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული განათლების რეალიზებისას;
- მოხდეს პროფესიული ორიენტაციის მექანიზმის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მასში მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება;
- უმაღლესი განათლების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

ჯანმრთელობის დაცვა

## 13. ჯანმრთელობის დაცვა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ისარგებლონ ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით, კონვენციის 25-ე მუხლი ითვალისწინებს. ის ერთი მხრივ, ადგენს ვალდებულებას თანაბრად მისაწვდომი ჯანდაცვის პროგრამების არსებობის თაობაზე და მეორე მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ ამ ჯგუფის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურება. ამასთან, კონვენცია ჯანმრთელობის დაცვის ნაწილად მოიაზრებს შეზღუდული შესაძლებლობის ადრეულ დიაგნოსტიკასა და შესაბამისი პრევენციული ზომების განხორციელებას.

დოკუმენტი ასევე ადგენს გენდერულად სენსიტიურ და ტერიტორიულად მისაწვდომ ჯანდაცვის სისტემის არსებობის აუცილებლობას, რომლის ფარგლებში მიწოდებული სერვისიც დაეფუძნება გადამზადებულ სამედიცინო პერსონალს, არადისკრიმინაციულ მიდგომებს, ბენეფიციარების ინფორმირებულ მონაწილეობას, ადამიანის უფლებებზე, ღირსებასა და ავტონომიურობაზე დაფუძნებულ ეთიკურ სტანდარტებს.

### ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

ჯანმრთელობის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელზე სათანადო და თანაბარი წვდომა, მნიშვნელოვნად განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსეულ ცხოვრებას. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ქმნის გარკვეულ სამართლებრივ საფუძველებს ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით და მათ შორის, სპეციალურად მიემართება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმი განხილული იქნება დოკუმენტის იმ თავებში, რომელიც შეეხება დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლებასა და პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვას, ვინაიდან მოქმედი რეგულაციები და პროცედურები კონვენციით დაცულ ამ სფეროებთან მოდის წინააღმდეგობაში.<sup>199</sup> წინამდებარე თავი კი, შეეხება ჯანმრთელობის უფლების სათანადო რეალიზების საკითხებს, რომელიც გაანალიზებული იქნება ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მისაწვდომობის, პროცესში ინფორმირებული მონაწილეობისა და მკურნალობის თაობაზე გადანაცვტილების მიღების ქრილში.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ყველას უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. ამასთან, ადგენს, უფასო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ვალდებულებას კანონით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ პირობებში.<sup>200</sup>

<sup>199</sup>ვგრცლად იხილეთ თავში: პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება; წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან თავისუფლება; ექსპლოატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება; პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა (კონვენციის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები)

<sup>200</sup>საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37

ჯანმრთელობის დაცვის უფლება, გარდა ჯანდაცვის სისტემაზე წვდომისა, ასევე გულისხმობს მასზე წვდომას თანაბარ პირობებში. ეს კი სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ფლობდნენ ინფორმაციას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და თავად მიიღონ გადაწყვეტილება შესაბამისი მკურნალობის ჩატარების თუ მკურნალობის შეწყვეტის თაობაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია საქართველოს კანონები „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად გამოყოფს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარ მისაწვდომობას, სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში.<sup>201</sup>

მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არაერთ წინააღმდეგობრივ ჩანაწერს შეიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მკურნალობის პროცედურის შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი არსებითად წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების ხედვაზე დაფუძნებულ მიდგომასთან და ხშირ შემთხვევაში თავად ხდება უფლების დარღვევის საფუძველი. აღნიშნული სამართლებრივი აქტების მიდგომა განსაკუთრებულად უფლებაშემლახავია ქმედუუნარო პირთა ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით და თავის მხრივ, ეს მიდგომა არ არის ერთგვაროვანი. კერძოდ, კანონმდებლობა ქმედუუნარო პირის მიმართ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას, მისი ინფორმირებულობისა და ჩართულობის განსხვავებულ რეჟიმებზე საუბრობს. მაგალითად, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, გარკვეულ შემთხვევებში, სრულად გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ ნების გამოხატვის საჭიროებას.<sup>202</sup> ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, სამედიცინო ჩარევას მის წინასწარ გაცხადებულ ნებასა და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს უკავშირებს. თუმცა, გამონაკლისის სახით აქაც ადგენს ქმედუუნარო პირის გარეშე, მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის გაცნობიერებული თანხმობით, სამედიცინო ჩარევის დასაშვებობას.<sup>203</sup>

ანალოგიურ წინააღმდეგობას აჩვენებს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, რომელიც მკურნალობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ქმედუუნარო პირს გამორიცხავს.<sup>204</sup> თუმცა, ცალკეულ მუხლებში ის საუბრობს ქმედუუნარო პირის მონაწილეობაზე ანალოგიურ პროცედურაში.<sup>205</sup> ამასთან, კანონი პაციენტის უფლებების ნაწილობრივი შეზღუდვისას, დაუშვებლად აცხადებს შეზღუდვის დაწესებას მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზის საფუძველზე, პირის ფსიქიკური მდგომარეობისა და სოციალური ადაპტაციის შეფასების გაუთვალისწინებლად.<sup>206</sup>

არსებული წინააღმდეგობრივი ჩანაწერების პირობებში, არ არის ნათელი კანონმდებლობის ნება მკურნალობის ჩატარების პროცესში ქმედუუნარო პირთა უფლებების დაცვის

<sup>201</sup>საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 4, „ა“ ქვეპუნქტი

<sup>202</sup>იქვე, მუხლი 26; მუხლი 52 „ბ“ ქვეპუნქტი

<sup>203</sup>იქვე, მუხლი 11

<sup>204</sup>საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 1

<sup>205</sup>იქვე, მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ე“; მუხლი 8, პუნქტი 2

<sup>206</sup>იქვე, მუხლი 6, პუნქტი 2

სტანდარტთან დაკავშირებით. კანონის ჩანაწერები, რომლებიც მკურნალობის პროცესში ქმედუუნარო პირთა მონაწილეობასა და ჩართულობაზე მიუთითებენ, ვერ იქნება განხილული, როგორც კანონმდებლობით განმტკიცებული ფუნქციონალური შეფასების მოდელი. აღნიშნული კი ძალაში ტოვებს არსებული რეგულაციების კრიტიკას და კონვენციასთან შესაბამისობის საჭიროების საკითხს.

ჯანმრთელობის დაცვის გარანტირებისთვის, ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ქმედუუნარო პირის ინფორმირებულობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის შეზღუდვაც არსებითად გამოორიცხავს პირის გადაწყვეტილების პროცესში ეფექტურ ჩართულობას, მიუხედავად იმისა, ამგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებს თუ არა კანონის ცალკეული ჩანაწერები. პაციენტის ინფორმირებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაცია, იმპერატიულად გამოორიცხავს ქმედუუნარო პირებს, როგორც ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ადრესატებს. რამდენადაც ეს ნორმა ყველა პაციენტს, გარდა ქმედუუნარო პირებისა (ასევე, იმ პირებისა, ვისაც არა აქვთ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი), აძლევს უფლებას მიიღონ თავისი დაავადებისა და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია, ხოლო ქმედუუნარო პირების ნაცვლად, აღნიშნულ ინფორმაციას იღებენ კანონიერი წარმომადგენლები.<sup>207</sup>

კანონმდებლის მიდგომა ეწინააღმდეგება კონვენციის შინაარსს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინფორმირების, გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში მონაწილეობის სავალდებულოობას ადგენს და აღნიშნულის რეალიზებას ჯანმრთელობის დაცვის გარდა, პიროვნების ღირსებასა და ავტონომიურობას უკავშირებს.

2013 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი - „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია“, რომელიც განსაზღვრავს ხელისუფლების ხედვას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ და არსებული მდგომარეობის შეფასების შესაბამისად, ახდენს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს პოლიტიკის დაგეგმვას.<sup>208</sup> თავისთავად მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც აღნიშნულ სფეროზე კონცენტრირდება. თუმცა, აუცილებელია დოკუმენტში გაცხადებული ხედვა სახელმწიფოს შესაბამისი პოლიტიკის აღსრულებაში გამოვლინდეს და სათანადოდ აისახოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების უფლებრივ მდგომარეობაზე.

## სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

„2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის“ მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა,<sup>209</sup> რისი იმპლემენტაციაც

<sup>207</sup>იქვე, მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“

<sup>208</sup>საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ხელმისაწვდომია აქ: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=2157098&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2157098&lang=ge), ბოლოს ნანახია 07.07.2014

<sup>209</sup>საქართველოს კანონი „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, მუხლი 14

შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებით ხორციელდება.<sup>210</sup> 2013 წლისათვის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დამტკიცდა 20 სახელმწიფო პროგრამა,<sup>211</sup> თუმცა, არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკას/განსაკუთრებულ საჭიროებებს. ეს კი აჩვენებს სახელმწიფოს ჯანდაცვის პოლიტიკის არასენსიტიურობას ამ ჯგუფის მიმართ.<sup>212</sup>

სახელმწიფო პროგრამებისაგან განსხვავებით, ჯანმრთელობის დაზღვევის მოქმედი სისტემის გამოკვეთილ ადრესატებს წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლის ეფექტურობა ქვემოთ იქნება განხილული. აღნიშნული თავი ასევე გააანალიზებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამის მოქმედებას და მათ შესაძლო გავლენას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვაზე.

## **ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა**

სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა 2007 წლიდან დაინერგა და თავდაპირველად მხოლოდ თბილისისა და იმერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირების დაზღვევას ითვალისწინებდა. მოგვიანებით, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების ფარგლებში მოხვდა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა. ეს ცვლილება სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელს ხდიდა მხოლოდ სოციალურად დაუცველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაზღვევას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უდიდეს ნაწილს დაზღვევის მიღმა ტოვებდა. აღნიშნული მიდგომა წლების მანძილზე საქართველოს სახალხო დამცველის კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა, როგორც დისკრიმინაციული და არასათანადო სადაზღვევო სისტემა.

სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმამ გაითვალისწინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევის სისტემის სრულყოფის საკითხი. გეგმა მიზნად ისახავდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმალური სამედიცინო დაზღვევის პაკეტის შექმნას, რომელიც გამორიცხავდა დისკრიმინაციულ მიდგომას.<sup>213</sup> მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პროგრამის ხარვეზების გაცნობიერებისა და სადაზღვევო სისტემის მოდიფიცირებისა, ის დღემდე ვერ პასუხობს კონვენციის სტანდარტს და ვერ უზრუნველყოფს მასზე ყველას თანაბარ და ადეკვატურ წვდომას.<sup>214</sup>

დღეისთვის, სახელმწიფო დაზღვევის ორი, სხვადასხვა პროგრამა მოქმედებს: სადაზღვევო პროგრამა, რომელიც გულისხმობს 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის

<sup>210</sup>საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 16, პირველი პუნქტი, „თ“ ქვეპუნქტი

<sup>211</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილება „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“

<sup>212</sup>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფციის 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნითი მონიტორინგის შედეგების ანგარიში“, ასოციაცია „დეა“, 2012 წელი, გვ: 21

<sup>213</sup>საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმის დამტკიცების შესახებ“

<sup>214</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2011 წელი, გვ: 266



და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევას, (შემდგომში სპეციალური დაზღვევა).<sup>215</sup> ასევე, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა,<sup>216</sup> რომელსაც საქართველოს მთავრობის N218 დადგენილების საფუძველზე დაზღვეული პირები შეუერთდნენ.<sup>217</sup>

როგორც აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური დაზღვევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები<sup>218</sup> და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.<sup>219</sup> შესაბამისად, იგი საკუთარ არეალს მიღმა ტოვებს ზომიერად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რაც მისი მოქმედების არასაკმარისობაზე და დისკრიმინაციულ მიდგომაზე მიუთითებს.<sup>220</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ის კატეგორია, რომელიც ვერ ხვდება სპეციალური დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, სარგებლობს საყოველთაო დაზღვევის პროგრამით.<sup>221</sup> ამ უკანასკნელის არსებობა თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა, ის არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებულ საჭიროებებს და მათ ყველა სხვა პირთან (მოსარგებლესთან) ერთად განიხილავს. შესაბამისად, ამ ჯგუფზე დაზღვევის სტანდარტული პირობების გავრცელების მიუხედავად, კვლავაც კრიტიკის ობიექტია სახელმწიფოს არასათანადო სადაზღვევო სისტემა, რომელსაც არ აქვს მგრძობელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და მათ, როგორც განსაკუთრებულ სამიზნე ჯგუფს, ვერ ხედავს.

ზემოაღნიშნული კრიტიკა მიემართება სპეციალური დაზღვევის პროგრამასაც, რომელიც მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც განსაკუთრებული ჯგუფის იდენტიფიცირებისა, არ შეიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ საჭიროებებზე მიმართულ ღონისძიებებს. კერძოდ, სამიზნე ჯგუფის მომსახურება ხდება ყველასთვის სტანდარტული პირობებით და მათი ინდივიდუალური საჭიროებების უგულვებელყოფით.<sup>222</sup> სადაზღვევო პაკეტი მხოლოდ მინიმალურად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებიდან გამომდინარე მომსახურებას.<sup>223</sup>

<sup>215</sup>საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილება

<sup>216</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“

<sup>217</sup>საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილება

<sup>218</sup>საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილება, მუხლი 2, პუნქტი 3, „დ“ ქვეპუნქტი, „შშმ ბავშვი საქართველოს მოქალაქე, გარდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა“

<sup>219</sup>საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილება, მუხლი 2, პუნქტი 3, „ე“ ქვეპუნქტი, „მკვეთრად გამოხატული შშმ საქართველოს მოქალაქე, გარდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა“

<sup>220</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ: 727

<sup>221</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“

<sup>222</sup>საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილება, მუხლი 3

ნორმატიული რეგულირების მხრივ არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გარდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სადაზღვევო სერვისებით სარგებლობისას არაერთ პრობლემას აწყდებიან, რაც ცალკეულ შემთხვევებში გამორიცხავს კიდევ მათით სარგებლობის შესაძლებლობას. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადაზღვევო პაკეტით მომსახურებისა და მისი შინაარსის შესახებ არაინფორმირებულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა, რაც განსაკუთრებულად მწვავეა რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ამ მხრივ, რთული ვითარებაა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში.<sup>224</sup> სადაზღვევო პაკეტის მომსახურებით სარგებლობისას, დამატებით დაბრკოლებებს ქმნის არაადაპტირებული გარემო, რაც მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სამედიცინო პუნქტამდე მისასვლელად. პრობლემურია სამედიცინო პუნქტებში შეღწევა და მის შიგნით გადაადგილება.<sup>225</sup>

ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის გამოყენების მნიშვნელოვანი ხარვეზია რეგიონებში სხვადასხვა სამედიცინო დარგის პროფესიონალთა არარსებობა, რის გამოც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ იღებენ ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას.<sup>226</sup>

მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობის სფეროში განხორციელებული სახელმწიფოს თითოეული მოქმედება, მათ შორის, სადაზღვევო სისტემა, სათანადოდ ხედავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, როგორც მიზნობრივ ჯგუფს და ითვალისწინებდეს მათ სპეციალურ საჭიროებებს.

## **სახელმწიფო პროგრამები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებზე დაფუძნებული და მათ საჭიროებებზე მიმართული სახელმწიფო პროგრამები, ხოლო არსებული სახელმწიფო პროგრამების შინაარსში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები. ეს კი აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობას სამედიცინო მომსახურებაზე.

### **სოფლის ექიმის პროგრამა**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პროგრამის „სოფლის ექიმის“ შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს ექიმის პროაქტიულ მომსახურებას, მათ შორის, გეოგრაფიულად რთულად მისაწვდომ ადგილებში, ის არ

<sup>223</sup>იქვე: მუხლი 3, ნაწილი 1, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტები, „შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევებისა“, მუხლი 3, ნაწილი 1, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტები, „მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სამკურნალო საშუალებების 50% თანადაგადახდა, მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მედიკამენტების ნუსხიდან და მხოლოდ 100 ლარის ლიმიტის ფარგლებში“

<sup>224</sup>„სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით“ საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი, გვ: 28

<sup>225</sup>იქვე, გვ: 28

<sup>226</sup>იქვე, გვ: 22

ყოფილა ჩაფიქრებული როგორც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მიმართული ქმედება.<sup>227</sup> კერძოდ, პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც პროგრამის მიზნებისა და ფუნქციონირებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ქმედითი შეიძლებოდა ყოფილიყო რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც გარემოს მისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვან გამონწვევად რჩება. თუმცა, აღნიშნული პროგრამის დეკლარირებული მიზანი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, როგორც განსაკუთრებული ჯგუფისთვის, მისაწვდომი და ეფექტური სამედიცინო მომსახურების განწვევა. პროგრამის არცერთი ამოცანა თუ ღონისძიება ამგვარ ჩანანერს არ ითვალისწინებს.<sup>228</sup>

სახალხო დამცველი ანალიზებს პროგრამის მუშაობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში და აკრიტიკებს, მისი შექმნის ეტაპზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების სრული უგულვებელყოფის ფაქტს. ამასთან მიუთითებს, რომ სოფლის ექიმს - პროგრამის უშუალო შემსრულებელს და სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც „სოფლის ექიმის“ პროგრამის განმახორციელებელს, სტატისტიკური აღრიცხვის არანაირი ვალდებულება არ გააჩნია.<sup>229</sup>

### ***მედიკამენტების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის***

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა ყოველდღიურადაა დამოკიდებული მედიკამენტებზე, რაც ხშირ შემთხვევაში, დიდ ფინანსურ სახსრებთანაა დაკავშირებული და განსაკუთრებულ ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პრობლემა დღემდე დაურეგულირებელი საკითხია, რაზეც სახალხო დამცველის 2013 წლის წლიური ანგარიშიც უთითებს.<sup>230</sup>

2010-2012 წლების სამთავრობო გეგმაში, ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა სახელმწიფოს დაფინანსების საკითხის სრულყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავდა უფასო მედიკამენტებით დახმარების ღონისძიების შემცველი პროგრამების გადასინჯვასა და გაფართოების საკითხს.<sup>231</sup>

შედეგად, სახელმწიფომ გააფართოვა თითოეული სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით მომარაგების კომპონენტი, რაც თანაბრად შეეხო პროგრამით მოსარგებლე ყველა

<sup>227</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილება

<sup>228</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის N279 დადგენილება, დანართი N18, პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: [http://www.moh.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=61&info\\_id=1500](http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=61&info_id=1500), ბოლოს ნანახია: 10.03.14

<sup>229</sup>„სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით“ საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი გვ: 28

<sup>230</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 522

<sup>231</sup>საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“

მოქალაქეს, მაგრამ არ მოხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება.<sup>232</sup> მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა 2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შემდეგ.

მედიკამენტებზე მისაწვდომობის ნაწილში, უნდა აღინიშნოს სპეციალური დაზღვევის პროგრამა, რომელიც მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ითვალისწინებს მინიმალური ოდენობით (100 ლარის ღირებულების მედიკამენტებზე 50% თანაგადახდა) ამბულატორიული სამკურნალო საშუალებების თანადაფინანსების შესაძლებლობას.<sup>233</sup> თუმცა, მისი მცირე მასშტაბის გამო, აღნიშნული სიმბოლურ ხასიათს ატარებს და პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართა მედიკამენტების რეალურ საჭიროებას.<sup>234</sup>

კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“<sup>235</sup> ითვალისწინებს, სახელმწიფოს ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მედიკამენტებით უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მომსახურების უზრუნველყოფაზე. არსებულ პროგრამათაგან, მხოლოდ რამდენიმე მოიცავს მედიკამენტებით მომსახურების კომპონენტს, თუმცა, მინიმალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მედიკამენტების გადაცემით დაფარული მომსახურების ფარგლები.

### **სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მისაწვდომობის პრობლემა**

გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე მისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებულად აქტუალურია სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირთათვის. ეს ადამიანები, მოქმედი სერვისების ტექნიკური ფუნქციონირების პირობებში, ფაქტობრივად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დამოუკიდებლად ისარგებლონ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით. არსებული სერვისები არაადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. კერძოდ, ისინი არ არის აღჭურვილი ინფორმაციის მიღებისა და გაცემის ალტერნატიული მექანიზმებით, რაც მათზე წვდომას შეუძლებელს ხდის მეტყველებისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირებისათვის. მოქმედი პრაქტიკა უხეშად არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ისარგებლონ გადაუდებელი მომსახურების სერვისებით, რაც გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღების შეუძლებლობასაც მოიცავს.<sup>236</sup>

<sup>232</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფციის 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნითი მონიტორინგის შედეგების ანგარიში“, ასოციაცია „დეა“, 2012 წელი, გვ: 15

<sup>233</sup> საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილება, მუხლი 3, პუნქტი „დ“, „ბ“, „...მკვეთრად გამოხატული შშმ და შშმ ბავშვებისათვის ანაზღაურდება სამკურნალო საშუალებათა დამტკიცებული ნუსხის მიხედვით. მზღვეველის მიერ ანაზღაურდება პოლისის წლიური სადაზღვევო ლიმიტის 100 ლარის ფარგლებში, 50%-ის თანაგადახდით მოსარგებლის მხრიდან“

<sup>234</sup> „სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით“ საქართველოს სახალხო დამცველი, 2013 წელი, გვ: 22

<sup>235</sup> საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 4

<sup>236</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ: 724-725

## ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მოსახლეობისათვის, თუმცა, პროგრამის შინაარსსა და მის იმპლემენტაციას არაერთი ხარვეზი ახასიათებს.

მოქმედი პროგრამა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მოიაზრებს მოსარგებლეთა წრეში, რაც გამორიცხავს მისი სიკეთებით სარგებლობას უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის. ამასთან, ის ფსიქიატრიულ მკურნალობას იყენებს, როგორც შედეგთან და არა მის მიზეზებთან ბრძოლის საშუალებად, შესაბამისად, ფოკუსირდება მხოლოდ მკურნალობის ასპექტზე და ნაკლებად პასუხობს პრევენციულ მიზანს. პროგრამა ასევე არ შეიცავს ინფორმაციული მისაწვდომობის კომპონენტს<sup>237</sup> და მასში არ არის გათვალისწინებული მონიტორინგის საკითხი, კერძოდ, მისი განხორციელების მექანიზმები და შეფასების ინდიკატორები. აგრეთვე, მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნევა რეაბილიტაციის კომპონენტის სისუსტე.<sup>238</sup>

პროგრამას, გარდა შინაარსობრივი ხარვეზებისა, არსებითი პრაქტიკული ნაკლოვანებები გააჩნია. კერძოდ, ვერ უზრუნველყოფს სერვისების თანაბარ გეოგრაფიულ განაწილებას/მისაწვდომობას, რაც კადრების სიმცირესთან ერთად დროული დიაგნოსტიკების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება. ამბულატორიული თუ სტაციონარული ფსიქიატრიული სერვისების არარსებობის გამო, მისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებულად მწვავე საკითხია ცალკეულ რეგიონებში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი).<sup>239</sup>

## ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მისაწვდომობა ფსიქიატრიულ დანესებულებებსა და პენიტენციურ სისტემაში

ჯანმრთელობის დაცვა გამოწვევას წარმოადგენს ისეთ დახურულ ინსტიტუციებში, როგორცაა ფსიქიატრიული დანესებულებები და პენიტენციური სისტემა. სახალხო დამცველის ანგარიშები ცხადყოფს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები სტაციონარებში ვერ ახერხებენ ჯანმრთელობის უფლების სათანადო რეალიზებას. პრობლემურია მედიკამენტების უკუჩვენებებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენა. განსაკუთრებით აქტუალურია სტომატოლოგიური და სომატური დაავადებების მკურნალობის საკითხი, რასაც ფსიქოტროპული მედიკამენტების დიდი რაოდენობით მიღება იწვევს.<sup>240</sup>

ფსიქიატრიული დანესებულების ბენეფიციარებს უფლება აქვთ, მიიღონ ფსიქიატრიული

<sup>237</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილება „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა

<sup>238</sup>კვლევის ფარგლებში 2014 წლის 8 ივლისს გამართული სამუშაო შეხვედრის ოქმი, მოსაზრების ავტორი: საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, მანანა შარაშიძე

<sup>239</sup>„საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის თემზე დაფუძნებული ამბულატორიული სერვისის მოდელის შემუშავება და პილოტირება“, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია, 2011 წელი, გვ: 14

<sup>240</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012 წელი, გვ: 150

მკურნალობისგან დამოუკიდებელი სამედიცინო დახმარება. თუმცა, არაფსიქიატრიული დაავადებების, კერძოდ სტომატოლოგიურ და სომატურ დაავადებებთან დაკავშირებული მომსახურება, ბენეფიციარებისათვის ხშირად მიუწვდომელია ან დაკავშირებულია დამატებით ბარიერებთან.<sup>241</sup> დღის ნესრიგში დგას დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელიც გამონვეულია შესაბამისი პერსონალისა და დაფინანსების სათანადო მექანიზმების არარსებობით.<sup>242</sup>

სახალხო დამცველის მონიტორინგმა ინდივიდუალური პრობლემების გარდა, პენიტენციურ სისტემაში გამოავლინა სისტემური პრობლემები, რომლებიც უკავშირდება, მათ შორის, არასათანადო ჯანდაცვას. მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციმართა სტატისტიკა და მათი სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმი. ამასთან, არ ხდება დროული სამედიცინო ჩარევა, რაც ხშირად იწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. ასევე, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პაციმართა მოვლის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პრაქტიკა. ზემოაღნიშნული საკითხების კვლადაკვალ, კვლავაც მწვავე პრობლემაა სამედიცინო პერსონალის მომზადებისა და გადამზადების საკითხი.<sup>243</sup>

#### **შესაბამისად, კონვენციის 25-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია:**

- **ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს კონვენციის მიზნებთან და მოთხოვნებთან; მათ შორის, მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირებულობის და მკურნალობის დაწყების/შენწყვეტის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მათი მონაწილეობის სავალდებულოობის გათვალისწინება;**
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი მისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე;**
- **შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ მოთხოვნებზე დაფუძნებული პროგრამები, ხოლო არსებულმა პროგრამებმა გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებები;**
- **უზრუნველყოფილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მაქსიმალური გარანტირება, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობისა თუ პოლიტიკის შემუშავების პროცესში;**
- **სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა გადამუშავდეს იმგვარად, რომ დისკრიმინაციის გარეშე ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ საჭიროებებს. ამასთან, გარანტირებული იყოს პროგრამის ინფორმაციული, გეოგრაფიული და ფინანსური მისაწვდომობა;**

<sup>241</sup> იქვე, გვ: 177-181

<sup>242</sup> „საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები. პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2013 წელი, გვ: 27

<sup>243</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლაციორებსა და არანებაყოფლობით ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში“, საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2014 წელი, გვ:13-14

- პრევენციის მიზნით, შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობისაკენ მიმართული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები;
- მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხარისხის მომსახურებაზე, მათ შორის ინდივიდუალური, გინეკოლოგიური და ოჯახის დაგეგმვის კონსულტაციებსა და მკურნალობაზე;
- განხორციელდეს სამედიცინო სფეროში მომუშავე პერსონალის მომზადება და გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, გენდერულად მგრძნობიარე სამედიცინო მომსახურების მინოდებისათვის;
- უნდა შემუშავდეს ინფორმაციის გაცვლის ალტერნატიული მექანიზმი სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებისათვის, რათა მათთვის მისაწვდომი იყოს სასწრაფო დახმარების სამსახურებით სარგებლობა;
- უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა მედიკამენტებზე შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის შექმნის გზით. ამასთან, არსებულ სახელმწიფო პროგრამებში მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროების გათვალისწინება მედიკამენტებზე;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებმა სათანადოდ ასახონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა საჭიროებები და უზრუნველყონ ხასისხიანი მომსახურების შეთავაზება საქართველოს ყველა რეგიონში;
- უზრუნველყოფილ იქნას დახურული ტიპის - ფსიქიატრიულ და სასჯელალსრულებით დანესებულებებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის უფლების სათანადო და ეფექტური რეალიზება;





## 14. შრომა და დასაქმება

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლებას განამტკიცებს კონვენციის 27-ე მუხლი, რომელიც გარდა უფლების შინაარსისა, მისი სათანადო რეალიზებისთვის სახელმწიფოს მოქმედების მთავარ მიმართულებებს განსაზღვრავს. კონვენცია ნევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებს, აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება მუშაობდნენ სხვებთან თანასწორ პირობებში, რაც გულისხმობს საკუთარი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ღია, ინკლუზიური და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მისანვდომი სამუშაო გარემოს არსებობის პირობებში. მონაწილე სახელმწიფოები, სისტემური მიდგომის შემუშავებით, საკანონმდებლო თუ სხვა მექანიზმების ჩართვით, იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების რეალიზებას.

კონვენციის საბოლოო მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ღია ბაზარზე, სხვებთან თანასწორ პირობებში, დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. თუმცა, ამ მიზნის მიღწევამდე, დოკუმენტი განიხილავს სახელმწიფოს მხრიდან დროებითი მექანიზმების, მათ შორის პოზიტიური დისკრიმინაციის, სტიმულირების, მხარდაჭერის ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების საჭიროებას, როგორც აუცილებელ და დროებით ჩარევას, დასახული მიზნის მიღწევისათვის.

### ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

შრომის უფლების რეალიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, დღემდე რჩება სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. შრომის უფლებით სათანადო სარგებლობის საკითხი კომპლექსური პრობლემაა, მასთან დაკავშირებული სირთულეების მრავალგვარობიდან გამომდინარე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია შრომით ბაზარზე მონაწილეობისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს, როგორც არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, ასევე პრაქტიკასა და გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში განმტკიცებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სხვა უფლებებთან, მათ შორის განათლებაზე, რეაბილიტაციასა და აბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების მარეგულირებელი ძირითადი აქტებია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი შეეხება დასაქმების საკითხს, თუმცა, მოქმედი რეგულირების პირობებში,

შეუძლებელია იგი ჩაითვალოს საკმარისი სამართლებრივი ბერკეტებით აღჭურვილ, კონვენციის სტანდარტებთან შესაბამის აქტად.

კანონი ასევე ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას იყვნენ დასაქმებულნი სხვადასხვა სამუშაო ადგილზე, ენოდნენ კანონით ნებადართულ საქმიანობას.<sup>244</sup> თუმცა, იგი არ მოიცავს საკანონმდებლო გარანტიებსა და მექანიზმებს, რაც აღსრულებადს და სიცოცხლისუნარიანს გახდის განერილ ნორმებს. შესაბამისად, სხვა მნიშვნელოვანი ჩანაწერების არარსებობის პირობებში, რაც კანონის ქმედითობას უნდა უზრუნველყოფდეს, მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს. მაგალითად, დასაქმების შემთხვევაში, კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის ითვალისწინებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის არსებობის შესაძლებლობას,<sup>245</sup> რაც დასაქმების ადგილის მის საჭიროებებზე მორგებასა და სათანადო შრომითი პირობების არსებობას უნდა გულისხმობდეს. თუმცა, ეს ასპექტი პრაქტიკაში არ ხორციელდება, რაც განპირობებულია ამ მექანიზმის ქმედითობისათვის აუცილებელი დამატებითი რეგულირების არარსებობით.

საქართველოს შრომის კოდექსი ორ დამატებით გარემოებას ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით. კერძოდ, კრძალავს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებასა და ღამით მუშაობას, მათი თანხმობის გარეშე, ასევე დაუშვებლად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.<sup>246</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი საერთოდ არ შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლების დამატებით რეგულირებას. მეტიც, იგი არც კი ახსენებს ასეთ მიზნობრივ ჯგუფს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია“ ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელობას, მათი განათლებისა და პროფესიული გადამზადების საკითხს, როგორც დასაქმების აუცილებელ წინაპირობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითდასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საჭიროებას. იგი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების მიზანს, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის პრიორიტეტს.<sup>247</sup> თუმცა, ხედვა, რომელზეც კონცეფცია საუბრობს საკანონმდებლო აქტებსა და სახელმწიფო პროგრამაში არ აისახება.

ერთადერთი წამახალისებელი ღონისძიება, რომელსაც კანონმდებლობა შეიცავს შეეხება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ასევე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების პირობას.<sup>248</sup> თუმცა, ეს შეღავათი არ ვრცელდება სხვა ჯგუფებზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ზოგადი მდგომარეობის ფონზე, ნათელია რომ, აღნიშნული ღონისძიება არ არის

<sup>244</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 21

<sup>245</sup>იქვე, მუხლი 21

<sup>246</sup>საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2, მესამე ქვეპუნქტი; მუხლი 17; მუხლი 18

<sup>247</sup>საქართველოს პარლამენტის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“, თავი V

<sup>248</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 82, პუნქტი 2, „ბ“ ქვეპუნქტი

საკმარისი მექანიზმი დასაქმების წახალისებისა და ხელშეწყობისათვის.<sup>249</sup>

სხვადასხვა ქვეყნის მიერ აპრობირებული პრაქტიკის ნაცვლად, რომელიც გულისხმობს დასაქმების წახალისების მიზნით, კომპლექსურად და თანადროულად სტიმულირების სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებას, მოქმედი კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჯარო სამსახურში დასაქმებას, სოციალური პაკეტის მიღების უფლების შეზღუდვას უკავშირებს. გამონაკლისი ეხება მკვეთრად გამოხატული და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ადამიანებს.<sup>250</sup> აღნიშნული რეგულირების მოქმედების შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაწილს, დასაქმების სანაცვლოდ, სახელმწიფოს ფულად გასაცემელზე უარის თქმა უხდება, რამაც არათუ დასაქმების სტიმულირება, არამედ დასაქმების შესაძლებლობის გამოყენებაზე უარის თქმაც შეიძლება განაპირობოს, დასაქმების ადგილთან მისაწვდომობისა და სხვა დამატებითი ფინანსური ხარჯების გაწევის აუცილებლობიდან გამომდინარე. შედეგად, აღნიშნული ჩანაწერი არათუ ხელს არ უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებასა და ინტეგრაციას საზოგადოებაში, არამედ შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, დასაქმებისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაც აღმოჩნდეს. ამასთან, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა კატეგორიას მიკუთვნებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და შეეხება მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევებს.<sup>251</sup>

ნათელია რომ, არსებული საკანონმდებლო სივრცე, მიუხედავად დეკლარირებული ნებისა, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და ჩანაწერისა დისკრიმინაციის დაუშვებლობის თაობაზე, ვერ აღწევს მიზანს, სათანადო სამართლებრივი გარანტიების, პრაქტიკული ხელშეწყობისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმების არარსებობის გამო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მდგომარეობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის მიუხედავად,<sup>252</sup> ნათელია, რომ ეს მაჩვენებელი დაბალია და შეუძლებელია მისი შეცვლა იმ წინაპირობების დაკმაყოფილების გარეშე, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების, პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფას, გარემოს ადაპტირებასა და ხელშეწყობას სხვა დამატებითი მექანიზმების დანერგვას, რაც როგორც საკანონმდებლო რეგულირებაში, ისე სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში უნდა აისახოს.

<sup>249</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 520

<sup>250</sup>საქართველოს კანონი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 4

<sup>251</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, გვ: 502

<sup>252</sup>„საჭიროებების კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მიმართულებით“, საქართველოს უსინათლოთა ასოციაცია, 2013 წელი

კონვენციის 27-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია:

- კონვენციის ხედვა და მიდგომა აისახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში, რაც შესაბამისი ცვლილებების განხორციელებასა და დასაქმების კომპლექსური სტრატეგიის შემუშავებას გულისხმობს;
- კანონმდებლობამ, სხვადასხვა გარანტიასთან ერთად, გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სავალდებულო დასაქმების მექანიზმი საჯარო და კერძო სექტორში, ე.წ. კვოტირების სისტემა, რომელიც უპასუხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საჭიროებას;
- კანონმდებლობამ გაითვალისწინოს საჯარო და კერძო დანესებულებების ვალდებულება სამუშაო ადგილის ადაპტირებაზე, მათ შორის სამუშაო სივრცის ადაპტაცია, ტექნიკული და პერსონალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სამუშაო ადგილზე, პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამების დანერგვა, გადამზადების ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად; ამასთან, განსაზღვროს აღსრულების მექანიზმები, შესაბამისი, ეფექტური ბერკეტის შემუშავების გზით;
- კანონმდებლობამ გაითვალისწინოს სახელმწიფოს მხრიდან დამსაქმებელთა საშეღავათო მექანიზმები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელფასო სუბსიდირება, გადამზადებისა და გარემოს ადაპტირების პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა, საგადასახადო შეღავათები და სხვა;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა, შესაბამისი პროგრამებისა და სისტემების დანერგვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამუშაოს მაძიებელ პირთა პროფესიული ორიენტაციისათვის, მათი სამუშაო ბაზარზე შეყვანის მიზნით; ასევე, შესაბამისი ღონისძიებები გადამზადების, დასაქმების, თვითდასაქმებისა და სოციალური მენარმეობის ხელშეწყობისათვის;
- დასაქმების პოლიტიკამ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები და პასუხობდეს ინდივიდის განვითარებისა და ინტეგრაციის მიზანს. ეს უკანასკნელი გულისხმობს დასაქმებას უშუალოდ სამუშაო ადგილზე. დასაქმების დისტანციური მეთოდები შესაძლებელია გამოიყენებოდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით;

ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი  
და სოციალური დაცვა

## 15. ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვის უფლება, ითვალისწინებს კონვენციის 28-ე მუხლი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, სოციალურ თანადგომას და მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია მიმღებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სოციალურ უსაფრთხოებაზე.<sup>253</sup> სოციალური დაცვა და მისი გარანტირება დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ წინასწარ დაგეგმილ, ბიუჯეტზე მიბმული ღონისძიებების განხორციელებასთან, რომელთა ეფექტურობა პირდაპირპროპორციულად აისახება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხსა და დონეზე.

UNCRPD-ის მიზანია, სახელმწიფოების პოლიტიკა მიიმართოს სიღარიბისა და სოციალური იზოლაციის წინააღმდეგ, რაც უნდა დაეფუძნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებას, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებში.<sup>254</sup>

### სოციალური დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის ასახელებს სოციალურ დაცვას.<sup>255</sup> მისი განხორციელების საშუალებად კი მოიაზრებს სახელმწიფოს მიერ ისეთი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, რომლებიც დამყარებული იქნება ამ ჯგუფის სპეციალური საჭიროებების კვლევაზე. ასევე, მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური დაცვის პოლიტიკას განსაზღვრავს, მიუთითებს კონკრეტული მიმართულებების გაძლიერებისა და აქტივობების განხორციელების საჭიროებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური შესაძლებლობების გათანაბრების მიზნით.<sup>256</sup>

კონვენციით დადგენილი სტანდარტი, სოციალური დაცვის სფეროში, გულისხმობს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების დაკმაყოფილებას ღონისძიებათა კომპლექსური განხორციელების გზით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ პოლიტიკის დოკუმენტებში მოცემული ხედვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის საკითხებზე, ამგვარადვე ასახოს სხვადასხვა სამართლებრივ აქტებსა თუ განხორციელებული პოლიტიკის მიმართულებებში.

<sup>253</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)5, გვ: 33

<sup>254</sup>იქვე, გვ: 33

<sup>255</sup>საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“

<sup>256</sup>საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 13 თებერვლის დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების თაობაზე“

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი სამართლებრივი აქტია, რომელიც ითვალისწინებს მონეტარული და არამონეტარული მიზნობრივი ღონისძიებების არსებობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვისათვის. კანონი აღნიშნული უფლების რეალიზებას უკავშირებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი მოქალაქეები ფულადი (პენსია, დახმარება) მხარდაჭერითა და ტექნიკური საშუალებებით (ავტომობილებით, სავარძელ-ეგლებით, საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით, სპეციალური შრიფტით ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალიზაციით), ასევე, სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.<sup>257</sup>

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის ღონისძიებები, ასევე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციისაკენ მიმართული აქტივობები განხილული იქნება შესაბამის თავებში. ამ ნაწილში კი, შეფასდება სახელმწიფოს მხრიდან ფულადი მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენებისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მიმართული ღონისძიებების შესაბამისობა კონვენციის მიზნებთან, რომელიც სოციალური პაკეტის არსებობასა და საარსებო შემწეობის გაცემაში გამოიხატება.<sup>258</sup>

## სოციალური პაკეტი

დღეს არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოს გარკვეული ფინანსური გარანტიებით სოციალური დაცვისათვის.<sup>259</sup> შედეგად, ეს ჯგუფი სოციალური პაკეტით მოსარგებლე პირებს წარმოადგენს.<sup>260</sup> სოციალური პაკეტი, სოციალური დახმარების ერთ-ერთი სახეა, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის შესაბამისი სისტემის შექმნას მოსახლეობის მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარების უზრუნველყოფისათვის.<sup>261</sup>

არსებული რეგულაცია, რომელიც სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრეს განსაზღვრავს, სრულად მოიცავს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.<sup>262</sup> თუმცა, დადგენილება განსხვავებულ მიდგომას ავლენს ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ და მათ მიერ სოციალური პაკეტით სარგებლობას მონყვლადობის დამატებითი ფაქტორის არსებობას უკავშირებს.<sup>263</sup> ამდენად, სოციალური პაკეტის ფარგლებში არსებული ფულადი გასაცემელი არ მიემართება ყველა ჯგუფის საჭიროებებს და საკმარისად არ ითვალისწინებს ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებს.

<sup>257</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 24

<sup>258</sup>ერცლად იხილეთ თავში: რეაბილიტაცია, აბილიტაცია და ინდივიდუალური მობილობა

<sup>259</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 24

<sup>260</sup>საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მუხლი 121, „სოციალური პაკეტი არის ყოველდღიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომელის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით. სოციალური პაკეტის დანიშნვის საფუძველია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა ან მარჩინალის გარდაცვალება“

<sup>261</sup>საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მუხლი 1

<sup>262</sup>საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“

ამასთან, სოციალური პაკეტის ფარგლებში არსებული ფულადი გასაცემლის ოდენობა არ ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალური საჭიროებების კვლევას. კერძოდ, სოციალური პაკეტი წინასწარ ადგენს გასაცემლის ოდენობას და მის განსაზღვრას ინდივიდუალურ შეფასებას არ უკავშირებს. აღნიშნული ხარვეზის არსებობას ადასტურებს 2014-2016 წლების სამთავრობო გეგმა, რომელმაც გაითვალისწინა სახელმწიფოს ვალდებულება „სოციალური პაკეტის“ მოქმედების არეალის გაფართოვებისა და მასში მოსარგებლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესახებ,<sup>264</sup> რაც ამ დრომდე არ განხორციელებულა. ინდივიდუალური შეფასების არარსებობის პირობებში, დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია თავად არსებული ფულადი გასაცემლის ადეკვატურობა და საკმარისობა სოციალური დაცვის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით.

სოციალური პაკეტის შეწყვეტის წესიც ადასტურებს სახელმწიფოს მიდგომას, რომელიც უარყოფს ინდივიდუალური შეფასების საჭიროებას. მოქმედი წესი პირის საჯარო სექტორში დასაქმების ფაქტს მისთვის სოციალური დაცვის ღონისძიების უპირობო შეწყვეტის საფუძველად განიხილვას, განურჩევლად შემოსავლის ოდენობისა და სოციალური დაცვის საჭიროების შესაძლო არსებობისა. კერძოდ, კანონმდებლობა სოციალური პაკეტის შეწყვეტის საფუძველად განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჯარო სამსახურში დასაქმებას.<sup>265</sup> (აღნიშნული წესი არ ვრცელდება მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მხედველობის გამო, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში.)<sup>266</sup>

ამასთან, არათანმიმდევრულია კანონმდებლის ლოგიკა, რომელიც დასაქმების ფაქტს სოციალური მდგომარეობის გაუჯობებს უთანაბრებს, თუმცა, ამგვარად მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმებას მიიჩნევს და კერძო სექტორში დასაქმებულთა მიმართ აგრძელებს მხარდაჭერის პოლიტიკას. ეს რეგულაცია, ერთი მხრივ, აჩვენებს არსებული პოლიტიკის წინააღმდეგობრიობას, მეორე მხრივ, ის არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს პირებს შესაძლებლობის განსხვავებული შეზღუდვით. ასევე, ავლენს დისკრიმინაციულ მიდგომას საჯარო სექტორში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.

შესაბამისად, რეგულაცია, რომელიც დასაქმების ფაქტის არსებობას ხისტად უკავშირებს ფინანსური მხარდაჭერის გაუქმებას, არათუ ვერ აღწევს თავის მიზანს, არამედ შესაძლოა დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდეს საჯარო სექტორში პირთა დასაქმებისათვის. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის სანყის ეტაპზე, საჯარო სექტორი უპირატესად შეიძლება

<sup>263</sup>იქვე: მუხლი 5, პუნქტი 1, „ გ.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 144 ლარის ოდენობით; გ.ბ)

სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 134 ლარის ოდენობით ე) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი“

<sup>264</sup>შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

<sup>265</sup>საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 12, პუნქტი 1

<sup>266</sup>საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 2



წარმოადგენდეს დასაქმებისათვის ხელმისაწვდომ სივრცეს.

კონვენციის შინაარსი არ გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალური დაცვის საჭიროებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს დასაქმების ან სხვა უფლების სათანადო რეალიზებას. შესაბამისად, მიუხედავად დასაქმების ფაქტისა, შესაძლოა მიღებულ იქნეს გადანყვეტილება სოციალური დაცვის ღონისძიებების გაგრძელებაზე კონკრეტული პირისთვის, ინდივიდუალური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, როდესაც კვლავ სახეზეა სახელმწიფოს მხარდაჭერის საჭიროება შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების/კომპენსირების მიზნით ან სხვა საჭიროებისათვის.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პაკეტის გაცემისა და მისი ოდენობის განსაზღვრის ახლებური წესის დადგენა, რომელიც დაეფუძნება პირის ინდივიდუალური საჭიროებების გააზრებას, ადეკვატურად უპასუხებს მათ მოთხოვნილებებს და შეძლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

## საარსებო შემწეობა

საარსებო შემწეობას, როგორც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ, მხარდაჭერის ერთ-ერთ ღონისძიებას ითვალისწინებს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.<sup>267</sup>

საქართველოში, 2006 წლიდან, მოქმედებს „ლატაკი ოჯახების სიღარიბესთან ბრძოლის მიზნობრივი სამთავრობო პროგრამა“, რომლის ამოცანაა განსაზღვრული მეთოდოლოგიის<sup>268</sup> გამოყენებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირება და სახელმწიფოს გასაცემლის სოციალური დახმარების მიმღები ჯგუფისათვის გადაცემა.<sup>269</sup> პროგრამა ფულად გასაცემელს უკიდურესად ღარიბი ოჯახების შემთხვევაში ითვალისწინებს და ის თანაბრად შეიძლება შეეხოს ყველა ჯგუფს, მათ შორის, იმ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი. არსებული მეთოდოლოგია ზომავს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას და აფიქსირებს მას სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ბაზაში. თუმცა, ფულად მხარდაჭერას საარსებო შემწეობის სახით, მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ-ლატაკ<sup>270</sup> და უკიდურესად ღატაკ<sup>271</sup> ოჯახებზე გასცემს.

კონვენცია ითვალისწინებს მხარე სახელმწიფოების ვალდებულებას, სიღარიბის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებში მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. ამასთან, კონვენციის

<sup>267</sup>საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მუხლი 7, „საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“

<sup>268</sup>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“

<sup>269</sup>საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“

მიზნებისთვის, სიღარიბესთან ბრძოლა, არა მხოლოდ ამგვარი შედეგის აღმოფხვრას გულისხმობს, არამედ სიღარიბის პრევენციასაც, რომელიც განსაკუთრებულად აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც სიღარიბისადმი მონყვლადი ჯგუფის მიმართ.

სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედი პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის, როგორც მოცემულობის, იდენტიფიცირების ახდენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახეზეა კონკრეტული სიღატაკის ფაქტი. იგი სათანადოდ არ უზრუნველყოფს აღნიშნული ჯგუფის დაცვას, რაც არა მხოლოდ სიღარიბის პრევენციის სპეციალური პროგრამებით, არამედ სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სფეროში გატარებული კომპლექსური პოლიტიკით მიიღწევა.

საქართველოს სახალხო დამცველის კრიტიკის საგანი, თავად, მოქმედი პროგრამის მეთოდოლოგიის ეფექტურობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინების კუთხით. კერძოდ, ომბუდსმენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჩივრების რაოდენობის გათვალისწინებით, ეჭვქვეშ აყენებს მის ადეკვატურობას და მიიჩნევს, რომ „შეფასების წესი (დეკლარაცია) უმეტესად ვერ პასუხობს ან არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციალურ საჭიროებებს. ამიტომაც, მრავალი მათგანი ვერ ხვდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და ვერ იღებს სამედიცინო მომსახურებას.“<sup>272</sup>

ხელმისაწვდომი გარემოს არარსებობა, უფლებების რეალიზების დაბალი შესაძლებლობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები პრობლემათა უწყვეტ ჯაჭვს ქმნის, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სოციალურ იზოლაციამდე, საბოლოოდ კი სიღარიბემდე მიჰყავს. შესაბამისად, სოციალური დაცვისკენ მიმართული პოლიტიკის დაგეგმვისას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს და შეაფასოს ის განსაკუთრებული რისკი, რასაც განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ექვემდებარებიან, სიღარიბისადმი მონყვლადობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამებში, უპირატესად უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ამასთან, სახელმწიფომ უნდა აამოქმედოს სიღარიბესთან ბრძოლის პრევენციული მექანიზმები, რომელიც ასევე გულისხმობს სისტემური პოლიტიკის გატარებას სხვადასხვა მიმართულებით.

<sup>270</sup>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/6 ბრძანება, მუხლი 12, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი, „უკიდურესად ლატაკად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა თუ მის წევრ(ებ)ს მძაფრად უდგათ შიმშილის პრობლემა, სხვისი დახმარების გარეშე არ შეუძლიათ მოიპოვონ ის მინიმალური საკვები, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელობის (სიცოცხლის) შენარჩუნებისათვის“

<sup>271</sup>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/6 ბრძანება, მუხლი 12, პუნქტი 4, „ბ“ ქვეპუნქტი, „ლატაკად შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობა თუ მის წევრებს ძნელად თუ შეუძლით საკვების შეძენა. მათი შემოსავალი სრულად ვერ ყოფნის იმ საკვების შეძენასაც კი, რაც საჭიროა შინამეურნეობის წევრების ნორმალური კვებისათვის“

<sup>272</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2011 წელი, გვ: 261

შესაბამისად, კონვენციის 28-ე მუხლის იმპლემენტაციისათვის, მნიშვნელოვანია:

- სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებსა და კანონმდებლობაში აისახოს კონვენციის 28-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებები;
- პოლიტიკის დოკუმენტებსა თუ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები/პროგრამები;
- სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება დაეფუძნოს შესაბამის კვლევას, სანდო მონაცემებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს;
- შემუშავდეს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიღარიბესთან ბრძოლის კომპლექსური პოლიტიკა და სიღარიბის პრევენციის პროგრამები;
- სახელმწიფომ გადახედოს სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრეს, მასში ყველა შესაბამისი ჯგუფის გათვალისწინების მიზნით და გააუქმოს სოციალური პაკეტის შეწყვეტის ხისტი წესი, რომელიც პირის საჯარო სამსახურში დასაქმების ფაქტს უკავშირდება;



## 16. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის 29-ე მუხლი ადგენს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უფლებას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების გარანტირების მიზნით, არჩევნებსა თუ რეფერენდუმში მონაწილეობისათვის, მათი თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

შედეგად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი მონაწილეობა არჩევნებში, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, სათანადო პირობებისა და მასალების შექმნის გზით. დოკუმენტი ასევე ადგენს, სახელმწიფოს ვალდებულებას გარემოს შექმნაზე, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შესაძლებელს გახდის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, სათანადო მონაწილეობას.

### კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებულია საქართველოს მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. თუმცა, ამ უფლებით სარგებლობა ეზღუდებათ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს.<sup>273</sup> კონსტიტუციის ეს ჩანაწერი, ასევე წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის ნაწილს, რომლის შესაბამისი ნორმაც ქმედუუნარო პირებს სრულად გამოორიცხავს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის პროცედურიდან.<sup>274</sup>

საარჩევნო კოდექსი შეიცავს გარკვეულ რეგულაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის. კერძოდ, კოდექსის ნორმები შეეხება საარჩევნო უბნის ფიზიკური მისაწვდომობისა და უშუალოდ საარჩევნო პროცესის ადაპტირების საკითხებს.

საარჩევნო უბნების ადაპტირების რეგულირების მიზნით, საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საარჩევნო ადმინისტრაციებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ფიზიკური მისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას. თუმცა, ეს ნორმა მოქმედებას მხოლოდ 2016 წლიდან იწყებს.<sup>275</sup> რეგულირების პრაქტიკული რეალიზების მიზნებისათვის, უნდა მოხდეს ადაპტირების ცნების სათანადოდ გაგება და არა მხოლოდ ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, არამედ ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა ინტერესის გათვალისწინება.

<sup>273</sup>საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28

<sup>274</sup>საქართველოს ორგანული კანონი, საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3

<sup>275</sup>იქვე, მუხლი 58, პუნქტი 11

საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლი საარჩევნო პროცესის ადაპტირების მიზნით, ადგენს უბნებზე იმგვარი ტექნოლოგიების გამოყენების ვალდებულებას, რაც მხედველობის არმქონე ან მცირემხედველ ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენების დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.<sup>276</sup> თავისთავად პოზიტიურად უნდა შეფასდეს, აღნიშნული ჩანაწერის კანონმდებლობაში არსებობა, თუმცა, საარჩევნო პროცესის ადაპტირებისას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს სხვა ტიპის საჭიროებების მქონე პირთა მოთხოვნები ნორმატიულ და პრაქტიკულ დონეზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური უფლების სათანადოდ რეალიზებისათვის, წინასაარჩევნო პერიოდში, ინფორმაციაზე წვდომის მიზნით, გათვალისწინებულია პოლიტიკური რეკლამების სურდოთარგმანის ვალდებულება.<sup>277</sup> ასევე, კოდექსი ითვალისწინებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებას, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ეთერში გაშვებულ არჩევნებთან დაკავშირებულ გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი.<sup>278</sup> თუმცა, საარჩევნო კოდექსი არ ადგენს მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთათვის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისა თუ საარჩევნო სუბიექტების პროგრამათა შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობის ვალდებულებას შესაბამის ფორმატში. კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს გარანტიებს არამხოლოდ სმენის შეზღუდვის მქონე პირთა უფლებების რეალიზების მიზნით, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში, ინფორმაციის იმგვარად გავრცელების ვალდებულებას, რაც უზრუნველყოფს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის წინასაარჩევნო პროცესებზე თანაბარი ინფორმაციული წვდომის შესაძლებლობას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლების რეალიზებისადმი მიმართული ნორმატიული ბაზა საჭიროებს დახვეწას, კონვენციით დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამასთან, საარჩევნო გარემოსა და პროცესის ადაპტირება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათი ნების დამოუკიდებლად გამოვლენის საფუძველზე, ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება და შესაძლებლობა იყვნენ არჩეულნი შესაბამის პოზიციებზე.

საარჩევნო კოდექსის მითითებული ჩანაწერების პარალელურად, ცენტრალური საარჩევნო კომისია ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების გადამზადებასა<sup>279</sup> თუ გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების არჩევნებში მონაწილეობის მხარდასაჭერის მიზნით მობილური ჯგუფების შექმნაში გამოიხატება.<sup>280</sup> მიუხედავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებების არასაკმარისობისა და არაეფექტურობისა, შეიძლება ითქვას, რომ მისი პოლიტიკა მიმართულია ინკლუზიაზე (სამუშაო ჯგუფი, ვიდეორგოლები, უბნების დროებითი ადაპტირების პრაქტიკა, უბნების აღჭურვა ტექნოლოგიებით).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მოქმედი ნორმატიული ბაზა და შესაბამისი

<sup>276</sup>იქვე, მუხლი 63, პუნქტი 2

<sup>277</sup>იქვე, მუხლი 50, პუნქტი 1, „გ“

<sup>278</sup>იქვე, მუხლი 51, პუნქტი 63

პრაქტიკა არ არის სათანადოდ ყოვლისმომცველი და ეფექტური, რაც ამ მიმართებით ფუნდამენტური ცვლილებების საჭიროებას განაპირობებს.

### კონვენციის 29-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია:

- ეროვნული კანონმდებლობის კონვენციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდეს სათანადო ცვლილებები, მათ შორის, ქმედუუნარო პირების მიმართ საარჩევნო უფლების რეალიზებაზე ბლანკეტური აკრძალვის გაუქმების თვალსაზრისით;
- ნორმატიულ დონეზე გაიწიოს საარჩევნო პროცესის ადაპტირების ვალდებულება, რომელიც გაითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვადასხვა ტიპის საჭიროებებსა და ინტერესებს;
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოხდეს საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო პროცესის თანმიმდევრული ადაპტირება, რომელიც დაეფუძნება სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას;
- წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომის მიზნით, შეიქმნას შესაბამისი ნორმატიული საფუძვლები და დადგინდეს მისი აღსრულების მექანიზმები;
- პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით ქალების, შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებასა და გამოვლენაზე;

---

<sup>279</sup>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://cesk002-01.itdc.ge/uploads/other/27/27538.pdf>

<sup>280</sup>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://cesk002-01.itdc.ge/ge/shezguduli-shesadzleblobebis-mqone-pirebi/tvitmmartveloba-201456/etlit-mosargeble3/mobiluridjgufebis-sheqmna-archevnebis-dges.page>

შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე პირთა სტატისტიკა



## 17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის 31-ე მუხლი სახელმწიფოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შეგროვებას ავალდებულებს. იგი საფუძვლად უნდა დაედოს ადეკვატური და ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვას და იმპლემენტაციას. ამასთან, კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, ინფორმაციის მოპოვების პროცესში, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა და ხელშეუხებლობა, დაიცვას მონაცემთა შეგროვებისა და სტატისტიკის წარმოების საყოველთაოდ აღიარებული წესები. ინფორმაციის გასაჯაროება უნდა დაექვემდებაროს მკაცრად განსაზღვრულ წესს და მიზნად უნდა ისახავდეს სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულებას.

### არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა

სახელმწიფოს ვალდებულება, მოიპოვოს და დაამუშავოს სტატისტიკური ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, უპირველესად, მათი საჭიროებების სწორ აღქმასა და სახელმწიფოს პოლიტიკის სათანადოდ დაგეგმვის მიზანს ემსახურება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, შეუძლებელს ხდის რეალური სურათის გამოვლენას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების და მათი მასშტაბების დანახვას. სახალხო დამცველი არაერთხელ უთითებდა სტატისტიკური მონაცემის შეგროვებისა და დამუშავების აუცილებლობაზე, რაც შემდგომში საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას.<sup>281</sup>

საქართველოში, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზუსტი ან ზუსტთან მიახლოებული რაოდენობრივი მაჩვენებელი. შესაბამისად, სახელმწიფოს დღევანდელი პოლიტიკა ემყარება ვარაუდებს, ამ ჯგუფის საჭიროებების მიმართ და არა ადეკვატურ, სათანადო ფორმით დამუშავებულ მონაცემებს. 2014 წლის სტატისტიკის სამუშაოების პროგრამა კვლავ არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებას,<sup>283</sup> რაც ამ პროცესს გაურკვეველი ვადით გადადებს.

დამკვიდრებული მიდგომით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოდენობას სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა ოდენობას უკავშირებენ. თუმცა, ასეთი მონაცემი იმთავითვე არასწორია, ვინაიდან პენსიის მიმღები ადამიანები არიან მხოლოდ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაწილი.<sup>283</sup> შესაბამისად,

<sup>281</sup>საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2008 წლის მეორე ნახევარი, გვ: 250

<sup>282</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის N41 განკარგულება „სტატისტიკური სამუშაოების 2014 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“

<sup>283</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, გვ:496

აღნიშნული მონაცემი მდგომარეობას მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავს. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არ სარგებლობს შესაბამისი სტატუსით და ისინი სახელმწიფოს ხედვის არედან გასულნი არიან. ამასთან, აღნიშნული მიდგომა ვერ იქნება სახელმწიფოსთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების სრულფასოვანი წყარო.

**შესაბამისად, კონვენციის 31-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნისთვის, მნიშვნელოვანია:**

- განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთიანი სტატისტიკის წარმოება შესაბამისი მეთოდით;
- სტატისტიკის წარმოება მიზნად უნდა ისახავდეს სტატუსის მინიჭების ახალი წესის შუქზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების კვლევას, რასაც დაეფუძნება სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამები;

კონვენციის იმპლემენტაციისა და  
მონიტორინგის ინსტიტუციური ჩარჩო

## 18. კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ინსტიტუციური ჩარჩო

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მისი დანერგვისა და სათანადო აღსრულების მიზნით, უზრუნველყონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა სახის ღონისძიებების გატარება, რაც შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის/არსებობის საკითხსაც გულისხმობს. UNCRPD-ის 33-ე მუხლი პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოებს, სხვადასხვა მიზნისა და ფუნქციის მქონე ინსტიტუციების შექმნას, დასახელებასა და გაძლიერებას.

კერძოდ, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, განსაზღვრონ ერთი ან რამდენიმე ძირითადი ორგანო მთავრობაში (საკონტაქტო უწყება), რომლის ფუნქციაც იქნება, კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა. ასევე, სხვადასხვა სამთავრობო უწყებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ფასილიტაციისა და კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ მაკოორდინირებელი მექანიზმი.

კონვენცია ასევე გულისხმობს ვალდებულებას ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნაზე, დასახელებაზე ან გააძლიერებაზე, რომელთა მთავარი ფუნქცია იქნება კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, დაცვა და მონიტორინგი. მონიტორინგის ჩარჩო მექანიზმის დაარსებისას, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების სტატუსი და ფუნქციები და მათი საქმიანობის გათვალისწინებით, შექმნან პარიზის პრინციპების შესაბამისი მექანიზმი.<sup>284</sup>

ამასთან, კონვენცია ზემოთ დასახელებულ ყველა ინსტიტუციურ მექანიზმთან დაკავშირებით ადგენს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების ჩართვისა და მონაწილეობის აუცილებლობას.

### მოქმედი ინსტიტუციური მოდელი და მისი გარდაქმნის საჭიროება

#### მაკოორდინირებელი მექანიზმი

საქართველოში, 2009 წლიდან, მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, რომელიც სახელმწიფოს მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს წარმოადგენს.<sup>285</sup> საბჭოს ძირითადი ფუნქციებია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია, სახელმწიფო

<sup>284</sup> „The relationship between the Convention and national human rights institutions“; Available: <http://www.un.org/disabilities/default.asp?id=245>; last seen: 20.07.2014;

<sup>285</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N231 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 1

სამოქმედო სტრატეგიული გეგმების მომზადება და მასში ცვლილებების შეტანის კოორდინაცია და სხვა.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების წარმომადგენლები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.<sup>286</sup>

საკოორდინაციო საბჭოს არსებობა შეიძლება წინადადებულ ნაბიჯად ჩაითვალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისათვის, თუმცა, საბჭოს ფუნქციონირება არაერთი ხარვეზით ხასიათდება, რაც მის არაეფექტურობას განაპირობებს. საზოგადოების კრიტიკის საგანია საბჭოს მუშაობის არასათანადო პერიოდულობა, მათ შორის, სხდომის გამართვის სავალდებულო ვადების დარღვევა, საბჭოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების სათანადო წარმოდგენის საკითხი, რაც საბჭოს დაკომპლექტების წესის ინკლუზიურობას და სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს და სხვა.<sup>287</sup>

დასახელებული პრობლემებისა და საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის მიმართ არსებული პრეტენზიების პირობებში, აუცილებლად უნდა გადაიხედოს მოქმედი მექანიზმი და დადგეს მისი რეფორმირების საკითხი, რაც დაეფუძნება გამჭვირვალობის და ინკლუზიის პრინციპებს და უზრუნველყოფს ინსტიტუციური თუ პროცედურული გარანტიების გათვალისწინების გზით, საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდას.

## **დამოუკიდებელი მექანიზმი**

კონვენცია ყველა წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს, მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნას ან დასახელებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დოკუმენტის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, დაცვა და მონიტორინგი. UNCRPD არ განსაზღვრავს ამგვარი მექანიზმის ადგილს კონკრეტული სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის სისტემაში და მას სახელმწიფოების უფლებამოსილების ფარგლებში ტოვებს. შესაბამისად, სახელმწიფოები თავად იღებენ გადაწყვეტილებას ამგვარი ფუნქციით აღჭურვონ უკვე არსებული ორგანოები თუ შექმნან მონიტორინგის ახალი მექანიზმები.<sup>288</sup> მოთხოვნა, რომელსაც კონვენცია ადგენს მდგომარეობს იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში, რასაც პარიზის პრინციპები ეროვნული მონიტორინგის ინსტიტუტებისთვის განსაზღვრავს.

ეს უკანასკნელი შემუშავდა გაეროს მიერ, 1993 წელს და მის ძირითად მიზანს დამოუკიდებელი და ნდობის მაღალი ხარისხის მატარებელი ინსტიტუტების შექმნის სტანდარტის დადგენა წარმოადგენს. პარიზის პრინციპების თანახმად, შესაბამისმა ეროვნულმა ინსტიტუტებმა მაღალი ლეგიტიმაციისა და დამოუკიდებლობის პირობებში უნდა აიღონ

<sup>286</sup>იქვე: მუხლი 4

<sup>287</sup>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შეფასება“, ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის, ვიდეობროთ, მარიანი; თბილისი 2012 წელი, გვ. 4-8

<sup>288</sup>“Study on the implementation of article 33 of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities in Europe”; by United Nations, Human Rights Office of the High Commissioner. pg. 6, Available: [http://europe.ohchr.org/Documents/Publications/Art\\_33\\_CRPD\\_study.pdf](http://europe.ohchr.org/Documents/Publications/Art_33_CRPD_study.pdf); last seen: 20.07.2014

ადამიანის უფლებების იმპლემენტაციის მონიტორინგის პასუხისმგებლობა, ხელი უნდა შეუწყონ ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის საერთაშორისო ადამიანის უფლებებთან და სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.<sup>290</sup>

დოკუმენტი ადგენს ეროვნული ინსტიტუტების ფორმირების ორ ფუნდამენტურ პრინციპს: დამოუკიდებლობა და პლურალიზმი. დამოუკიდებლობა გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების თავისუფლებას მთავრობის გავლენისაგან და ამდენად, მისი შექმნის საუკეთესო გზად კანონს მიიჩნევს. პლურალიზმის პრინციპი კი, ურზუნველყოფს ეროვნული ინსტიტუტების კავშირს საზოგადოებასთან, რაც ამ შემთხვევაში, ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების სათანადო წარმომადგებლობას დამოუკიდებელ მექანიზმებში, ან მასთან მჭიდრო კოოპერაციას. პარიზის პრინციპების თანახმად, ეროვნულ ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი დაფინანსება, სათანადო ადამიანური რესურსის არსებობისა და შესაბამის პრიორიტეტებზე ეფექტური მუშაობის მიზნით.

განსხვავებულია ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მოდელები სხვადასხვა სახელმწიფოში. ცალკეული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ მათ UNCRPD-ის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, ცალკე განსაზღვრეს ეროვნული მონიტორინგის ახალი ორგანო (ორგანოები), რომლებიც მოქმედი თანასწორობის ეროვნულ ინსტიტუტების გვერდით მუშაობენ. თუმცა, არსებობს არაერთი ქვეყნის განსხვავებული გამოცდილება, სადაც დამოუკიდებელი ორგანოს ფუნქცია შეითავსეს ომბუდსმენის/თანასწორობის მოქმედმა ინსტიტუტებმა და ამგვარად უპასუხეს კონვენციის სტანდარტს.<sup>291</sup>

კონვენციის მოთხოვნების საპასუხოდ, საქართველომ უახლოეს მომავალში უნდა შექმნას მონიტორინგის ეროვნული მექანიზმი ან დაასახელოს იგი. საქართველოს სახალხო დამცველი, მისი კონსტიტუციური სტატუსიდან და დამოუკიდებლობისა და ლეგიტიმაციის მაღალი გარანტიებიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს პარიზის პრინციპების მოთხოვნებს, რაც დღის წესრიგში აყენებს მის მიერ კონვენციით განსაზღვრული ეროვნული მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციის შეთავსების საკითხს. განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური გამოცდილებისა და შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით არსებული მრავალწლიანი პრაქტიკის გათვალისწინებით.

## **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა**

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აქტიურად ჩართონ კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში. 33-ე მუხლში გაცხადებულია,

<sup>289</sup>Potential functions of a national human rights institution; Available:<http://www.un.org/disabilities/default.asp?id=245>; last seen: 20.07.2014

<sup>290</sup>Principles relating to the Status of National Institutions (The Paris Principles) Adopted by General Assembly resolution 48/134 of 20 December 1993; Available: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/StatusOfNationalInstitutions.aspx>; last seen: 20.07.2014

<sup>291</sup>Study on the Implementation of Article 33 of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities in Europe, pg.7-8

რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები უნდა იყვნენ წარმოდგენილი მონიტორინგის ჩარჩო მექანიზმსა თუ საკოორდინაციო ორგანოში.<sup>292</sup>

არსებული პრაქტიკა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩართულობის სხვადასხვა ფორმას იცნობს, როგორცაა მათი უშუალო წარმომადგენლობა დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმებში, აქტიური თანამშრომლობა და პარტნიორობა რელევანტურ სახელმწიფო უწყებებთან და სხვა.<sup>293</sup> სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მათი მრავალდონიანი ჩართულობა, რამდენადაც ინკლუზია განიხილება არა მხოლოდ როგორც მიზანი, არამედ როგორც კონვენციის იმპლემენტაციის საუკეთესო საშუალება.

საქართველომ, ეროვნული მონიტორინგის მექანიზმისა და საკოორდინაციო ორგანოს ფორმირება/რეფორმირების პროცესში, უნდა გაითვალისწინოს კონვენციის ფუნდამენტური პრინციპი ინკლუზიაზე და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური და ეფექტური ჩართულობა უშუალო წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით.

### **შესაბამისად, კონვენციის 33-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია:**

- სახელმწიფომ დაიწყოს კონვენციის 33-ე მუხლით დადგენილი ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირების ღია პროცესი და წარმართოს ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით;
- განისაზღვროს ერთი ან რამდენიმე ძირითადი ორგანო მთავრობაში (საკონტაქტო უწყება), რომლის ფუნქციაც იქნება, კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა;
- გადაიხედოს კოორდინირების მოქმედი მექანიზმი და შესაბამისი რეფორმა დაეფუძნოს გამჭვირვალობის და ინკლუზიის პრინციპებს. ასევე, ცვლილებამ გაითვალისწინოს ინსტიტუციური თუ პროცედურული გარანტიები, რაც შესაძლებელს გახდის ორგანოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდას;
- დასახელდეს ან შეიქმნას მონიტორინგის ეროვნული მექანიზმი და უპირატესად, ასეთად უნდა განიხილებოდეს საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც პარიზის პრინციპებთან თანხვედრი ინსტიტუტი, აღჭურვილი ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით მუშაობის მრავალდონიანი გამოცდილებით;

<sup>292</sup>Guidelines on Article 33 of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities; "Building the Architecture for Change"; Chapter 5.2 "How to ensure meaningful participation"; pg. 21. Available:[http://mdac.info/sites/mdac.info/files/Article\\_33\\_EN.pdf](http://mdac.info/sites/mdac.info/files/Article_33_EN.pdf); last seen: 20.07.2014

<sup>293</sup>Article 33 (2) of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities: Another Role for National Human Rights Institutions? Chapter 5.2. Cooperation with Disabled Persons; pg. 101; last seen: 20.07.2014 <http://www.corteidh.or.cr/tablas/r25910.pdf>; last seen: 20.07.2014

- სახელმწიფომ ეროვნული მონიტორინგის მექანიზმისა და საკოორდინაციო ორგანოს ფორმირება/რეფორმირების პროცესში, გაითვალისწინოს კონვენციის ფუნდამენტური პრინციპი ინკლუზიაზე და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური და ეფექტური ჩართულობა უშუალო წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით;



მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ,  
გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში

## 19. მონაწილეობა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შექმნან სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის შესაბამისი პირობები და განახორციელონ სათანადო აქტივობები მათი მისაწვდომობისათვის. უფლების რეალიზების პროცესში, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და მათთვის მისაწვდომი ფორმატით, დაგეგმონ კულტურული თუ სპორტული აქტივობები, მოახდინონ შესაბამისი დანესებულებათა (ბიბლიოთეკა, თეატრი, კინო, სატელევიზიო გადაცემები და სხვა) ადაპტირება.

სახელმწიფოები ხელს უნდა უწყობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კულტურულ თუ სპორტულ აქტივობებში ჩართვას და მათი შემოქმედებითი, არტისტული და ინტელექტუალური უნარების განვითარებასა და გამოვლენას. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უნდა შეიქმნას კულტურულ მემკვიდრეობაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა.

### სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტთან

2013 წელს, შეიქმნა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო,<sup>294</sup> რომლის ამოცანებს შორის ვხვდებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური კონტაქტებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობის საკითხს. გარდა ამისა, მოქმედებს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც სპორტის სახელმწიფო სტრატეგიულ მიზნებს შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განსახორციელებელ ღონისძიებებს მოიცავს. მათ შორის, მასობრივი სპორტის სახეობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვასა და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გააქტიურებას სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის საშუალებით.<sup>295</sup>

სახელმწიფოს მიერ იგეგმება და ხორციელდება სპორტული ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით, მათ შორის შეჯიბრი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, (კლდეზე ცოცვა, აფროსნობა და ავტორბოლა), ასევე ფიზიკური აქტივობები მეკლდეურობის სპეციალური პროგრამის ფარგლებში.<sup>296</sup>

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს აქტივობების ფარგლებში, დაიგეგმა

<sup>294</sup>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილება „საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“

<sup>295</sup>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის N601 განკარგულება „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ

<sup>296</sup>საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2013 წლის ანგარიში, გვ:35-36, ხელმისაწვდომია აქ: <http://msy.gov.ge/files/111/Saministro/2013.pdf>, ბოლოს ნანახია: 16.07.2014

პარაოლიმპიური კომიტეტის განვითარება და ამ მიმართულებით, ცალკეული აქტივობების განხორციელება. 2013 წელს ხელი მოეწერა პარაოლიმპიურ კომიტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ავღანეთში დაჭრილი ჯარისკაცების პარაოლიმპიურ მოძრაობაში სრულფასოვან ჩართვას ისახავს მიზნად.<sup>297</sup>

კულტურისა და სპორტის სფეროში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის მიზნით, ცალკეული აქტივობები ხორციელდება, თუმცა, მათი ერთჯერადი ხასიათი და მცირე მასშტაბი, ამასთან კონვენციის მიერ მოცემული არაერთი საკითხის სრულად გაუთვალისწინებლობა, არ იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადო რეალიზების შესაძლებლობას და არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს სისტემური მიდგომა ამ მიმართულებით.

**შესაბამისად, კონვენციის 30-ე მუხლის იმპლემენტაციის მიზნისათვის, მნიშვნელოვანია:**

- სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი დაეფუძნოს სისტემურ, შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გაითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და შესაძლებლობებს.
- მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა, მათ შორის რეგიონებში, მათთვის მისაღები ფორმატით;
- მოხდეს კულტურული, სპორტული ცენტრების სათანადო ფორმით ადაპტირება, რაც შესაძლებელს გახდის, მათით თავისუფალ სარგებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაღები ფორმატით მიწოდება.

<sup>297</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ: 520

ცნობიერების ამაღლება

## 20. ცნობიერების ამაღლება

### კონვენციით ნაკისრი ვალდებულება

კონვენციის მე-8 მუხლი ხაზს უსვამს რა საზოგადოების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების, სტიგმების არსებობას და მათ ნეგატიურ გავლენას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებაზე, სახელმწიფოთა ვალდებულებად მიიჩნევს, დაგეგმონ შესაბამისი პოლიტიკა და საკუთარ გამონვევად მიიჩნიონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებმა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, საგანმანათლებლო საფეხურებზე, უნდა იზრუნონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პოპულარიზაციის, მათი წვლილისა და დამსახურების წარმოჩენაზე, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში. კონვენცია აღიარებს რა ცნობიერების ამაღლების პროცესში მედიის განსაკუთრებულ როლს, სახელმწიფოებს მათთან განსაკუთრებულ კოორდინაციას ავალდებულებს.

გარდა ამისა, კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადო რეალიზებას უკავშირებს კონკრეტულ სფეროებში, მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების, რეაბილიტაციის, სოციალური დაცვის და სხვა სერვისებში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც ასევე, მათ უწყვეტ მომზადებასა და გადამზადებას გულისხმობს. ამდენად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემო და უზრუნველყოს ნებისმიერი სერვისის მიწოდება, კვალიფიცირებული და პროფესიონალი პერსონალის მიერ.

### კონვენციის მე-8 მუხლის იმპლემენტაციის მიზნისათვის, მნიშვნელოვანია:

- სახელმწიფომ განახორციელოს სისტემური პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც დაეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების, თავისუფლებების, ღირსების დაცვასა და პატივისცემას;
- მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარ-ჩვევებისა და საზოგადოების განვითარებაში მათი წვლილის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული თემატიკა შეიტანოს სასწავლო პროგრამებში, მათ შორის, განათლების სხვადასხვა საფეხურზე;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა ფოკუსირდეს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სტიგმების რღვევასა და საზოგადოებაში ცოდნის ახალი ნაკადის შეტანაზე, რაც შეზღუდული შესაძლებლობის გააზრების განსხვავებულ მოდელს დაეფუძნება;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის და სხვა სფეროებში დასაქმებულ პირთა უწყვეტი მომზადება/გადამზადება, მათ მიერ შეზღუდული შესაძლებლობის სწორი აღქმისა და კვალიფიციური სერვისების შეთავაზების ხელშეწყობად.